ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 218-219 (20559) ოთხშაბათი, 20 სექტემბერი, 1989 წელი. ფასი 6 კაპ.

## სკკპ მორიგი XXVIII ყრილობის მოწვევის შესახებ

### სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 1989 წლის 19 სექტემბრის დადგენილება

I. მოწვეულ იქნეს სკკპ მორიგი XXVIII ყრილობა 1990 წლის ოქტომბერში.

II. დამტკიცდეს შემდეგი დღის წესრიგი:

1. გარდაქმნის მიმდინარეობა და პარტიის ამოცანები. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში.
2. სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიში.
3. სკკპ წესდების შესახებ.
4. პარტიის ცენტრალური ორგანოების არჩევნები.

III. დაევალოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, მოამზადოს წინადადებანი საყრილობო ანგარიშგება-არჩევნების კამპანიის მოწყობის ვადების, წარმომადგენლობის ნორმისა და ყრილობის დელეგატთა არჩევის წესის შესახებ და წარმოუდგინოს ისინი განსახილველად ცენტრალური კომიტეტის პლენუმს.

# საინფორმაციო ცნობა

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1989 წლის 19 სექტემბერს მუშაობას შეუდგა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი. პლენუმის განსახილველად გამოტანილია შემდეგი საკითხები:

1. სკკპ მორიგი XXVIII ყრილობის მოწვევის შესახებ.
2. თანამედროვე პირობებში პარტიის ეროვნული პოლიტიკის შესახებ.

პლენუმმა პირველ საკითხზე მოისმინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლა და მიიღო შესაბამისი დადგენილება, რომელიც პრესაში ქვეყნდება.

მეორე საკითხზე — „თანამედროვე პირობებში პარტიის ეროვნული პოლიტიკის შესახებ" პლენუმმა მოისმინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება (ქვეყნდება პრესაში).

პლენუმის მონაწილეებს დაურიგდათ მასალები, რომლებშიც განზოგადებულია წინადადებანი და შენიშვნები, სკკპ პლატფორმის პროექტის განხილვის დროს რომ შემოვიდა პარტიული კომიტეტების, კომუნისტების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მეცნიერებისაგან ეროვნებათაშორისი ურთიერთობის პრობლემებზე, ამ საკითხებზე მშრომელთა წერილების მიმოხილვა, აგრეთვე მთელი რიგი საცნობარო მასალები.

კამათში გამოვიდნენ: რ. ხ. ხაბიბულინი — სკკპ ბაშკირეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ე. ე. სოკოლოვი — ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ა. მ. მასალიევი — ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ი. ნ. ელჩენკო — უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ნ. ა. ნაზარბაევი — ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ი. ს. კარაბასოვი — სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი, ი. ნ. პროკოპიევი — სკკპ იაკუტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, რ. ნ. ნიშანოვი — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე, ვ. გ. აფანასიევი — გაზეთ „პრავდის" მთავარი რედაქტორი, ვ. ი. ვოროტნიკოვი — რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, გ. გ. გუმბარიძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. ი. პოტაპოვი — სკკპ ირკუტსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ა.-მ. კ. ბრაზაუსკასი — ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ი. დ. მასლიუკოვი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე, ს. გ. არუთინიანი — სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ა. ნ. გირენკო — უკრაინის კომპარტიის ყირიმის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ბ. ი. ოლეინიკი — მწერალი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ს. კ. გროსუ — მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. ი. ვიალიასი — ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ს. ა. ნიაზოვი — თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, დ. გ. ზავგაევი — სკკპ ჩეჩნეთ-ინგუშეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი.

პლენუმზე შეიქმნა სარედაქციო კომისია, რომელიც დახვეწს სკკპ პლატფორმის პროექტს „პარტიის ეროვნული პოლიტიკა თანამედროვე პირობებში" და მოამზადებს პლენუმის დადგენილებას განხილულ საკითხზე.

20 სექტემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი განაგრძობს მუშაობას.

# სკკპ მორიგი XXVIII ყრილობის მოწვევის შესახებ

## სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლა

ამხანაგებო!

როგორც იცით, პარტიაში აქტიურად მიმდინარეობს სკკპ ყრილობის მოწვევის საკითხის განხილვა. ამასთან გამოთქვამენ სხვადასხვა აზრებს მისი მოწყობის დროის, ხასიათის, დღის წესრიგის შესახებ. ერთ შემთხვევაში ლაპარაკობენ პარტიის რიგგარეშე, ის კი არა, საგანგებო ყრილობაზე, მეორეში — მორიგი XXVIII ყრილობის მოახლოებაზე. არის ისეთი მოსაზრებებიც, რომ არაფერი არ შევცვალოთ და მოვიწვიოთ ყრილობა დადგენილ ვადაში.

ამ საკითხისადმი საზოგადოების დიდი ინტერესი დამაჯერებლად მოწმობს, რომ ჩვენს ხალხს ესმის, თუ რა მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას ქვეყნის ბედისათვის. საბჭოთა ადამიანები უწინარესად პარტიას, მის პოლიტიკურ და პრაქტიკულ საქმიანობას უკავშირებენ გარდაქმნის გზებზე შემდგომი რევოლუციური ცვლილებების წარმატებას.

პოლიტბიურომ ყოველმხრივ აწონ-დაწონა ახლანდელი სიტუაცია, ქვეყნის წინაშე წამოჭრილი პრობლემების ხასიათი, რომლებიც გააზრებას მოითხოვს, და გამოიტანა დასკვნა, რომ მიზანშეწონილია მოვაახლოოთ პარტიის მორიგი ყრილობის მოწვევა და გავმართოთ იგი 1990 წლის ოქტომბრის მეორე ნახევარში.

დიახ, დრო მალე გადის, გარდაქმნას, რომელსაც დასაბამი მისცეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმმა და პარტიის XXVII ყრილობამ, დღეს პასუხსაგები, მე ვიტყოდი, გარდამტეხი ეტაპი დაუდგა. საზოგადოებაში ბობოქარი რევოლუციური ცვლილებები მიმდინარეობს. მომენტის თავისებურება ის არის, რომ გარდაქმნის კონცეფცია ყველა მიმართულებით უშუალოდ შეეხო ცხოვრებას, მიმდინარეობს ეკონომიკური და პოლიტიკური სტრუქტურების პრაქტიკული გარდაქმნა, მეურნეობრიობის ახალი ფორმებისა და მეთოდების ათვისება.

ჩვენ სამართლიანად ვამბობთ, რომ ამ ბოლო წლებში ჩვენმა საზოგადოებამ დიდი გზა გამოიარა. ეს მართლაც ასეა. საქმე ეხება ქვეყნის გაჭრას დემოკრატიის, თავისუფლების, საჯაროობის გზაზე, მოძველებული თეორიული წარმოდგენების ძირეულ შეცვლასა და ხელახლა შეფასებას, საზოგადოების რევოლუციურ განახლებას. თუ ყოველივე ამას კომპლექსურად შევაფასებთ, მაშინ მივხვდებით, რომ ქვეყანა სულ აღარ არის ისეთი, ოთხმოციანი წლების დამდეგს რომ იყო.

სხვა საქმეა, რომ ჩვენ ჯერ კიდევ შორს ვართ მასშტაბური ნიშნისაგან, რომელიც დავისახეთ, — ჩვენი საზოგადოების თვისებრივად ახლებური მდგომარეობის, სოციალიზმის ახალი, ჰუმანური და დემოკრატიული იერსახის მიღწევისაგან. საამისოდ უნდა გავაღრმაოთ გარდაქმნის კონცეფცია, განვახორციელოთ იგი პრაქტიკულად, დავეყრდნოთ უკვე მის საკუთარ ბაზას, გამოცდილებას, რომელიც პარტიამ და ხალხმა შეიძინეს ამ ბოლო დროს.

განვლილი პერიოდი აღსავსე იყო გამუდმებული ძიებით ჩვენი პოლიტიკის ყველა — ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, ეროვნული მიმართულებით. მაგრამ რეალური ცხოვრება, გარდაქმნის პროცესები ისეთი ტემპით მიმდინარეობს, რომ ხშირად ჩვენ ვერ მივყვებით მათ. ბევრი რამ, რაც წინათ სწორი გვეგონა, დღეს უკვე აღარ გვაკმაყოფილებს. სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებისა და თვით XIX პარტიული კონფერენციის დებულებების მთელი ნოვატორობის მიუხედავად, რომლებიც ერთ წელიწადზე ცოტა მეტი ხნის წინ იქნა მიღებული, საჭიროა შემდგომი წინსვლა, უნდა ვეძებოთ ახლებური მიდგომები და გადაწყვეტები.

გარდაქმნის დინამიზმი, მიმდინარე ძვრების სიღრმე უპრეცედენტო ხასიათისაა და მძაფრ რეაქციას იწვევს საზოგადოებრივ შეგნებაში. ეს ბუნებრივია, სხვაგვარად ვერც იქნება. დისკუსიების დროს საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებს ეძლევა არაერთგვაროვანი, ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხველი შეფასებანი, გამოთქვამენ სხვადასხვა აზრს იმის შესახებ, თუ როგორ გადავწყვიტოთ პრაქტიკულად ჩვენს წინაშე წამოჭრილი მრავალფეროვანი ამოცანები.

ეს დისკუსიები ეხება არა რაღაც მეორეხარისხოვან მომენტებს, არამედ საზოგადოების ცხოვრების კარდინალურ საკითხებს. ჩვენ ვბჭობთ სოციალიზმის განახლების, ჩვენი სამოკავშირეო სახელმწიფოს სრულყოფის გზების შესახებ, გარდაქმნის ეტაპზე ხელისუფლების ხასიათის, ცხოვრების ყველა სფეროს შემდგომი დემოკრატიზაციის, თანამედროვე პირობებში პარტიის როლის შესახებ. საზოგადოების ყურადღების ცენტრშია საკითხები სოციალისტური საკუთრების ხასიათისა და მასში მოქცეული პოტენციალის რეალიზაციის გზების, სოციალისტურ საზოგადოებაში ადამიანის მდგომარეობის შესახებ. აქტიურად განვიხილავთ ჩვენი ქვეყნის როლსაც თანამედროვე სწრაფად ცვალებად მსოფლიოში, რომელიც გარდამტეხ ეტაპს გადის.

ამრიგად, პარტიაში შემოქმედებითი დისკუსიის გაჩაღების საჭიროებაზე ლაპარაკი არ გვიხდება — იგი უკვე გაჩაღებულია. მთავარი ის არის, რომ დისკუსიამ მიიღოს რაც შეიძლება კონსტრუქციული ხასიათი, დაგვეხმაროს როგორც თვით პარტიის, ისე გარდაქმნის პოზიციებზე მდგომი მთელი საზოგადოებრივი ძალების კონსოლიდაციაში, დაგვაძლევინოს აფორიაქებული, ხოლო ზოგჯერ — პანიკური განწყობილება.

ყრილობის მოწვევის ვადების მოახლოებას არანაკლებ გვკარნახობს იმის აუცილებლობა, რომ განვახორციელოთ თვით პარტიის ღრმა განახლება გარდაქმნის ეტაპზე მისი როგორც საზოგადოების პოლიტიკური ავანგარდის ახალი როლის გათვალისწინებით. ახლა პარტიას მართებს იმოქმედოს აქტიურად, შემოქმედებითად. ახლა პარტიული ორგანოებისა და ორგანიზაციების მუშაობას მნიშვნელოვანწილად ბოჭავს ძველი სტრუქტურები, ყავლგასული წესები და ინსტრუქციები. გვაფერხებს ისიც, რომ კადრების ნაწილი ვერ შელევია ძველ სტერეოტიპებს. ჩვენ ვერ მივატოვებთ საქმეს ასეთ მდგომარეობაში, ვინაიდან ახლა, როდესაც ჩაღდება ღრმა ეკონომიკური და სოციალური პროცესები, მიმდინარეობს იდეურ-პოლიტიკური ბრძოლა საზოგადოებრივი განვითარების საკვანძო პრობლემების ირგვლივ, პარტიის სიტყვას, მის პოზიციას, ორგანიზატორულ და იდეოლოგიურ მუშაობას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ზოგან პარტია წინ მიდის, ზოგან კი ჩამორჩება — ეს დიდი და რთული საკითხია. და მე არ მოვყვებოდი მის გამარტივებას, როგორც ამას ზოგიერთები შვრებიან. ცდილობენ შექმნან შთაბეჭდილება, თითქოს რევოლუციური ცვლილებები, რომლებითაც ეს წლები აღინიშნა, უპარტიოდ ხდებოდა, წარმოსახონ პარტია კონსერვატიულ ძალად. სხვები ჩვენს თვითკრიტიკაში ხედავენ იმის სიმპტომს, რომ პარტია თმობს თავის პოლიტიკურ და იდეოლოგიურ პოზიციებს, თავს არიდებს თავისი პოლიტიკური როლის შესრულებას.

ვფიქრობ, ჩვენ გარკვევით უნდა ვთქვათ ჩვენი სათქმელი ამასთან დაკავშირებით. საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ გამოიჩინა საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის, დემოკრატიზაციის ინიციატივა. მას მტკიცედ აქვს განზრახული იაროს ამ გზით. და სწორედ მუშათა კლასის, მთელი ჩვენი ხალხის წინაშე პასუხისმგებლობა ავალებს პარტიას გამოიჩინოს განსაკუთრებული მომთხოვნელობა საკუთარი თავისადმი, საქმით დაამტკიცოს თავისი უფლება ასრულებდეს ავანგარდის როლს საზოგადოებაში.

პატიოსნად უნდა ვაღიაროთ, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გარდაქმნის პროცესში შემუშავებული იმ ნოვატორული იდეების მთელი სიმდიდრის დაუფლება, რომლებმაც აამოძრავა მთელი საზოგადოება, პარტიის მთელ რიგ რგოლებში, კადრების, კომუნისტების ერთ ნაწილს შორის ნელა მიმდინარეობს. ამით ბევრს ვაგებთ.

ახლა განსაკუთრებით გვმართებს ინიციატივა, საქმიანი მიდგომა და შემოქმედებითი მუშაობა. საბოლოოდ უნდა დავძლიოთ ჩვეულება, როდესაც ყველა საკითხში ზემოდან მოველით ხოლმე მითითებებსა და რეკომენდაციებს. გამოვიჩინოთ დამოუკიდებლობა მუშაობაში. ჩვენ გვაქვს ფართო მასშტაბის პროგრამული გადაწყვეტილებები, რომლებიც გარდაქმნის ყველა მხარეს მოიცავენ. ეს გახლავთ სწორედ ის პოლიტიკური ორიენტირები, რომელთა საფუძველზე უნდა იმოქმედონ პარტიის ყველა რგოლმა, პარტიულმა ორგანიზაციებმა, კომუნისტებმა.

ჩვენ პარტიაში ვხედავთ გარდაქმნის საპროგრამო მიზნების მატარებელს, გამაერთიანებელ და მაკონსოლიდირებელ ძალას. წამოაყენა რა საზოგადოების ღრმა დემოკრატიზაციის იდეები, იგი უბრალოდ მოვალეა გარდაქმნას საკუთარი საქმიანობა დემოკრატიულ პრინციპებზე, განამტკიცოს თავისი იდეური ერთიანობა გარდაქმნის პლატფორმაზე. მხოლოდ ასეთს, არსებითად განახლებულსა და ღრმად დემოკრატიულ პარტიას ხელეწიფება კვლავაც გაიყოლიოს მასები.

ამ თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს ახლანდელ საანგარიშო-საარჩევნო კამპანიას პარტიაში. იგი სახავს შესაძლებლობას, რომ ღრმად გავაანალიზოთ ქვეყნის ცხოვრებისა და შესაბამის პარტიულ ორგანიზაციაში ვითარების საჭირბოროტო საკითხები, დავაკონკრეტოთ მის წინაშე მდგომი ამოცანები, დავასახელოთ და უფლებამოსილებანი მივანიჭოთ ადამიანებს, რომლებსაც უნარი შესწევთ წინ წასწიონ გარდაქმნის საქმე.

ჩვენ იმით ვხელმძღვანელობთ, რომ ყრილობის მომზადება, საანგარიშო-საარჩევნო კამპანია, რომელიც მას წინ უძღვის, შესაძლებლობას მოგვცემს არსებითად განვაახლოთ პარტიული ხელმძღვანელობის შემადგენლობა ყველა დონეზე. ეს ეხება ცენტრალურ კომიტეტსაც, რომლის როლი გასაგები მიზეზებით იზრდება. მან უნდა შეისისხლხორცოს პარტიის, მუშათა კლასის, გლეხობის, ინტელიგენციის, საზოგადოების ყველა ფენის ყველაზე შემოქმედებითი ძალები, რომლებიც გარდაქმნის კურსის ერთგულნი არიან. ვფიქრობ, ყრილობის მომზადების დროს და თვით ყრილობაზე უნდა განვიხილოთ, თუ როგორი გვინდა იყოს ახალი ცენტრალური კომიტეტი, როგორ მივუდგეთ მის ფორმირებას, როგორ უნდა იმოქმედოს მან იმისათვის, რომ შეასრულოს თავისი პასუხსაგები მისია.

ნათქვამის გათვალისწინებით, პოლიტბიუროს აზრით, ყრილობის დღის წესრიგი შეიძლება შემდეგი იყოს.

1. გარდაქმნის მიმდინარეობა და პარტიის ამოცანები. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში.
2. სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიში.
3. სკკპ წესდების შესახებ.
4. პარტიის ცენტრალური ორგანოების არჩევნები.

ასეთი დღის წესრიგი შესაძლებლობას მოგვცემს შევაჯამოთ წინასაყრილობო დისკუსიის შედეგები, მივიღოთ მოქმედების პროგრამა უახლოესი პერსპექტივისათვის.

ახლა ყრილობისათვის მზადებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ კონკრეტულ საკითხზე. იმ საკითხთა გარშემო დისკუსიის გააქტიურების მიზნით, რომლებიც ყრილობაზე განიხილება, შეიძლება მოვამზადოთ და 1990 წლის გაზაფხულზე გამოვაქვეყნოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური პლატფორმა, რომელიც ყრილობაზე მისი განხილვის შემდეგ, შეიძლება წარმოვადგინოთ როგორც უახლოესი პერსპექტივისათვის გათვალისწინებული მოქმედების პროგრამა.

ეს არსებითად შეიცავს პასუხს კითხვაზე, რომელსაც ხშირად სვამენ კომუნისტები, — სკკპ ახალი პროგრამის მიღების შესახებ. ჩვენ განვიხილეთ ეს საკითხი პოლიტბიუროში და შემდეგი აზრი გამოვიტანეთ. სავსებით ნათელია, რომ ვერ შემოვიფარგლებით მოქმედი პროგრამის ნაწილობრივი ცვლილებებით. ასეთი მასშტაბისა და მნიშვნელობის ახალი დოკუმენტის შესაქმნელად კი ჯერ კიდევ უნდა დავაგროვოთ თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება გარდაქმნის პოლიტიკური გეზის რეალიზაციის დროს. სწორედ ამიტომაც გთავაზობთ ყრილობაზე მივიღოთ უახლოესი პერსპექტივის საპროგრამო დოკუმენტი.

რაც შეეხება წესდებას, უნდა დავაკანონოთ XIX საკავშირო პარტიულ კონფერენციაზე უკვე დასახული პარტიის ყოველმხრივი დემოკრატიზაციის ღონისძიებანი, განვამტკიცოთ ბევრი რამ იქიდან, რაც ახლა დამკვიდრდა პარტიულ ორგანიზაციათა ცხოვრებაში. საჭირო იქნება აგრეთვე არსებითი სიახლენი, რომლებიც შეეხება პარტიის შემადგენლობის ფორმირებას, კომუნისტთა უფლებებსა და მოვალეობებს, სხვადასხვა პარტიული სტრუქტურის სტატუსს, მათ შორის ურთიერთმოქმედების და სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მათი ურთიერთობის პრინციპებს, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა უფლებების გაფართოებას.

არსებითად, გვჭირდება ახალი წესდება, რომელიც ასახავს ჩვენი რევოლუციური დროის სულისკვეთებას, სტიმულს მისცემს პარტიის გარდაქმნას, უზრუნველყოფს შინაპარტიული დემოკრატიის საიმედო გარანტიებს.

ასეთია ზოგიერთი მოსაზრება, რომლებიც მინდოდა თქვენთვის მომეხსენებინა ამ საკითხზე.

მინდა, ამხანაგებო, დასასრულ გამოვთქვა რწმენა, რომ მორიგი პარტიული ყრილობისათვის მზადება კარგ იმპულსს მიანიჭებს პარტიულ ორგანიზაციათა საქმიანობას საზოგადოების ცხოვრების საჭირბოროტო პრობლემების გადაწყვეტისათვის. ჩვენ უკვე უახლოეს ხანში უნდა უზრუნველვყოთ შემობრუნება უკეთესობისაკენ და, უწინარეს ყოვლისა, იმაში, რაც ადამიანთა ცხოვრების მატერიალურ პირობებს ეხება.

ამის შესახებ არის სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის, უმაღლესი საბჭოსა და მთავრობის გადაწყვეტილებანი, მაგრამ პოლიტბიუროს აზრით, ისინი ნელა სრულდება, საკმარისი სიმტკიცისა და პასუხისმგებლობის გარეშე. ეს ეხება ცენტრალურ, რესპუბლიკურ და ადგილობრივ ორგანოებს, ჩვენს ხელმძღვანელ კადრებს.

როგორ მოვიქცეთ, ველოდოთ ყრილობას, რათა მომწიფებული საკითხები გადავწყვიტოთ? არა. უნდა ვიმოქმედოთ ახლა, დაუყოვნებლივ, ვიმოქმედოთ მტკიცედ და, უწინარეს ყოვლისა, შევანელოთ პირველი საჭიროების საქონლით უზრუნველყოფასთან დაკავშირებული დაძაბულობა, აღმოვფხვრათ დეფიციტი, დავამყაროთ წესრიგი ვაჭრობაში.

დასასრულ მინდა თქვენი ყურადღება შემდეგს მივაპყრო. ყრილობამდე არც ისე ბევრი დრო დარჩა. და იგი ყველა თვალსაზრისით უაღრესად დაძაბულია. პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტასთან ერთად, რაზეც ეს-ეს არის ვილაპარაკე, წინ არის ხელისუფლების რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების არჩევნები, რაც პარტიული ორგანიზაციებისათვის სერიოზული გამოცდა გახდება, სხვა დიდი ღონისძიებანი, რომლებიც დაკავშირებულია ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმის განხორციელებასთან. დიდი მოცულობის სამუშაო დადგება კომუნისტთა წინაშე ახალი ეროვნული პოლიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებით, რომლის შესახებ სჯა-ბაასი გაიმართება პლენუმის დღის წესრიგის მეორე პუნქტის განხილვის დროს.

რაც შეეხება საანგარიშო-საარჩევნო კრებების, პარტიული კონფერენციების, რესპუბლიკების კომპარტიათა ყრილობების მოწყობის კონკრეტულ ვადებს, აგრეთვე ყრილობაზე წარმომადგენლობის ნორმებს, არჩევნების წესსა და მორიგი პარტიული ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ორგანიზაციულ საკითხს, წინადადებათა მომზადება ამ საკითხებზე შეიძლებოდა დაგვევალებინა პოლიტბიუროსათვის და განგვეხილა ისინი ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთ პლენუმზე.

ასეთია ჩვენი მუშაობის მასშტაბი ყრილობისწინა პერიოდში.

# თანამედროვე პირობებში პარტიის ეროვნული პოლიტიკის შესახებ

## სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება

ამხანაგებო!

გარდაქმნის ლოგიკამ, თვით ცხოვრებამ მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ ეროვნულ ურთიერთობაშიც მომწიფდა ყოვლისმომცველი ღრმა გარდაქმნების მოთხოვნილება.

ვთქვათ გულახდილად: 1985 წლის აპრილის შემდეგ ჩვენ ერთბაშად არ გაგვიცნობიერებია ასეთ გარდაქმნათა საჭიროება. აქ, ალბათ, გავლენა იქონია იმ გავრცელებულმა აზრმა, რომ საზოგადოებრივი განვითარების ამ მიმართულებით ჩვენში საქმეები მეტ-ნაკლებად კარგად არის. რა თქმა უნდა, ჩვენ ვიცოდით, რომ არსებობდა არცთუ უბრალო ეროვნული პრობლემები. ამ პრობლემების შესახებ ლაპარაკი იყო სკკპ XXVII ყრილობაზე. მაგრამ მაინც მომწიფებულ ცვლილებათა მთელი მასშტაბი მოგვიანებით გამოვლინდა და ამიტომ XIX პარტიულ კონფერენციაზე ეს საკითხები ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა.

ეროვნებათაშორის ურთიერთობაში შექმნილ დღევანდელ სიტუაციას სხვაგვარად ვერ შევაფასებთ, თუ არა როგორც ერთობ რთულს. ზედიზედ ამოტივტივდა ზედაპირზე აქ გადაუჭრელი საკითხები, თავი იჩინა მრავალი ათეული წლის მანძილზე დაშვებულმა შეცდომებმა და დეფორმაციებმა, იფეთქა წლების განმავლობაში მბჟუტავმა ეროვნებათაშორისმა კონფლიქტებმა. მჭიდრო კვანძად შეიკრა სოციალურ-ეკონომიკური და სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი, ეკოლოგიური და დემოგრაფიული პრობლემები, ენისა და კულტურის განვითარების, ეროვნულ ტრადიციათა შენარჩუნების პრობლემები. ყოველი მათგანი უდიდეს ყურადღებას მოითხოვს, ყოველი მათგანის მიღმა დგას ცოცხალი ადამიანი, მთელი ერების ბედი.

ჩვენ წინაშე დგას ამოცანა — ყოველმხრივ, პრინციპული პოზიციებიდან განვიხილოთ ეროვნული ურთიერთობის მდგომარეობა ქვეყანაში და შევიმუშაოთ პარტიის თანამედროვე სტრატეგია ეროვნულ საკითხში, ამისათვის დავეყრდნოთ ლენინურ პრინციპებს, არსებულ რეალობებს, მსოფლიო საზოგადოებრივი განვითარების გაბატონებულ ტენდენციებს. ამ საკითხზე დისკუსიები პარტიასა და საზოგადოებაში უკვე დიდი ხანია მიმდინარეობს. გაწეულია დიდი ანალიზური მუშაობა. ყოველი ამის შედეგია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პლატფორმის პროექტი, რომელიც გამოქვეყნდა საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის და დღეს გამოტანილია ცენტრალური კომიტეტის პლენუმის განსახილველად. მისი ტექსტი და შემოსული შენიშვნები თქვენ კარგად მოგეხსენებათ. ამიტომ მე შევეხები ზოგიერთ საკვანძო საკითხს.

### I.

ეროვნული საკითხის და უწინარესად **ინტერნაციონალურისა და ეროვნულის თანაფარდობის** საკითხის გადაწყვეტა ჩვენს პარტიას მოუწია რევოლუციის მომზადების ეტაპზეც, და განსაკუთრებით სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის პირობებში. მარქსისტული მოძღვრების სრული შესაბამისობით მას იმთავითვე ინტერნაციონალური პოზიცია ეკავა. ლენინის გაგებით ინტერნაციონალიზმი გულისხმობდა ეროვნული ინტერესების სავალდებულო გათვალისწინებას, თითოეული ერის თავისთავადობის პატივისცემას, ყველა ხალხის თანასწორუფლებიანობის აღიარებას, ყოველგვარი ფორმის ეროვნული ჩაგვრისადმი შეურიგებელ დამოკიდებულებას. ამ მიზნებს შეიძლება მივაღწიოთ და კიდევაც უნდა მივაღწიოთ ყველა ერის მშრომელთა ერთობლივი ძალისხმევით. ასეთია ინტერნაციონალურისა და ეროვნულის ლენინური დიალექტიკა.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ პარტიის წინაშე პრაქტიკულ სიბრტყეზე დადგა ეროვნული პოლიტიკის კონკრეტული გზებისა და მისი რეალიზაციის ფორმების შემუშავების ამოცანა. საბჭოთა ხელისუფლებას ცარიზმისაგან მძიმე მემკვიდრეობა ერგო: ქვეყანას ღრღნიდა ეროვნებათაშორისი წინააღმდეგობანი, აქ მცხოვრები ხალხები იყვნენ არა მარტო უუფლებო მდგომარეობაში, არამედ ეკონომიკური და სულიერი განვითარების სხვადასხვა საფეხურზეც. ასეთ პირობებში სახელმწიფო წყობილების პრობლემა საარსებო მნიშვნელობას იძენდა. მაშინ ბევრი ავტონომიზაციას ან უნიტარულ სახელმწიფოსაც კი მოითხოვდა. მით უფრო დიდია ლენინის დამსახურება, რომელმაც შეძლო სწორად დაენახა მასების განწყობილება და საზოგადოების განვითარების საარსებო მოთხოვნილებანი, და ამ საფუძველზე შეემუშავებინა ეროვნულ საკითხში პარტიის ოპტიმალური სტრატეგია.

ასე იშვა ახალი ისტორიული ტიპის სახელმწიფო ფედერაციის იდეა, რომელიც მთელი ქვეყნის და მასში მცხოვრები თითოეული ხალხის დინამიკური განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყარო გახდა. იმპულსმა, რომელიც მისცა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნამ, განსაზღვრა ჩვენი მრავალეროვანი საზოგადოების განვითარების მაგისტრალური გზა, თუმცა შემდგომში სტალინმა და მისმა გარემოცვამ, არ ხელყოფდნენ რა პირდაპირ სახელმწიფოებრიობის ფედერაციულ ფორმას, სცადეს მაინც საქმით შეესხათ ხორცი ავტონომიზაციის თავიანთი იდეისათვის.

ამ ბოლო ხანს ბევრს და მწვავედ აკრიტიკებენ დეფორმაციებს ეროვნული ურთიერთობის სფეროში, ზეცენტრალიზმის, ბიუროკრატიული მმართველობის, მთელი რიგი ხალხების მიმართ დაშვებული უსამართლობის დამღუპველ შედეგებს. ასეთი კრიტიკა გამართლებულია, უფრო მეტიც — იგი აუცილებელია. საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიაში არ უნდა დარჩეს არც ერთი „თეთრი ლაქა". საზოგადოებას უნდა ჰქონდეს სრული და ამომწურავი ინფორმაცია ყველა მისი ეპიზოდის შესახებ, რაგინდ მწარეც უნდა იყოს ისინი. მაგრამ, განვაგრძობთ რა და, ასე განსაჯეთ, ვაღრმავებთ რა ანალიზს, ლენინური ეროვნული პოლიტიკის დამახინჯებათა კრიტიკას, ჩვენ არ უნდა დავუშვათ, რომ ერთი უსამართლობის ან ტყუილნარევი სიმართლის ადგილი მეორემ დაიკავოს.

ჩვენ მკაცრად ობიექტური პოზიციებიდან უნდა მივუდგეთ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის — კაცობრიობის ისტორიაში ამ უნიკალური მოვლენის შექმნისა და განვითარების ისტორიას. უნაყოფო და მიუღებელია წარსულის იდეალიზების, მხოლოდ და მხოლოდ ვარდისფრად მისი წარმოსახვის ცდები. ეს, როგორც უკვე ვნახეთ, არ ემსახურება მშრომელთა ინტერესებს, სოციალიზმის საქმეს. მაგრამ ზუსტად ასევე შეცდომა იქნებოდა დავდგომოდით წარსულისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულების გზას. და არა მარტო იმიტომ, რომ იგი შეიცავს ახალი საზოგადოების მშენებლობისათვის მრავალი თაობის ბრძოლის, ხალხთა შორის ახალი ურთიერთობის ფორმირების გამოცდილებას, არამედ იმიტომაც, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ უფლება გვაქვს აღვნიშნოთ უდიდესი ისტორიული მიღწევები.

დაშვებული დეფორმაციებისა და შეცდომების მიუხედავად, საბჭოთა სახელმწიფოს განვითარებაში უნდა ვხედავდეთ მთავარს. ჩვენ უფლება არა გვაქვს დავივიწყოთ, რომ საქმე ეხება ყველა იმათი ცხოვრებისა და ბედის, აზრებისა და საქმეების შეფასებას, ვინც აშენებდა ამ სახელმწიფოს,

(გაგრძელება მე-2 გვ.).

# მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება

(გაგრძელება)

თავისი მხრებით ზიდა ქვეყნის ეკონომიკური ჩამორჩენილობის დაძლევის ტვირთი, ერთიან მწყობრში იცავდა სამშობლოს დიდ სამამულო ომში, აღადგენდა მას ნანგრევებიდან ომისშემდგომ წლებში.

ყველანი ჩვენ ბავშვობიდან ვიზრდებოდით ინტერნაციონალიზმით გაჟღენთილ საზოგადოებრივ ატმოსფეროში. ხალხთა მეგობრობა ჩვენთვის რაღაც აბსტრაქტული ლოზუნგი კი არა, სადაგი დღეების რეალობა იყო. განა ჩვენ შეგვიძლია დავივიწყოთ ეს, უარი ვთქვათ ჩვენი რევოლუციის ინტერნაციონალისტურ მემკვიდრეობაზე? არ შეიძლება დავუშვათ, რომ დღეს თავსდამტყდარმა სიძნელეებმა და პრობლემებმა დაფაროს ფუნდამენტური ღირებულებანი, რომლებიც ჩამოყალიბდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში და რომლებსაც ეფუძნება ჩვენი მრავალეროვანი ქვეყანა. ასე ვიტყვი: ყოველგვარი ცდები, დაამახინჯონ და დააკნინონ რეალური მიღწევები ეროვნული ურთიერთობის დარგში, საბჭოთა ადამიანების რამდენიმე თაობის ხსოვნის წაბილწვაა, ისინი ვერ უძლებს კრიტიკას, ჩვენი ცხოვრების ფაქტებთან შედარებისას.

თუ ვინმე დღეს ამტკიცებს, თითქოს ეროვნული განვითარებისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის საკითხებში საბჭოთა ხელისუფლებას არ მოეტანოს ასე თუ ისე არსებითი ცვლილებანი იმასთან შედარებით, რაც რევოლუციამდელ რუსეთში იყო, ეს სხვა არა არის რა, თუ არა სინამდვილის არაკეთილსინდისიერი დამახინჯება, რომელსაც იყენებენ ეროვნულ ვნებათა გაღვივებისა და ყოველგვარი ექსტრემისტულ მოთხოვნების დასაბუთებისათვის.

ზოგი ვინმე, ნაციონალიზმით გაშმაგებული, იქამდეც კი მიდის, რომ ინტერნაციონალიზმს, ხალხთა მეგობრობას აცხადებს არაფრის მაქნის პროპაგანდისტულ ლოზუნგებად, მითებად, რომლებიც არ ასახავს საქმის რეალურ მდგომარეობას. მაგრამ აქ საკამათოც არაფერი არ არის. ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში დღენიადაგ ვლინდება ძმური დახმარება, თანამშრომლობა, ერთმანეთის საქმეებისა და საზრუნავის თანაზიარობა. თუმცა, როგორც უკვე ვთქვი, დღეს ეროვნებათშორის ურთიერთობაში ვაწყდებით სერიოზულ კონფლიქტებსა და დაგროვილ პრობლემებს.

საკითხს იმის შესახებ, თუ რა მოუტანა ჩვენს ხალხებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ეროვნულმა პოლიტიკამ, საბჭოთა ფედერაციის განვითარებამ, პრინციპული მნიშვნელობა აქვს. მოდით, საქმეს შევხედოთ სამი ძირითადი განზომილებით — პოლიტიკური, ეკონომიკური და სულიერი განზომილებებით.

**პოლიტიკური თვალსაზრისით** ოქტომბრისა და შემდგომი სოციალისტური გარდაქმნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგია ის, რომ რუსეთის ხალხებმა შეიძინეს ეროვნული სახელმწიფოებრიობის სხვადასხვა ფორმა.

ღირს, ამხანაგებო, გავიხსენოთ, რომ მეფის რუსეთში არ იყო უკრაინა, ბელორუსია, საქართველო, არამედ იყო რუსეთის იმპერიის გუბერნიები. მათი ხალხები არ ითვლებოდნენ მთლიან ერებად, ისინი მიაჩნდათ მხოლოდ „მისი იმპერატორული უდიდებულესობის" ქვეშევრდომებად. იგივე ეხება ამიერკავკასიის სხვა ხალხებს, ბალტიისპირეთის, მოლდავეთის ხალხებს. შუა აზიაში უფრო უარესი მდგომარეობაც იყო — ადმინისტრაციულ წყობას საფუძვლად ედო ფეოდალურ-თეოკრატიული დესპოტიების ნაშთები.

რევოლუციის შემდეგ მიმდინარეობდა ერთმანეთთან მჭიდროდ გადახლართული ერთა კონსოლიდაციის, მათი სოციალისტური სახელმწიფოებრიობის ფორმირებისა და ამავე დროს თანამოქმედების, ფედერაციაში გაერთიანების რთული პროცესები. ამ მხრივ გადამწყვეტი ნიშანსვეტები გახდა 1922 წელი, როცა დაიდო ხელშეკრულება სსრ კავშირის შექმნის შესახებ, 1924 — პირველი საკავშირო კონსტიტუციის მიღების წელი. 1940 წელს სსრ კავშირის შემადგენლობაში მოლდავეთის სსრ შეიქმნა. ამავე წელს კავშირში შემოვიდნენ ლიტვა, ლატვია, ესტონეთი. ეს ხდებოდა რთულ ისტორიულ პერიოდში, როცა უკვე ჩაღდებოდა მეორე მსოფლიო ომის ხანძარი და ფაშიზმი ერთმანეთის მიყოლებით იპყრობდა ქვეყნებს. დამონების რეალური საფრთხე შეექმნათ ბალტიისპირეთის ხალხებსაც.

ახლა ისტორიის ამ მონაკვეთზე მომხდარი ამბების გამო დიდი დისკუსიები მიმდინარეობს. აქ ბევრი რამ კიდევ უნდა გავაანალიზოთ და შევაფასოთ. მაგრამ იმის საფუძველი არა გვაქვს, რომ საეჭვო გავხადოთ მაშინ მიღებული გადაწყვეტილება სსრ კავშირის შემადგენლობაში ბალტიისპირეთის რესპუბლიკების შემოსვლის შესახებ, მათი ხალხების არჩევანი.

ისიც ცხადია, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობამ, რომელიც სხვადასხვა ღონისძიებას ახორციელებდა ქვეყნის უშიშროების განსამტკიცებლად ფაშისტური საფრთხის პირობებში, დაუშვა საგარეო პოლიტიკის ლენინური პრინციპების უკიდურესად უხეში დარღვევები. პოლიტიკისა, გავლენის სფეროების დაყოფის რომ უარყოფს. ჩვენ ამას უყოყმანოდ ვგმობთ.

საერთოდ, ამხანაგებო, ჩვენ ისტორიული სიმართლის სრული აღდგენის მომხრენი ვართ. არ შეიძლება ისტორიის გადაწერა სუბიექტური წარმოდგენებისა და პოლიტიკური ანგარიშების მიხედვით, დღევანდელობის ვნებათაღელვისა და ამბიციების კარნახით. მოვლენათა მსვლელობას უკან ვერ შევაბრუნებთ. წინსვლა შეიძლება მხოლოდ ისტორიულ სიმართლესა და თანამედროვე მსოფლიოს რეალობაზე დაყრდნობით.

ისტორიული განვითარების შედეგად, მთელი მისი წინააღმდეგობრიობის მიუხედავად, ჩამოყალიბდა ერთიანი საკავშირო სოციალისტური სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზე ასზე მეტი ხალხი ცხოვრობს. მას აქვს რთული სტრუქტურა, იგი წარმოდგენილია მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკებით, ავტონომიური ოლქებით და ოკრუგებით. შესაბამისად ჩამოყალიბდა წარმომადგენლობითი ხელისუფლების და მართვის ორგანოები, სხვა პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ინსტიტუტები, რომელთა მეშვეობით ხალხებს ისტორიული შემოქმედების პროცესში ჩაბმის გზა გაეხსნათ.

მაგრამ ამ სისტემის ფუნქციონირებას და ამით ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები ხალხების მრავალფეროვანი ინტერესების რეალიზაციას უდიდესი ზარალი მიაყენა უნიტარიზმმა, ხელმძღვანელობის მბრძანებლურ-ადმინისტრაციულმა მეთოდებმა, რომლებიც ზღუდავდნენ რესპუბლიკებისა და სხვა ეროვნული წარმონაქმნების უფლებებს, ფიტავდნენ ფედერაციის რეალურ შინაარსს, აბრკოლებდნენ მთელი ჩვენი საზოგადოების პროგრესს.

არ შეიძლება აქ არ ითქვას წარსულში, განსაკუთრებით ომის წლებში და პირველ ომისშემდგომ ხანებში, ზოგიერთი ხალხის მიმართ დაშვებული უსამართლობებისა და უკანონობის აქტების შესახებაც. თუმცა ამის თაობაზე უკვე არის შესაბამისი პოლიტიკური გადაწყვეტილებები და პრინციპული შეფასებებიც მიცემულია, დღეს, როცა ეროვნული პოლიტიკის საკითხებს განვიხილავთ, საჭიროა კიდევ ერთხელ განვაცხადოთ: საბოლოოდ უნდა დაიგმოს თვითნებობის ფაქტები და ხალხების გასახლება მათი ცხოვრების ადგილებიდან დიდი სამამულო ომის წლებში. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ შელახული უფლებები აღვუდგინოთ საბჭოთა გერმანელებს, ყირიმელ თათრებს, მესხელ თურქებს, ყალმუხებს, ბალყარელებს, ყარაჩაელებს, ჩეჩნებს, ინგუშებს, ბერძნებს, კორეელებს, ქურთებს. ეს ძნელი, ზოგიერთ შემთხვევაში მტკივნეული საქმეა. მაგრამ, რაგინდ ძნელიც უნდა იყოს ეს, არის მხოლოდ ერთი გზა—დაჟინებით ვეძებოთ ყველასათვის მისაღები გადაწყვეტილებები, რომლებიც გაითვალისწინებს სადღეისოდ ჩამოყალიბებულ რეალობებს.

ახლა **საქმის ეკონომიკური მხარის** შესახებ.

ყოფილი ეროვნული განაპირა მხარეების დაჩქარებული განვითარების მიზანდასახული პოლიტიკის შედეგად საბჭოთა ხელისუფლების წლებში ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში შეიქმნა საკუთარი მრავალდარგოვანი ინდუსტრია, დაახლოვდა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეები. თუ 1926 წელს მაქსიმალური სხვაობა ერთ სულ მოსახლეზე სამრეწველო პროდუქციის წარმოებაში ძველი სამრეწველო რაიონები ეროვნულ განაპირა მხარეებს მაქსიმალურად 38-ჯერ სჭარბობდნენ, 1941 წელს ეს მაჩვენებელი 4,1-მდე შემცირდა, ხოლო ამჟამად დაახლოებით 2,3-ს შეადგენს. თუ ჯერ კიდევ 50-იანი წლების დამლევს მუშების რიცხვი სჭარბობდა მხოლოდ რუსეთის ფედერაციაში, ესტონეთსა და ლატვიაში, 70-იანი წლების ბოლოს ასეთი მდგომარეობა იყო პრაქტიკულად ყველა რესპუბლიკაში. თუ ჯერ კიდევ ომის წინ ბევრ ხალხს არ ჰყავდა მომზადებული კადრები, ახლა მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა, მათ ყველას ჰყავთ ასეთი კადრები, მათ შორის უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტები.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ ათწლეულებში ლაპარაკიც არ შეიძლებოდა რესპუბლიკათაშორის ეკონომიკური გაცვლის რაიმე ეკვივალენტურობაზე, „გათანაბრების" პოლიტიკის ძირითადი სიმძიმე მაშინ დააწვა ეკონომიკური თვალსაზრისით უფრო განვითარებულ რეგიონებს, უწინარეს ყოვლისა რუსეთის ფედერაციასა და უკრაინას. მაგრამ მატერიალური და ტექნიკური დახმარების ნაკადი ყოველთვის არ მიდიოდა მხოლოდ კავშირის ევროპული ნაწილიდან აზიურში. საკმარისია გავიხსენოთ ომისშემდგომი ძნელბედობის წლები. მთელი ფედერაცია აბანდებდა სახსრებს, რათა ნანგრევებიდან აღედგინათ მტრის შემოსევით გაჩანაგებული რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის, მოლდავეთის ოლქები, წელში გაემართათ ბალტიისპირეთის რესპუბლიკების მრეწველობა და სოფლის მეურნეობა.

მოკლედ რომ ვთქვათ, ყველა ჩვენი ხალხის ერთობლივი მეცადინეობით საბჭოთა ხელისუფლების წლებში უდიდესი დოვლათი შეიქმნა. ყოველ ხალხს უფლება აქვს ეგულებოდეს ამ დოვლათში თავისი შრომის ნაწილიც, მიიჩნიოს იგი საკუთარ კუთვნილებად, საერთო კაპიტალად. გეგმიან საფუძველზე სსრ კავშირის ეკონომიკის მრავალწლიანი განვითარების შედეგად მიღწეულია მისი ინტეგრირებულობის მაღალი დონე, ჩამოყალიბდა მთლიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსი. ამასთან საქმე ეხება არა უბრალოდ საწარმოო სიმძლავრეთა ჯამს, არამედ სწორედ ერთიან ეკონომიკურ ორგანიზმს, რომლის ცალკეულ ნაწილებს არ შეუძლიათ არსებობა მთლიან სახალხო მეურნეობასთან ჩამოყალიბებული და მზარდი კავშირების გარეშე.

აღვნიშნავ რა ამ მიღწევებს, სულაც არ მინდა ვამტკიცო, რომ მიღწეულია ზღვარი ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველა ელემენტის ჰარმონიული ურთიერთკავშირის უზრუნველყოფაში. სამწუხაროდ, ჩვენ აქ ბევრ რამეში ჩამოვრჩებით და შრომის კოოპერაციის შემდგომი გაღრმავება ჩვენი განვითარების უმნიშვნელოვანესი რეზერვია. მაგრამ ასეთ პირობებშიც კი სახალხო მეურნეობაში მიღწეული ურთიერთკავშირის სიმჭიდროვე პირდაპირ ჯანყდება მისი დარღვევის ყველა ცდის წინააღმდეგ. ჩვენ ყველამ სრულად უნდა გავიცნობიეროთ ეს, რათა თავი დავიზღვიოთ შეცდომებისაგან გადაწყვეტილებების დროს, რომლებსაც ვიღებთ და მივიღებთ გარდაქმნის განხორციელებისას.

თავს ნებას მივცემ მოვიყვანო ზოგიერთი ციფრი, რომლებიც ახასიათებს რესპუბლიკათაშორის ურთიერთობას დარგთაშორისი ბალანსის საფუძველზე. შემოტანილი სამრეწველო პროდუქციის წილი მის საერთო რესპუბლიკურ მოხმარებაში 1987 წელს შეადგენდა: რუსეთის ფედერაციაში — 18 პროცენტს, უკრაინაში — 26, ბელორუსიაში — 39, ყაზახეთში — 33, ამიერკავკასიის რესპუბლიკებში — 33-დან 40-მდე, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში — 39-დან 42-მდე, შუა აზიის რესპუბლიკებში — 37-დან 47-მდე და მოლდავეთში — 44 პროცენტს.

რუსეთის მძლავრი ნავთობისა და გაზის კომპლექსი უზრუნველყოფს ენერგეტიკულ რესურსებზე ყველა რესპუბლიკის მოთხოვნილებათა მეტ ნაწილს. რუსეთის სფსრ, უკრაინა და ყაზახეთი მთელ ქვეყანას ამარაგებენ ლითონით, აწარმოებენ მარცვლეულის 90 პროცენტს. შუა აზია ბევრ სხვა საქონელთან ერთად გვაწვდის ისეთ უნიკალურ პროდუქტს, როგორიცაა ბამბა. ბელორუსია, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი უშვებენ ზუსტი მანქანათმშენებლობისა და მსუბუქი მრეწველობის პროდუქციას, არიან ხორცის, რძისა და კარტოფილის დიდი მიმწოდებლები. ეკონომიკაში თავიანთი სახე აქვთ ამიერკავკასიის რესპუბლიკებსა და მოლდავეთს. ანალიზი მოწმობს, რომ პრაქტიკულად ვერც ერთი რესპუბლიკა დამოუკიდებლად ვერ შექმნიდა ისეთ პოტენციალს, როგორიც დღეს აქვს. და ზუსტად ასევე ვერც ერთი ვერ შეძლებდა უზრუნველეყო მისი ნორმალური ფუნქციონირება და ეფექტიანი გამოყენება. ასეთია ხალხთა მეცადინეობის გაერთიანების შედეგი.

რეალობანი ასეთია. ლატვიის სს რესპუბლიკაში, მაგალითად, შეტანის ხარჯზე კმაყოფილდება სათბობზე მოთხოვნილებათა 96 პროცენტი, ენერგიაზე — 50, შავ ლითონებზე — 90, ფერად ლითონებზე — 100, ნედლეულ ქიმიურ მასალებზე — 80, მანქანათმშენებლობის პროდუქციაზე — 63 პროცენტი. ყოველწლიურად მეცხოველეობის საჭიროებებისათვის შეაქვთ დაახლოებით მილიონნახევარი ტონა მარცვლეული — აქ გამოყენებული კონცენტრირებული საკვების ნახევარზე მეტი.

ანალოგიური სურათია სხვა რესპუბლიკებში. სომხეთი, მაგალითად, შეტანის ხარჯზე იკმაყოფილებს სათბობზე მოთხოვნილების 100 პროცენტს, შავ მეტალურგიაზე — 93, ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის პროდუქციაზე — 56, მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების პროდუქციაზე — 32, ხორცეულზე — 37 და რძის პროდუქტებზე — 64 პროცენტზე მეტს, უზბეკეთის სს რესპუბლიკაში შეტანის ხარჯზე კმაყოფილდება ნავთობისა და გაზის მრეწველობის პროდუქციაზე მოთხოვნილების 50 პროცენტი, ქვანახშირის პროდუქციაზე — 56, შავი მეტალურგიის ნაწარმზე — 80, ფერადი მეტალურგიის პროდუქციაზე — 48 პროცენტს.

ყოველი ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წანამძღვარია განვითარებული ბაზრის არსებობა. ცნობილია, თუ რა გაფთრებული ბრძოლა წარმოებს მსოფლიოში გასაღების ბაზრებისათვის და უდავოა, ყველა ჩვენი რესპუბლიკისა და რეგიონის დიდი უპირატესობაა ის, რომ არსებობს პრაქტიკულად შეუზღუდავი საერთო-საკავშირო ბაზარი. აი მაგალითი. ლიტვა სხვა რესპუბლიკებს აწვდის გამოთვლით, სატელევიზიო და ხმის ჩამწერ ტექნიკას, ჩარხმშენებლობის, ელექტროტექნიკური, მსუბუქი და კვების მრეწველობის პროდუქციას და სანაცვლოდ იღებს რუსეთის ტექნოლოგიურ მოწყობილობას, ავტომობილებს, ტრაქტორებს, კომბაინებს, ნავთობპროდუქტებს, უკრაინულ ლითონსა და ქვანახშირს, ბელორუსიის კალიუმის სასუქებს, შუა აზიის ბამბას, ყაზახეთის ფერად ლითონებსა და მატყლს, მოლდავეთისა და ამიერკავკასიის ხილს.

შექმნილი ეკონომიკური რეალობების გააზრებასა და ანალიზის დასკვნებს პრინციპული მნიშვნელობა აქვთ თანამედროვე ეროვნული პოლიტიკის შემუშავებისათვის. ამავე დროს, რა თქმა უნდა, უყურადღებოდ არ უნდა დავტოვოთ ის ნეგატიური პროცესები, რომლებიც იყო საწარმოო ძალების არარაციონალური განლაგების შედეგი, და რომლებსაც მოჰყვა მწვავე ეკოლოგიური და დემოგრაფიული სიტუაციების წარმოქმნა. ახლა ჩვენში ზოგან აკლიათ მუშახელი, მთლიანად ვერ იყენებენ შექმნილ სიმძლავრეებს, რის გამოც საზოგადოებას დიდი ეკონომიკური დანაკარგები აქვს. სხვა რეგიონებში, უწინარეს ყოვლისა, შუა აზიისა და გარკვეულწილად ამიერკავკასიის რესპუბლიკებში, მოლდავეთში, პირიქით, წარმოიქმნა ჭარბი შრომითი რესურსები. ეს სოციალური დაძაბულობის, კონფლიქტური სიტუაციების წარმოქმნის ერთ-ერთი წყარო ხდება, მათ შორის — ეროვნებათშორისი ურთიერთობის სფეროში. ამის დადასტურება უკანასკნელ ხანს საკმაოზე მეტია.

შექმნილი სიტუაციის მიზეზებში საფუძვლიანად უნდა გავერკვეთ, ყველა ეს საკითხი ღრმად უნდა გავიაზროთ ჩვენი ეკონომიკის გარდაქმნის კონცეფციაზე შემდგომი მუშაობის ფარგლებში. ამ თვალსაზრისით არის წინადადებანი უზბეკეთისაგან, მზადდება ისინი სხვა რესპუბლიკებშიც. უნდა განვაგრძოთ ეს მუშაობა, რათა უკვე მეცამეტე ხუთწლედში გადავდგათ სიტუაციის გამოსწორების გზაზე პირველი სერიოზული ნაბიჯები.

მაგრამ, აი, ამასთან დაკავშირებით რა მინდა ვთქვა, ამხანაგებო. ახლა ვლაპარაკობთ და სწორადაც ვლაპარაკობთ ზეცენტრალიზაციის, ეკონომიკის ამა თუ იმ დარგის განვითარებაში უწყებების დიქტატისა და თვითნებობის დამღუპველ შედეგებზე. არადა დღეს შეიძლება გიჩვენოთ ის, რაშიც შეჯამებულია მოკავშირე რესპუბლიკების თხოვნა უკანასკნელი ათი წლის მანძილზე, რომ ავაშენოთ ახალი საწარმოები, შექმნათ მრეწველობის მთელი დარგები. ბევრი რამ იქიდან, რასაც დღეს ბრალად სდებენ ცენტრს, გაჩნდა რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების მტკიცე არაერთგზისი თხოვნის შედეგად. აიღეთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიათა სტენოგრამები, და დაინახავთ, რომ ისინი გამსჭვალულია ამგვარი დაუსრულებელი თხოვნით. არადა დღემდე რამდენი ბარათი მოდიოდა სკპ ცენტრალურ კომიტეტში! ამასთან, ცდილობდნენ რა მიეღოთ ესა თუ ის საპრესტიჟო ობიექტი, ადგილობრივი ხელისუფალნი ხშირად თანხმდებოდნენ ცენტრალური უწყებების ყველაზე სასტიკ პირობებზე, სოციალური განვითარებისათვის გამოიყოფოდა მინიმალური სახსრები, ადამიანთა საჭიროებებს ფაქტობრივად უგულებელყოფდნენ. ამ პრობლემებს ზოგადი ხასიათი აქვს, მაგრამ ჩვენი ქვეყნის პირობებში მათ ეროვნული ელფერი შეიძინეს.

თუ ზოგადად ვილაპარაკებთ, ეკონომიკაში ჩვენ გვაქვს ის, რასაც შეიძლება დავეყრდნოთ, მაგრამ სამუშაოც ულევია.

თუ შევაფასებთ ვითარებას ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის ცხოვრების **სულიერ სფეროში,** უწინარეს ყოვლისა ღირსეულად უნდა შევაფასოთ უზარმაზარი, ისტორიული მოღვაწეობისა და მნიშვნელობის მუშაობა, რომლებმაც შესაძლებლობა მოგვცა სრული გაქრობისაგან გვეხსნა ან აგვეღორძინებინა, ახალი სული შთაგვებერა ბევრი უნიკალური ეროვნული ტრადიციისათვის, უზრუნველგვეყო ყველა ხალხის კულტურის მძლავრი აღმავლობა.

ჩვენ ხშირად ვხმარობთ ჩვეულებრივ გამოთქმას, რომ საბჭოთა ხელისუფლების დროს ზოგიერთმა ხალხმა პირველად მიიღო დამწერლობა. ეს რას ნიშნავს? წაართვით ადამიანს შესაძლებლობა ილაპარაკოს და წეროს მშობლიურ ენაზე, იცოდეს თავისი ხალხის ისტორიული გზა, ეპოსი, და იგი, რაც უნდა წარმატებებსაც აღწევდეს მატერიალური თვალსაზრისით, უკვე უთვისტომოა და, მაშასადამე, სულიერად ბერწია.

ჩვენს ქვეყანაში კულტურული რევოლუციის ლენინურმა პოლიტიკამ არსებული ყველა დეფორმაციის მიუხედავად, შთამბეჭდავი შედეგები მოიტანა. ახლა თითოეულ ჩვენს ხალხს ჰყავს ეროვნული კულტურის მატარებელი თავისი მეცნიერი და შემოქმედი ინტელიგენცია, რომელზეც დამოკიდებულია, რომ იგი ეზიაროს სხვა საბჭოთა ერების ღირებულებებს, ცოდნის მსოფლიო საგანძურსა და მხატვრულ კლასიკას. ყოველ რესპუბლიკაში არის სამეცნიერო ცენტრები, უნივერსიტეტები და ინსტიტუტები, სახალხო განათლების ფართო ქსელი, აქვთ თავიანთი თეატრები, ვითარდება ეროვნული კინემატოგრაფია, ფერწერა და არქიტექტურა. მაგრამ ხომ ცნობილია, რომ სამეცნიერო და მხატვრული შემოქმედების მრავალი მიმართულება ვერ განვითარდება ყოვლისმხრივი სახელმწიფო მხარდაჭერის, საზოგადოების ზრუნვისა და ყურადღების გარეშე. ყოველივე ეს იკისრა საბჭოთა ხელისუფლებამ, და ეს არის მისი უდიდესი ჰუმანისტური მისია.

როცა ჩვენი სულიერი განვითარების შედეგებზე ვლაპარაკობთ, შეუძლებელია უყურადღებოდ დავტოვოთ ეროვნულ კულტურათა მზარდი ურთიერთკავშირიც. ჩვენი ხალხების ერთობლივი ცხოვრებისა და სოციალისტური გზით წინსვლის შედეგია თავისი მრავალფეროვნებით, სხვადასხვაგვარი ეროვნული თავისებურებებითა და ტრადიციებით მდიდარი საბჭოთა კულტურის ჩამოყალიბება. ესეც მოძმე ხალხთა თანამშრომლობის ღირსეული ნაყოფია და ჩვენ ვამაყობთ ამით.

მაგრამ მით უფრო შეუწყნარებელია, რომ სოციალისტური ცხოვრების წესის მკაფიო გამოვლინებებთან ერთად ამ სფეროშიც უმწვავესი პრობლემები დაგროვდა. დაუსაბუთებლად გაუქმდა 20-იან წლებში შექმნილი ათასობით ეროვნული რაიონი, სადაბო და სასოფლო საბჭო, რომლებიც წარმატებით ასრულებდნენ თავიანთ ფუნქციებს. წარმოიქმნა სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა ეროვნული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების პრობლემები, რომლებიც, ბუნებრივი პროცესების გამო, ქვეყნის ყველა რეგიონში განსახლებული აღმოჩნდნენ.

განსაკუთრებით მწვავე ხასიათი შეიძინა ენებისა და ყოველივე იმის განვითარების პრობლემებმა, რაც მათთან არის დაკავშირებული, — სწავლების, საგამომცემლო საქმიანობის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში გამოყენების შესაძლებლობათა პრობლემებმა. ეკონომიკური, სოციალური და დემოგრაფიული ფაქტორების გავლენით მიმდინარეობდა ეროვნული ენების მოქმედების სფეროს გარკვეული შემცირება, რასაც წარსულში გავრცელებული ერთა ფორსირებული შერწყმის შესახებ იმ თეორიული პოსტულატების სახარბიელოდ ხსნიდნენ, რომლებიც საპროგრამო მითითებათა დონეზე იყო აყვანილი. და თუმცა ეს პროცესები საზოგადოების კანონიერ შეშფოთებასა და წუხილს იწვევდა, მათში უფრო ღრმად გარკვევისა და რაციონალური გადაწყვეტის გზების გამონახვის სალი ცდები ხშირად კვალიფიცირებული იყო როგორც ნაციონალიზმი აქედან გამომდინარე ყველა შედეგით. ასეთ პრაქტიკას შედეგად მოჰყვა ზოგიერთი ხალხის ეროვნული ენების როლის დაქვეითება, და გასაგებია მათი მისწრაფება მშობლიური ენის შენარჩუნებისა და განვითარებისადმი, თავისი კულტურის ღირებულებათა გამრავლებისადმი.

ჩვენთვის ფრიად საჭიროა შევიმუშაოთ მკაფიო პოზიცია ამ საარსებო მნიშვნელობის პრობლემის გამო, რომელმაც პოლიტიკური ხასიათი შეიძინა და ქვეყნის მთელი მოსახლეობის ინტერესებს შეეხება. თანაც პოზიცია, რომელსაც საფუძვლად დაედება ყველა სამართლიანი მისწრაფების გათვალისწინება, საყოველთაო თანხმობა.

ასეთია ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის განვითარების შედეგები, ასეთია — რა თქმა უნდა, ზოგადად — საბჭოთა საზოგადოების რეალობანი, რომლებიც უნდა გავითვალისწინოთ სწორედ თანამედროვე პირობებში ეროვნული პოლიტიკის შემუშავებისას.

## II.

ამხანაგებო! პლენუმის განსახილველად წარმოდგენილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პლატფორმის პროექტში, ბუნებრივია, საქმე ეხება მომწიფებული პრობლემებისადმი საერთო მიდგომას, რომლიდანაც კონკრეტულ გადაწყვეტილებათა მიღება სსრ კავშირის, მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების პრეროგატივაა.

პლატფორმამ ცხოველი ინტერესი გამოიწვია პარტიაში, საზოგადოების ყველა ფენაში, ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები ყველა ეროვნების წარმომადგენელთა შორის. მის პრინციპულ დებულებებს ფართოდ დაუჭირეს მხარი, გამოითქვა აზრი და საინტერესო წინადადება. ზოგიერთი თეზისი გაკრიტიკებულია — ესეც იყო.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პლატფორმამ დიდი ყურადღება მიიპყრო საზღვარგარეთაც. ეს უკავშირდება როგორც ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნის პროცესებისადმი ცხოველ ინტერესს, ასევე იმას, რომ ეროვნული პრობლემები დღეს აქტუალურია მრავალ ქვეყანაში, მე ვიტყოდი, გლობალური ხასიათი აქვს.

პლატფორმის პროექტის შეფასებისა და გააზრებისას, თქვენ, რა თქმა უნდა, ყურადღებას მიაქცევდით იმას, რომ მთელი მისი შინაარსი უშუალოდ უკავშირდება ამოცანათა კომპლექსს, რომლებსაც ვწყვეტთ გარდაქმნის, პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმის ფარგლებში. ეს ბუნებრივია. აქ, რომ იტყვიან, ყველაზე ცოცხალი დიალექტიკური კავშირია, რომელიც უნდა გავითვალისწინოთ პოლიტიკაშიც და პრაქტიკულ საქმიანობაშიც. მართლაც, ჩვენ ამოცანად დავისახეთ საზოგადოების რეკონსტრუქცია, განახლება ლენინური იდეებისა და პრინციპების საფუძველზე. მაგრამ მთელი ჩვენი გამოცდილება, წარსულიც და ახლანდელიც, მოწმობს, რომ არ შეიძლება გარდაქმნის წარმატების იმედი ვიქონიოთ ეროვნებათშორისი ურთიერთობის პრობლემების გადაუჭრელად. და ზუსტად ასევე შეუძლებელია გადავჭრათ ეს პრობლემები, ახალი იმპულსი მივანიჭოთ საბჭოთა ფედერაციის განვითარებას, თუ არ გავშალეთ გარდაქმნის პროცესები, თუ არ მოვახდინეთ სოციალისტური საზოგადოების დემოკრატიზაცია და ჰუმანიზაცია.

მინდა კიდევ თქვენი ყურადღება მივაპყრო იმას, რომ ჩვენ შემთხვევით არ ვუსვამთ ხაზს ეროვნული პოლიტიკის განახლების საჭიროებას. საქმე იმას კი არ ეხება, რომ უკუვაგდოთ აქამდე გაკეთებული, არამედ ახლანდელ ეტაპზე, როცა ჩვენი საზოგადოება ძირფესვიანად შეიცვალა, შეიქმნა ისეთი ეროვნული პოლიტიკის შემუშავების საარსებო მოთხოვნილება, რომელიც უზრუნველყოფდა ქვეყნის განვითარების მომწიფებული პრობლემების გადაჭრას, შეესაბამებოდა თანამედროვეობის რეალიებს. სწორედ ასეთ მიდგომებზეა აგებული პლატფორმა. მისი, თუ გნებავთ, ღრმა ფილოსოფიური აზრი ის არის, რომ განისაზღვროს ინტერნაციონალისა და ეროვნულის თანაფარდობის, ახლანდელ ვითარებაში ამ მარქსისტულ-ლენინური იდეის გამოყენების ოპტიმალური ფორმები. პრაქტიკული და პოლიტიკური თვალსაზრისით კი უზრუნველვყოთ თითოეული ერის თავისუფალი და ყოვლისმხრივი განვითარების და ყველა ჩვენი ხალხის კეთილდღეობის წყარო— კავშირის განმტკიცების პირობები.

მთავარი საკითხი აქ, რომელსაც განსაკუთრებით უნდა შევეხო,— ეს არის თანამედროვე პირობებში ერთა თვითგამორკვევის ლენინური პრინციპის რეალიზაციის გზა. განვლილ ათწლეულებში აქ დაშვებული იყო მრავალი დამახინჯება. სამწუხაროდ, ისინი გარკვეულწილად საზოგადოებრივ შეგნებაშიც დამკვიდრდა. ამიტომ საჭიროა ზუსტად გავერკვეთ ჩვენი თეორიისა და პრაქტიკისათვის ამ ძირეულ საკითხში.

უწინარეს ყოვლისა ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ პარტია თანამიმდევრულად განახორციელებს ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას, კერძოდ მის ისეთ ფუძემდებლურ პრინციპს, როგორიცაა ერთა თვითგამორკვევის უფლება. უნაყოფო და დასაგმობია ცდები ვამტკიცოთ, თითქოს სსრ კავშირის ხალხთა თვითგამორკვევა არ მომხდარა, შემოვფარგლოთ იგი მხოლოდ გამოყოფით და ამით გავაღარიბოთ ეროვნული საკითხის გადაჭრის ეს უნივერსალური პრინციპი. მთელი ჩვენი, და არა მარტო ჩვენი, გამოცდილება მოწმობს, რომ საჭიროა თვითგამორკვევა მივიჩნიოთ არა მარტო გამოყოფის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებულ ერთდროულ აქტად. ეს ეროვნული ღირსების დამკვიდრების, ენისა და კულტურის განვითარების, პოლიტიკური დამოუკიდებლობის, ეკონომიკური და სოციალური პროგრესის განმტკიცების რთული, მრავალპლანიანი პროცესია.

ამ თვალსაზრისით ღონისძიებათა კომპლექსი, რომლებიც გარდაქმნის ფარგლებში ხორციელდება, ნიშნავს ახალ დიდ ეტაპს ერთა თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციაში, თანამედროვე პირობებში ეს პრინციპი თავის ოპტიმალურ გამოხატულებას პოულობს თვითმართველობაში, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული თავისთავადობის შენარჩუნებას, თითოეული ხალხის უფლებას ისარგებლოს სუვერენიტეტის ყველა სიკეთით, დამოუკიდებლად გადაჭრას თავისი განვითარების საკითხები — ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული, ამავე დროს თვითმართველობა გულისხმობს რესპუბლიკებისა და ეროვნული ფორმირებების ნებაყოფლობით გაერთიანებას ყველასათვის საერთო ამოცანების გადაწყვეტის საკეთილდღეოდ, მათი ორგანულ ჩაბმას მთელი ქვეყნის განვითარებაში.

ერთა თვითგამორკვევის ახლანდელი ეტაპი დღის წესრიგში აყენებს რესპუბლიკების უფლებათა მნიშვნელოვან გაფართოებას, იმ დამახინჯებებისა და დეფორმაციების აღმოფხვრას, რომლებიც ხდებოდა წარსულში და რომელთა დამღუპველი შედეგები დღემდე იჩენს თავს ჩვენი საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. გთავაზობთ უწინარესად ღონისძიებათა კომპლექსს, რომელთა მიზანია მოკავშირე რესპუბლიკების პოლიტიკური დამოუკიდებლობის განმტკიცება, მათი სუვერენიტეტის რეალური შინაარსით გამდიდრება.

ხელისუფლების საკავშირო და რესპუბლიკური ორგანოების უფლებამოსილებათა ზუსტი გამიჯვნა ამ უკანასკნელებს საშუალებას მისცემს თავიანთი შეხედულებისამებრ გადაწყვიტონ საკუთარი ცხოვრების ყველა საკითხი იმ საკითხების გარდა, რომლებსაც ნებაყოფლობით გადასცემენ ისინი კავშირს, და, სხვათა შორის, რომელთა გადაჭრაში ისინიც მიიღებენ მონაწილეობას შესაბამისი პოლიტიკური მექანიზმების მეშვეობით.

კავშირისათვის ფედერაციის საერთო ამოცანების განსახორციელებლად საჭირო უფლებამოსილებათა შენარჩუნების პირობებში გთავაზობთ პრინციპული ცვლილებები შევიტანოთ. წინათ არსებულ წესში, რომლის დროსაც კავშირს უფლება ჰქონდა თავის განსახილველად მიეღო და გადაეწყვიტა პრაქტიკულად ყოველგვარი საკითხი, რაც მნიშვნელოვანწილად ფორმალურს ხდიდა რესპუბლიკურ ხელისუფალთა რეალურ კომპეტენციასა და სუვერენიტეტს. ამრიგად, წყდება საკავშირო თუ რესპუბლიკური კანონის პრიორიტეტულობის პრობლემა.

ფედერაციაში ურთიერთობის ახალმა ხასიათმა თავისი სამართლებრივი გარანტიები უნდა პოვოს სსრ კავშირის კონსტიტუციაში. შემდეგ. მე უკვე ვახსენე და მინდა განვავითარო აზრი იმის შესახებ, რომ რესპუბლიკების უფლებათა გაფართოება და მათი სუვერენიტეტის განმტკიცება უნდა გამოიხატოს საერთო-საკავშირო საქმეებზე მათი გავლენის მნიშვნელოვანი გაფართოებით. პოლიტიკური რეფორმის მსვლელობაში შექმნილ სახელმწიფო ხელისუფლების ახალ სტრუქტურებში უკვე ბევრი რამ გაკეთდა ამ მიმართულებით. ეს არის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, მისი პრეზიდიუმის შემადგენლობაც, კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის მუშაობის დასახული წესიც. ახლა გთავაზობთ წავიდეთ წინ და შევქმნათ არა მარტო იურიდიული, არამედ პოლიტიკური პირობებიც საერთო-საკავშირო პრობლემების გადაჭრაში რესპუბლიკების უფრო ფართო და აქტიური მონაწილეობისათვის. ასეთი მიდგომა უნდა გამოიხატოს საკადრო პოლიტიკაშიც. უნდა უზრუნველვყოთ ყველა ჩვენი ხალხის წარმომადგენელთა ფართო მონაწილეობა საერთო-საკავშირო სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, მმართველობის აპარატში, რა თქმა უნდა, ადამიანთა პროფესიული თვისებების გათვალისწინებით.

ჩვენი ფედერაციის გარდაქმნასთან, მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა შემდგომ გაფართოებასა და სუვერენიტეტის განმტკიცებასთან დაკავშირებულ პრობლემათა კომპლექსში უნდა განვიხილოთ რუსეთის სფს რესპუბლიკის განვითარების მომწიფებული საკითხები. ამ ბოლო ხანს ისინი დისკუსიების ცენტრში აღმოჩნდა არა მარტო თვით რუსეთის ფედერაციაში, არამედ მთელ ქვეყანაში.

კავშირში თავისი მდგომარეობითაც და თავისი შინაგანი სტრუქტურითაც რუსეთის სფს რესპუბლიკა ურთულესი ეროვნულ-პოლიტიკური და კულტურულ-ეთნიკური სისტემაა. მძლავრმა რევოლუციურმა ძვრებმა, რომლებსაც დასაბამი მისცა 1917 წლის ოქტომბერმა, ძირფესვიანად შეცვალა რუსეთის სახე. ცნობილია, რა როლს ასრულებდნენ რუსეთი, რუსი ხალხი იმაში, რომ რევოლუციური გარდაქმნების გზას დადგომოდა მთელი ქვეყანა, მრავალი ხალხის ეკონომიკური და კულტურული ჩამორჩენილობის დაძლევაში, ოქტომბრის მონაპოვართა დაცვაში.

მაგრამ დაშვებულმა დეფორმაციებმა ნეგატიური გავლენა მოახდინა თვით რუსეთზე, ისევე როგორც ყველა სხვა მოკავშირე რესპუბლიკაზე. ამას მოწმობს არასასიკეთო დემოგრაფიული ტენდენციები, ბუნებრივი რესურსების არარაციონალური გამოყენებისა და მათი განიავების მრავალრიცხოვანი ფაქტები, ისეთი ოდითგანვე რუსული ოლქების აშკარა გაპარტახება, როგორიც არის არაშავმიწანიადაგიანი ზონა, მთელი რიგი სხვა რეგიონები. კუზბასში, ურალზე, ვოლგაზე, ბაიკალზე, ჩრდილოეთ რეგიონებში საწარმოო ძალების განლაგებასა და განვითარებაში დაშვებული სერიოზული შეცდომების შედეგად შეიქმნა მწვავე ეკოლოგიური ვითარება. ჩვენ ვხედავთ მრავალი მხარის, ოლქის, ავტონომიური ფორმირებების ჩამორჩენას სოციალურ განვითარებაში. სამართლიანი შეშფოთება ვლინდება ქვეყნის ფასდაუდებელი ძეგლების შენარჩუნებისა და აღდგენის გამო, რომლებთანაც განუყრელად არის დაკავშირებული რუსი და რესპუბლიკის სხვა ხალხების ისტორია და კულტურა. რუსეთისა და მთელი ქვეყნის საზოგადოებრიობას სერიოზულად აწუხებს ჩრდილოეთის, ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის მრავალრიცხოვანი ხალხების მდგომარეობა.

ყველა ამ პრობლემის გადაჭრა მოითხოვს ღრმა და შორს გამიზნული ღონისძიებების, მათ შორის ორგანიზაციული და პოლიტიკური ხასიათის ღონისძიებების განხორციელებას. მრავალრიცხოვანი წინადადებების გათვალისწინებით პლატფორმაში დასახულია რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სტრუქტურის, კავშირში მისი მდგომარეობის სრულყოფის გზები. იგი ფართოდ განიხილეს და მოიწონეს როგორც თვით რუსეთის სფს რესპუბლიკაში, ისე მთლიანად კავშირშიც. ამას ჩვენ კმაყოფილებით აღვნიშნავთ. ვფიქრობ, ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მხარს დაუჭერს ამ წინადადებებს. რაც შეეხება რესპუბლიკაში პარტიული სტრუქტურის ფორმირებას, ჩვენ შეგვიძლია უკვე ახლა დავიწყოთ ამ საკითხების დამუშავება.

პლატფორმაზე, მის იმ ნაწილზე გამოხმაურებაში, სადაც ლაპარაკია პერსპექტივაში რეგიონების მიხედვით მართვაზე გადასვლის შესახებ, გამოთქმულია შეშფოთება, რომ ამან შეიძლება გამოიწვიოს რეგიონებს შორის კავშირურთიერთობის შესუსტება. უნდა მოგახსენოთ, რომ ასეთი შეშფოთება საფუძველს არის მოკლებული. პირიქით, ტერიტორიული ჭრილით ეკონომიკის მართვის სრულყოფა არა მარტო საშუალებას მოგვცემს უკეთ გადავწყვიტოთ ადგილებზე სოციალური, ეკოლოგიური და სხვა ამოცანები, არამედ ხელსაც შეუწყობს რუსეთის ყველა ნაწილს შორის შრომის კოოპერაციის განვითარებას, რუსეთის ფედერაციის, როგორც ერთიანი ეკონომიკური და პოლიტიკური ორგანიზმის, დინამიკურ განვითარებას მის მოსახლე ყველა ხალხთა ინტერესებისათვის.

საბჭოთა ფედერაციის გარდაქმნის ფარგლებში დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ავტონომიისათვის ახალი სტატუსის მინიჭებას. ასეთია არსი პლატფორმის წინადადებებისა, რომლებიც ეხება ავტონომიური რესპუბლიკების უფლებათა გაფართოებას სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში, მათი ეკონომიკური დამოუკიდებლობის განმტკიცებას. იმავე მიზანს ისახავს ავტონომიური ოლქებისა და ოკრუგების უფლებათა გაფართოება, შესაძლებლობა, რომ შეიქმნას ეროვნული რაიონები ეროვნებათა კომპაქტური ბინადრობის ადგილებში, აგრეთვე მრავალრიცხოვანი ერების მოქალაქეთა საერთო-საკავშირო საბჭოები, რომლებსაც არა აქვთ საკუთარი ტერიტორიული ავტონომია.

ალბათ, ყურადღებას მიაქცევდით იმას, რომ წამოყენებულია წინადადებანი ავტონომიის ერთი სახეობის მეორედ ტრანსფორმაციის შესახებ, გამოითქვა სურვილი გარდაგვექმნა ზოგიერთი ავტონომიური რესპუბლიკა მოკავშირე რესპუბლიკად. საჭიროა, ამხანაგებო, სრულიად გარკვევით ითქვას: თუ რეალისტები ვიქნებით და გავითვალისწინებთ სიტუაციას, რომელშიც ჩვენ აღმოვჩნდით, ყველაზე მთავარი ის არის, რომ ასეთი ფორმით თვით ამორკვეული ხალხების უფლებები მნიშვნელოვნად გაფართოვდეს და ნამდვილად საიმედოდ იყოს უზრუნველყოფილი.

შევეხები კიდევ ერთ პრინციპულ საკითხს. პლატფორმის გამოხმაურებანი შეიცავენ წინადადებებს ტერიტორიული ცვლილებების, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და ადმინისტრაციული წარმონაქმნების საზღვრების გადაკეთების შესახებ. ამის სასარგებლოდ მოჰყავთ სხვადასხვა არგუმენტები. პლენუმზე უნდა ჩამოვაყალიბოთ მტკიცე და ნათელი პოზიცია ამასთან დაკავშირებით. ჩვენ იმით ვხელმძღვანელობთ, რომ ახლანდელი ეროვნულ-ტერიტორიული დაყოფა სულაც არ აბრკოლებს იმას, რომ ყველა ეროვნების ადამიანები ნორმალურად ცხოვრობდნენ ქვეყნის ნებისმიერ კუთხეში. და სწორედ შესაბამისი პირობების შექმნას უნდა მოვახმაროთ უწინარესად ძალისხმევა. ახლავე დავადგეთ ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რუკის გადაკეთების გზას, — ეს ნიშნავს მხოლოდ გავართულოთ ისედაც ძნელი სიტუაცია, ფაქტობრივად გაურკვეველი დროით გადავწიოთ გარდაქმნის იმ რეალური მიზნების მიღწევა, რომლებიც ემსახურება ყველა საბჭოთა ადამიანის, ყველა ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებას.

ჩვენი ახალი ეროვნული პოლიტიკა მოწოდებულია უზრუნველყოს ფართო შესაძლებლობანი ყოველი ხალხის სპეციფიკური ინტერესების დასაკმაყოფილებლად და ამასთანავე მოქალაქეთა უფლებების გარანტიების განსამტკიცებლად. მათი ეროვნული კუთვნილების მიუხედავად პლატფორმაში დასახელებულია მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებიც ამ მიზნის მისაღწევად არის განკუთვნილი. დავძენ, რომ ისინი მთლიანად შეესაბამება ვალდებულებებს, ჩვენ რომ ვიკისრეთ საერთაშორისო ასპარეზზე. მათი რეალიზაციის პროცესში ჩვენ იმავდროულად ვწყვეტთ სსრ კავშირში სამართლებრივი სოციალისტური სახელმწიფოს ჩამოყალიბების დიდმნიშვნელოვან ამოცანებს.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეკონომიკური, სოციალური, დემოგრაფიული პროცესების, ეროვნებათაშორისი მიგრაციის შედეგად ჩვენში 60 მილიონი კაცი ცხოვრობს თავისი ეროვნული რესპუბლიკის საზღვრებს გარეთ. და, რა თქმა უნდა, შეუძლებელია გადაწყვიტო რაიმე პრობლემა ჩვენი ამ მოქალაქეების კანონიერი ინტერესებისა და უფლებების გაუთვალისწინებლად. აქ დაუშვებელია ყოველგვარი დისკრიმინაცია.

ადამიანის, მოქალაქის, პიროვნების უფლება-თავისუფლებათა დაცვა თანამედროვე ცივილიზაციის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა. ამ ცოტა ხნის წინ ჰელსინკის შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოების წარმომადგენელთა ვენის შეხვედრაზე სსრ კავშირმა ხელი მოაწერა მის საბოლოო დოკუმენტს.

იგი, კერძოდ, იმიტომ გავიხსენე, რომ რეალურად მოქმედი ფედერაციული სახელმწიფოს პირობებში მოქალაქეთა უფლებების კანონმდებლობის განახლების ამოცანა მრავალპლანიანი ხდება. საქმე მარტოოდენ საკავშირო კანონებს როდი ეხება. რესპუბლიკებიც ასევე ვალდებული არიან დაიცვან ყველა საერთაშორისო-სამართლებრივი პაქტი, რომლებიც ხელმოწერილია საბჭოთა კავშირის სახელით, და, მა- [illegible] კავშირში შემავალი ყველა რესპუბლიკის სახელით.

ყველგან უნდა გაძლიერდეს სსრ კავშირის მოქალაქეთა უფლებების დაცვა. [illegible] საჭიროა ითქვას, რომ გახშირდა ეროვნული ნიშნის მიხედვით ადამიანთა დისკრიმინაციის შემთხვევები. ჩვენ სულ უფრო ხშირად ვაწყდებით გარდაქმნის მოწინააღმდეგების, ანტისაზოგადოებრივი ელემენტებისა და ჯგუფების ცდებს გაითამაშონ „ნაციონალისტური კოზირი", გადაუშვან ათწლეულების განმავლობაში დაგროვილი ადამიანთა ბოღმა ეროვნებათშორისი ურთიერთობის სფეროში. ჩვენთვის მიუღებელია ნაციონალიზმისა და შოვინიზმის ყოველგვარი გამოვლინება, ნებისმიერი ხალხის მიმართ მტრობის გაღვივება.

ჩვენ დავადექით და მტკიცედ გავატარებთ საზოგადოების დემოკრატიული განვითარების კურსს. მაგრამ არ შეიძლება არ ვასხვავებდეთ კონსტიტუციის ფარგლებში მიმდინარე მშვიდობიან დემონსტრაციებსა და მიტინგებს ექსტრემისტული თავყრილობებისაგან, რომლებიც პროვოკაციულად იწვევენ ეროვნებათაშორის შეტაკებებს, ამყოფებენ ტერორსა და შიშში სხვა ეროვნების ადამიანებს. ასეთი პირებისა და ჯგუფებისათვის თავზე ხელის გადასმა, ყოვლის პატიება უბრალოდ დამღუპველი, ზოგჯერ კი დანაშაულებრივიც არის. ამიერკავკასიის, ფერღანის ოლქის, ნოვიუზენის ამბების შემდეგ, არა მგონია, ეს ვინმეს ეეჭვებოდეს.

საბჭოთა კანონები ითვალისწინებენ სასჯელს ეროვნული შუღლის გაღვივებისათვის, და სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ მათი უთუო შესრულება, ველარ შევურიგდებით იმას, რომ ბევრი დანაშაული ეროვნულ ნიადაგზე ფაქტობრივად დაუსჯელი რჩება მართლმსაჯულების მექანიზმში არსებული ხარვეზების გამო. დადგა აგრეთვე დრო მკაფიოდ, კანონის მეტყველი ენით ვილაპარაკოთ პირობებზე, რომელთა დროს შეიძლება და კიდევაც უნდა ავკრძალოთ და დავითხოვოთ სასამართლო წესით ნაციონალისტური, შოვინისტური, სხვა ექსტრემისტული ორგანიზაციები. (ტაში). გარკვევით ვიტყვი: არ გადავუხვევთ პოლიტიკური მეთოდებით ყველა პრობლემის გადაჭრის გზას, მაგრამ იქ, სადაც ეს ნაკარნახევი იქნება სიტუაციის სიმწვავით, სადაც შეექმნა საფრთხე ადამიანთა უშიშროებასა და სიცოცხლეს, ვიმოქმედებთ მტკიცედ, გამოვიყენებთ საბჭოთა კანონების მთელ ძალას. (ტაში).

ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით მინდა შევეხო ახლა სომხეთსა და აზერბაიჯანში მთიანი ყარაბაღის ავტონომიურ ოლქთან დაკავშირებით შექმნილ სიტუაციას. აქ გაღვივებულმა კონფლიქტმა გაჭიანურებული და მეტად მწვავე ხასიათი შეიძინა. ამხანაგებს მოეხსენებათ, რომ თავიდანვე ვცდილობდით იგი მოგვეწესრიგებინა პოლიტიკური საშუალებებით, რათა უწინარეს ყოვლისა არ დაგვეშვა გართულებანი ავტონომიური ოლქის, ორივე რესპუბლიკის მოსახლეობის ნორმალური ცხოვრებისა და შრომისათვის. გაიმართა მრავალი შეხვედრა სკპ ცენტრალურ კომიტეტში სომხეთისა და აზერბაიჯანის ხელმძღვანელობასთან, რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების დეპუტატებთან, მშრომელთა წარმომადგენლებთან. მიღებული იყო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მასშტაბური დადგენილება, რომლის მიზანია ოლქის სოციალურ პრობლემათა გადაჭრა. მოგვიანებით შეიქმნა მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის განსაკუთრებული მართვის კომიტეტი. იქ არაერთგზის გაიგზავნენ ავტორიტეტიანი კომისიები, მათ შორის სახალხო დეპუტატთა ყრილობის კომისიაც.

სამწუხაროდ, ყველა ამ ღონისძიებას სასურველი შედეგები არ მოჰყოლია. ეროვნული შუღლი იმდენად გაღვივდა, რომ ვითარების განვითარებას შეიძლება განუჭვრეტელი შედეგები მოჰყვეს. ათიათასობით ადამიანი, რომლებმაც მიატოვეს მშობლიური ადგილები, ტრანსპორტის მუშაობის დარღვევები, დაუსრულებელი გაფიცვები და უშუალო შეტაკებანი — ასეთია სიტუაცია დღეისათვის. პირდაპირ ვიტყვი — ჩვენ ვდგავართ მტკიცე ზომების მიღების საჭიროების წინაშე, ვერ დავუშვებთ ანარქიას, მით უმეტეს— სისხლისღვრას. მოვალენი ვართ ყველაფერი ვიღონოთ იმისათვის, რომ შევქმნათ ნორმალური პირობები ადამიანთა ცხოვრებისათვის, შევიძინოთ მომავლის რწმენა.

და ვფიქრობ, რომ ჩვენი პლენუმის სახელით უნდა მოვუწოდოთ სომხეთის და აზერბაიჯანის ხელმძღვანელობას, მშრომელებს, გაჩერდნენ, შეიგნონ, რომ კონფლიქტის შემდგომ გაღვივებას დამღუპველი შედეგები შეიძლება მოჰყვეს ორივე ხალხისათვის, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ და კვლავაც უნდა იცხოვრონ. (ტაში).

ამხანაგებო! ფედერაციის რადიკალურ ცვლილებათა უზრუნველყოფა განუყრელად არის დაკავშირებული ეკონომიკური ურთიერთობისა და სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფასთან. ეს პრობლემატიკა ღირსეულად და სრულად არის გაშუქებული პლატფორმაში. არ გადავწყვეტ რა წინასწარ მისი განხილვის შედეგებს, მინდა გამოვთქვა რამდენიმე მოსაზრება ამის შესახებ.

უწინარეს ყოვლისა, არავითარ შემთხვევაში მიმდინარე სიძნელეთა ზეგავლენით არ უნდა დავიბნეთ სამომავლო პრინციპული ეკონომიკური გადაწყვეტილებების შემუშავებაში. ამ გადაწყვეტილებებმა უნდა გაითვალისწინონ როგორც ობიექტური მოთხოვნილება ინტეგრაციის განვითარებაზე შრომის დანაწილების საფუძველზე, ისე ეკონომიკური დამოუკიდებლობის საჭიროებაც.

თანამედროვე პირობებში უაღრესად საშიში იქნება ავტარკიის ტენდენციები, შედარებით წარმატებული რესპუბლიკებისა და ოლქების ცდები გამოეყონ, გაემიჯნონ სხვებს. ამან შეიძლება მეტად ნეგატიური შედეგები მოუტანოს იმათ, ვინც ასეთ გზას დაადგება.

(დასასრული მე-8 გვ.).

# მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება

(დასასრული)

[illegible]

...არა მარტო დაუსაბუთებელი გადატუმბვა სახსრებისა მოწინავე საწარმოებიდან ჩამორჩენილ საწარმოებში, იგივე ხდებოდა ქვეყნის ეკონომიკურ რეგიონებს შორისაც. გულახდილად რომ ვთქვათ, ზოგისათვის წართმევის ხარჯზე ფარხდებოდა სხვების უყაირათობა და უმოქმედობა. ეს აშკარად ეწინააღმდეგებოდა სოციალიზმის ძირითად პრინციპს, წარმოშობდა სხვისი მოიმედეობის განწყობილებებს.

პლატფორმით დასახული ღონისძიებების რეალიზაცია საშუალებას მოგვცემს აღმოვფხვრათ მსგავსი არანორმალური მოვლენები, რომლებიც ძირს უთხრიან სამეურნეო საქმიანობის შედეგებით დაინტერესებას. ჩვენ უკვე დავადექით ამ გზას, როცა მხარი დავუჭირეთ ბელორუსიის, ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის შესაბამის ინიციატივებს. ანალოგიური წინადადებანი მზადდება სხვა რესპუბლიკებისა და რეგიონების შესახებ. ასეთი მიდგომა შესაძლებლობას მისცემს ყველას გამოავლინონ ეფხიანობა, სტიმულს მიანიჭებს ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდას. მოიმატებს სახსრები, რომლებიც გადაეცემა ხელისუფლების რესპუბლიკური და ადგილობ-

[illegible]

...თან, დიდი ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრასთან, სტიქიურ უბედურებათა შედეგების დაძლევასთან, საერთაშორისო ეკონომიკასა და პოლიტიკაში ქვეყნის მონაწილეობასთან.

„შეთანაწორების" პოლიტიკის დიდი შედეგების მიუხედავად, ამ საქმეში ჯერ კიდევ არის სერიოზული პრობლემები. მინდა დავსვათ საკითხი: შევიმუშაოთ ეკონომიკური ბერკეტებისა და სტიმულების ისეთი სისტემა, რომელიც საშუალებას მოგვცემდა, სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ეფექტიანი გამოყენებით, მიზანშეწონილად განგვეხორციელებინა ჩამორჩენილი რაიონების საარსებო პრობლემების გადაჭრის გზები? ვფიქრობ, მთავრობას ასეთი დავალება ახლავე უნდა მივცეთ, რადგან ამ მუშაობის განხორციელება მჭიდროდ უკავშირდება რესპუბლიკებისათვის ეკონომიკური დამოუკიდებლობის მინიჭებას.

ეროვნებათაშორისი ურთიერთობის ეკონომიკური ასპექტების გამო დისკუსიების დროს ყურადღების ცენტრში თითქმის ყოველთვის დგება საკუთრების საკითხები.

სოციალისტური საკუთრების სრულყოფა გარდაქმნის მთავარი

[illegible]

...რებული ენერგეტიკული ბაზა და ენერგომომარაგების სისტემა. ეს ჩვენი ეკონომიკის საძირკველია, საწარმოო კოლექტივების გულდაჯერებული მუშაობის, ყველა რესპუბლიკაში საყოფაცხოვრებო საკითხების გადაჭრის საფუძველია. ასეთი მიდგომებით, საერთოსაკავშირო და რეგიონალური ამოცანების გათვალისწინებით ვითარდებოდა ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სისტემა, საწარმოო ინფრასტრუქტურის სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი ელემენტები.

მაშ, რა, ამხანაგებო, ყოველივე ეს ახლა უნდა დავანგრიოთ? ეს მოგვაგონებს „რევოლუციურ" ლოზუნგს: დავანგრიოთ მეფის მიერ აშენებული რკინიგზა მოსკოვსა და პეტერბურგს შორის.

გულმოდგინედ უნდა გავაანალიზოთ შემოთავაზებული კონცეფციები და, უწინარეს ყოვლისა, დავაპროგნოზოთ მათი რეალიზაციის ყველა მოსალოდნელი შედეგი. ვამუშავებთ რა ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელიც შეესაბამება გარდაქმნის, ფედერაციის განვითარების, ახალი შინაარსით მისი გამდიდრების ამოცანებს და მიზნებს, ყველაფერი უნდა

[illegible]

...სიმტკიცე უნდა გამოვიჩინოთ როდესაც გარდაქმნის პოლიტიკის მთავარ მიმართულებებს ვიცავთ. ცდილობენ ჩაგვაგონონ, თითქოს ჩვენ ვერ გადავჭრით ქვეყანაში წამოჭრილ პრობლემებს ეკონომიკის კაპიტალიზაციის განუხორციელებლად. მეორე მხრივ, მე ვიტყოდი, მარჯვნიდან, ლამობენ, გარდაქმნის მთელი პოლიტიკა წარმოსახონ ლამის ისეთ აქციად, რომელიც დასავლეთმა მოგვახვია თავს. სისულელეა. და მოდით, კი ნუ ავწრიალდებით, არამედ განვავითაროთ გარდაქმნის მთავარი მიმართულება — წარმოვაჩინოთ სოციალიზმის, დემოკრატიის პოტენციალი, ფედერაციის პოტენციალი, წარმოვაჩინოთ ჩვენი საზოგადოების სულიერი, ინტელექტუალური პოტენციალი, შთავბეროთ სოციალიზმს ახალი სული. აი, რაზეა ლაპარაკი. (ტაში).

ამრიგად, ეკონომიკური ფაქტორები, ისევე როგორც პოლიტიკური, დამაჯერებლად მოწმობს, რაოდენ საჭიროა გარდაქმნა და საბჭოთა ფედერაციის შემდგომი განვითარება რესპუბლიკებისა და რეგიონების ეკონომიკური დამოუკიდებლობის განმტკიცების საფუძველზე, ერთი მხრივ, და საერთო სახალხო-სამეურნეო კომპლექსის დამკვიდრება — მეორე მხრივ.

როდესაც საბჭოთა ფედერაციის პოტენციალის შემდგომ გამოვლენასთან დაკავშირებულ საკითხთა მთელ კომპლექსს განვიხილავთ, ჩვენ განსაკუთრებული ყურადღებითა და გულისყურით უნდა მივუდგეთ ყოველივეს, რაც სულიერ სფეროში ხდება. ეს ეხება მეცნიერებას, კულტურას, ტრადიციებსა და მრავალ სხვას, რითაც მდიდარნი არიან ჩვენი ხალხები. მაგრამ დღეს მინდა შევეხსენოთ ენის პრობლემა, რომელსაც მწვავე ხასიათი მიენიჭა. როგორი უნდა იყოს აქ ჩვენი პოლიტიკა?

უწინარეს ყოვლისა, ჩვენ იმით ვხელმძღვანელობთ, რომ ყველა რესპუბლიკის მკვიდრ მოსახლეობას უდავოდ აქვს სრული უფლება, დაამკვიდროს თავისი ენა სახელმწიფო ენად, სხვაგვარად რომ ვთქვათ, შექმნას მისი შენარჩუნებისა და განვითარების სამართლებრივი პირობები. ეს არ არის, ამხანაგებო, მარტოოდენ იურიდიული საკითხი, ეს პოლიტიკური საკითხია, ვინაიდან საქმე ეხება ჩვენი ხალხების უფაქიზეს გრძნობას, მათს ბუნებრივ მისწრაფებას, შეინარჩუნონ ეროვნული თავისთავადობა.

ამასთანავე, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხები სისხლხორცეულად არიან დაინტერესებული იმით, რომ ჰქონდეთ ეროვნებათშორისი ურთიერთობის საშუალება, რომელიც ჩვენს პირობებში ობიექტური მიზეზების გამო გახდა რუსული ენა. რეალობა ისეთია, რომ ამ ენის წყალობით ყველა საბჭოთა ადამიანს ეძლევა შესაძლებლობა გაცილებით უფრო ფართოდ და სრულად მოიხმაროს თავისი ძალები და ცოდნა, ეზიაროს სამამულო და მსოფლიო მეცნიერებისა და კულტურის ღირებულებებს. იმ მასალებით, რომლებიც თქვენ ხელთ გაქვთ, შეგიძლიათ განსაჯოთ, რომ პლატფორმის განხილვის მონაწილე და ჩვენი სხვადასხვა ერების წარმომადგენელ ბევრ ამხანაგს მიზანშეწონილად მიაჩნია, მიენიჭოს რუსულ ენას სსრ კავშირის მასშტაბით საერთო-სახელმწიფოებრივი ენის სტატუსი. (ტაში).

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს წინადადება იმსახურებს ყურადღებას და ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მხარდაჭერას. მისი განხორციელება არამცდაარამც არ უნდა ლახავდეს რომელიმე ეროვნების უფლებებს და, ამავე დროს, უნდა უქმნიდეს სერიოზულ სამართლებრივ საფუძველს ჩვენს მრავალეროვან ქვეყანაში ხალხთა ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობის განვითარებას, მათს ერთობლივ შემოქმედებითს საქმიანობას, აგრეთვე აქტიურ მონაწილეობას საერთაშორისო ცხოვრებაში.

ახლა ჩვენში ზოგან გადახრებმა იჩინა თავი და, ხომ ხედავთ, რა მოჰყვა ამას.

განვაგრძობთ რა ენის პრობლემათა განხილვას, ჩვენ მოვალენი ვართ ვაღიაროთ ყველა ეროვნული უმცირესობის უფლება ხმარობდეს მშობლიურ ენას. ეს ეხება სხვადასხვა რესპუბლიკებში მცხოვრებ ათობით ეროვნების ადამიანებს. ამ ბოლო დროს ჩვენ წუხილითა და გულისტკივილით ვხედავდით, როგორ ხდებოდა ენის პრობლემები ზოგიერთ რეგიონში ადამიანთა განცალკევების, გამიჯვნის მიზეზი, მრავალდღიანი მიტინგების, დემონსტრაციების, გაფიცვების საბაბი, რომლებმაც დაღი დაასვა ეკონომიკას და მოსახლეობის ცხოვრების პირობებს. პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სახელმწიფო ორგანოები, შემოქმედებითი კავშირები, ყველანი, ვისაც მინიჭებული აქვს ძალაუფლება და შეუძლია გავლენას ახდენდეს ადამიანთა გუნება-განწყობილებაზე, — მოვალენი არიან ყველაფერი იღონონ, რათა აღარავინ ჩაითრიოს ორმხრივი წყენის, პრეტენზიებისა და ულტიმატური მოთხოვნების ამ საშიშმა მორევმა. ნება მიბოძეთ, გამოვთქვა რწმენა, რომ შემოთავაზებულ საფუძველზე, რომელიც შეესაბამება ყველა დემოკრატიულ ტრადიციასა და თანამედროვე სამყაროში არსებულ სამართლებრივ ნორმებს, მოგვარდება ეს პრობლემები და განვითარების სარბიელი მიეცემა ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ყველა ენას. (ტაში).

პრობლემას, რომელსაც დღეს განვიხილავთ, უშუალოდ უკავშირდება ეროვნებათშორის ურთიერთობაში ეკლესიის როლის საკითხი. ცნობილია, რომ წინათ სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა შორის დიდი შეტაკებანი, შუღლი და მტრობა ხშირად გამოუწვევია რელიგიურ შეუწყნარებლობას. ეს ფაქტორი დღესაც არცთუ იშვიათად გვახსენებს თავს. ჩვენ ვაფასებთ იმ ფაქტს, რომ მართლმადიდებელი, მაჰმადიანური და სხვა ეკლესიები მშვიდობისმყოფლურ პოზიციას ადგანან, და ვიმედოვნებთ, რომ ისინი გამოიყენებენ თავიანთ გავლენას, თავიანთი ძალებისა და შესაძლებლობების კვალობაზე ხელს შეუწყობენ ეროვნებათშორისი კონფლიქტების თავიდან აცილებას და დაძლევას.

დღეს ეკლესიებს ეძლევათ შესაძლებლობა ახორციელებდნენ თავიანთ მოღვაწეობას ნორმალურ საზოგადოებრივ პირობებში კონსტიტუციური პრინციპებისადმი სრული შესაბამისობით. ეს განსაკუთრებით ნათლად გამოიხატა იმით, რომ მათი თვალსაჩინო წარმომადგენლები სსრ კავშირის სახალხო დეპუტატებად აირჩიეს. სინდისის თავისუფლების კანონპროექტმა, რომელიც ახლა მზადდება, უნდა მოაგვაროს იმ პრობლემათა მთელი კომპლექსი, თანამედროვე პირობებში საეკლესიო ორგანიზაციების მდგომარეობასთან და მოღვაწეობასთან რომ არის დაკავშირებული.

ამხანაგებო! იმედი მაქვს, ყოველივე, რაც აქ ვთქვი, საშუალებას გაძლევთ უკეთ გაიგოთ ეროვნულ საკითხზე შემოთავაზებული სკკპ პლატფორმის აზრი და მნიშვნელობა. ჩვენი პარტია იღვწის დიდი და ძლიერი ფედერაციული სახელმწიფოსათვის, ვინაიდან დარწმუნებულია, რომ ეს შეესაბამება საბჭოთა კავშირში გაერთიანებულ ყველა ხალხის ინტერესებს. (ტაში).

ასეთი იყო ლენინის პოზიცია. ასეთ პოზიციას ვადგავართ ჩვენ დღესაც.

მთავარია, ზუსტად გვქონდეს წარმოდგენილი ჩვენი კავშირის განმტკიცებისა და განვითარების ყველა ეკონომიკური, პოლიტიკური, სულიერი და, თუ გნებავთ, ზნეობრივი საფუძველი. დავაყენოთ საკითხი ასე: რას აძლევს იგი რესპუბლიკებს.

უწინარეს ყოვლისა, თანამედროვეობის ერთ-ერთი უმძლავრესი სახელმწიფოს კუთვნილებას, სახელმწიფოსი, რომელსაც აქვს უდიდესი ბუნებრივი რესურსები, განვითარებული სახალხო-სამეურნეო კომპლექსი, მეცნიერული ცოდნის არსენალი, ტექნიკური შესაძლებლობანი და კულტურის სიმდიდრე, შეუძლია, საიმედოდ დაიცვას თავისი უშიშროება. სსრ კავშირის შემადგენლობაში ყოველ ერს ეძლევა შესაძლებლობა მონაწილეობდეს ზოგად სულიერ ღირებულებათა ფორმირებასა და განვითარებაში, ეზიაროს მათ, ხოლო მათი მეშვეობით გამოვიდეს საკავშირო და მსოფლიო ასპარეზზე. შემდეგ, საბჭოთა კავშირისადმი კუთვნილების წყალობით ყველა ერს ეძლევა შესაძლებლობა ფართოდ მონაწილეობდეს საერთაშორისო ურთიერთობაში, აქტიურ გავლენას ახდენდეს მსოფლიო მოვლენათა მიმდინარეობაზე. მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა რეალიზაციის მექანიზმი, რაც შეეხება მათ მონაწილეობას საერთაშორისო საქმიანობაში, უნდა შემუშავდეს ახლანდელი პირობების გათვალისწინებით.

ეს მუდმივი ფაქტორები გახლავთ. მაგრამ არის ფაქტორიც, რომელიც ახლანდელ ისტორიულ მომენტს უკავშირდება. საბჭოთა სოციალისტური საზოგადოების რევოლუციური განახლება ჩვენი კავშირის განმტკიცების აუცილებლობის მთავარი არგუმენტია, სწორედ გარდაქმნამ მიგვიყვანა საბჭოთა ფედერაციის როგორც ქვეყნის დემოკრატიზაციისა და აღორძინების პროცესების დიდმნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილის სახეცვლილებამდე. და მხოლოდ გარდაქმნის გზით, ამაში მე დარწმუნებული ვარ, შეიძლება წარმატებით გადაწყდეს ხალხთა განვითარებისა და მთლიანად ეროვნული ურთიერთობის ყველა მწვავე და რთული პრობლემა.

და, ბოლოს, ამხანაგებო, შევეხები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის როლს ჩვენი ფედერაციის გარდაქმნის პირობებში. იმაზე, თუ როგორ იმოქმედებს პარტია ახალ ვითარებაში, გადამწყვეტწილად არის დამოკიდებული ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფოს ბედიც.

ჩვენი პარტია თავიდანვე შეიქმნა როგორც პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეებით შთაგონებულ თანამოსაქმეთა ორგანიზაცია. მისი ჩამოყალიბების პროცესი არ იყო იოლი. ლენინის ხელმძღვანელობით პარტია გაფორმდა ერთიან ორგანიზაციად, რომელსაც აქვს საერთო პროგრამა და მისი ყველა წევრისათვის სავალდებულო წესდება, ემყარება დემოკრატიული ცენტრალიზმის საფუძველს.

ამასთანავე, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ინტერნაციონალისტური საწყისი პარტიაში არამც და არამც არ მოასწავებდა მისი ამა თუ იმ ეროვნული რაზმების ინტერესებისა და თავისებურებების რაიმე უგულებელყოფას. ამას ვაღწევდით დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპის სწორი გაგების მეოხებით. მაგრამ შემდეგ იგი გაუკუღმართებულად გაიგეს, რასაც მოჰყვა გადახრა ცენტრალიზმის სასარგებლოდ, დემოკრატიის საზიანოდ, და ამას არ შეიძლებოდა უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა პარტიული ორგანიზაციების მდგომარეობასა და პრაქტიკულ საქმიანობაზე, მათ შორის რესპუბლიკებსა და სხვა ეროვნულ წარმონაქმნებში.

დღეს ჩვენ სრული მოცულობით უნდა აღვადგინოთ დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპის ლენინური გაგება, რომელიც გულისხმობს ყველა პარტიული ორგანიზაციის აქტიურ, სისხლსავსე ცხოვრებას, მათს რეალურ დამოუკიდებლობას ორგანიზაციის, საკადრო პოლიტიკის საკითხებსა და საქმიანობის სხვა სფეროებში. და სულაც არა — ყაზარმულ დისციპლინას, არა უსიტყვო მორჩილებას, არამედ მოქმედების ერთიანობას, რომელიც ზოგადი პოლიტიკური და იდეური პოზიციების შემუშავებას ემყარება.

პლატფორმაში დასახულია ზოგიერთი პრაქტიკული ნაბიჯი, რომლებიც ხელს შეუწყობს რესპუბლიკების პარტიულ ორგანიზაციათა დამოუკიდებლობის გაფართოებას, კერძოდ, მის უფლებას, თავად წყვეტდნენ თავიანთი ორგანიზაციის საკითხებს, განსაზღვრავდნენ პარტიული ორგანოების სტრუქტურას, იღებდნენ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს. ფედერაციული წყობილების ახალი შინაარსით გამდიდრებამ არ შეიძლება გავლენა არ მოახდინოს რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციის როლზე. მათ უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა მიიღონ [illegible] სკკპ პროგრამის ფარგლებში.

ჩვენ ერთად მივიღეთ გადაწყვეტილება პარტიის მორიგი XXVIII ყრილობის მოწვევის შესახებ, რომლის დღის წესრიგში სხვა საკითხთა შორის არის სკკპ ახალი წესდების შემუშავება და მიღება. ცხადია, რესპუბლიკების კომპარტიათა საქმიანობის საკითხები ფედერაციის ცვლილებების გათვალისწინებით, წესდებაში ჯეროვან ასახვას პოვებენ.

ვიღებთ რა ყველა ამ მომწიფებულ ღონისძიებას, ჩვენ ამავე დროს გვმართებს მტკიცედ გავილაშქროთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ფედერალიზაციის წინააღმდეგ. პირდაპირ ვიტყვი, რომ ეს იქნებოდა აღსასრული ჩვენი პარტიისა იმ სახით, როგორადაც დააარსა იგი ლენინმა, მიაყენებდა გამოუსწორებელ ზიანს გარდაქმნას, მთელ სოციალიზმის საქმეს. ის, ვინც ამ გზას დაადგებოდა, უმძიმეს პასუხისმგებლობას იკისრებდა როგორც პარტიის, ისე ხალხის წინაშე.

იმ წინადადებათაგან, რომლებიც მხარდაჭერის ღირსია, დავასახელებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ეროვნული პოლიტიკისა და ეროვნული ურთიერთობის საკითხთა კომისიის შექმნას, ანალოგიური კომისიების ჩამოყალიბებას რესპუბლიკურ პარტიულ ორგანიზაციათა ცენტრალურ კომიტეტებში, პარტიის საოლქო და საქალაქო კომიტეტებში. რა თქმა უნდა, იქ, სადაც ეს ნაკარნახევია მოსახლეობის შემადგენლობით, საჭიროებით — ნიადაგ იქონიონ ყურადღების ცენტრში ეროვნული პრობლემები. ალბათ, სწორს ამბობენ ამხანაგები, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთ მდივანს უნდა დაევალოს სპეციალურად გაუძღვეს ამ საკითხებს.

პარტიის გარდაქმნა, რომლის დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი გახდება სკკპ XXVIII ყრილობა, საშუალებას მოგვცემს შევასრულოთ ის უაღრესად პასუხსაგები ამოცანები, რომლებიც ჩვენი საზოგადოების განვითარების ახლანდელ ეტაპზე დადგა. და, რა თქმა უნდა, ამხანაგებო, დღეს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება პარტიის წევრთა პოზიციას. სხვადასხვა რეგიონში მომხდარმა მოვლენებმა გვიჩვენა, რომ მათი ნაწილი აყოლილია აგზნებული ეროვნული ემოციების სტიქიას, არ ილაშქრებს ნაციონალისტური გამოვლინებების წინააღმდეგ, ან, რაც კიდევ უფრო უარესია, თავად ებმება მათში. პარტია, მისი ორგანიზაციები ვერ შეურიგდებიან და არც უნდა შეურიგდნენ ამას. ინტერნაციონალიზმი იყო და იქნება ჩვენი მსოფლმხედველობის უმნიშვნელოვანესი ელემენტი, კომუნისტთა იდეური კრედო.

დასასრულ, მინდა ვთქვა შემდეგი. ჩვენ ყველას გვესმის, რაოდენ რთულია ეროვნული საკითხი, რაოდენ მწვავე პრობლემებს აყენებს იგი ჩვენს წინაშე. ეს არის ფაქიზი, საფრთხილო საქმე, რომელიც მოითხოვს მოწიწებას, მოთმინებას, ნებისყოფას. ჩვენ პლენუმზე შევიკრიბენით, რათა სწორედ ასეთი სულისკვეთებით განვიხილოთ დაგროვილი საკითხები, ჩვენი ხალხებისა და მთელი საზოგადოების აზრებისა და განწყობილებების გათვალისწინებით ვიპოვოთ ძნელი ეროვნული პრობლემების ოპტიმალური გადაწყვეტა.

ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა ჩვენი პლენუმი შემობრუნების ეტაპად იქცეს, შექმნას წანამძღვრები საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ინტერესების სასიკეთოდ ქვეყანაში ვითარების გაჯანსაღების, ჩვენი ფედერაციის შემდგომი განვითარებისათვის. (ტაში).

(საქინფორმი)

## სახალხო მეურნეობა: გარდაქმნის წახნაგები

# ახლებურად მუშაობის დამაიმედებელი შედეგი

**მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, უწინარეს ყოვლისა, მანქანათმშენებლობაში, ელექტრონულ და საკომპიუტერო ტექნიკაში ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია. ამის თაობაზე ხაზგასმით ითქვა სკპ XXVII ყრილობაზე, XIX საკავშირო პარტიულ კონფერენციაზე, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველ ყრილობაზე. ეს ჩაწერილია პარტიისა და მთავრობის სხვა გადაწყვეტილებებშიც.**

**რა კეთდება სამისოდ ჩვენს რესპუბლიკაში, რას აკეთებს ამ მხრივ, კერძოდ, რუსთავის „ავტომატმრეწველის" სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება?— აი, ძირითადად ამის შესახებ ესაუბრა „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი გაერთიანების გენერალურ დირექტორს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს რევაზ სიგუას.**

მეორე ექსკურსს გავაკეთებ წარსულში. საწარმოო გაერთიანება ოთხი წლის წინათ შეიქმნა იმავე სახელწოდების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბაზაზე. მისი ფორმირება მიმდინარეობდა დარგის მმართველობის სამრგოლიანიდან ორგოლიან სისტემად გარდაქმნის ნიშნით. გაერთიანება მილებისა და აგლომერატის წარმოების პროცესების ავტომატიზაციის საქმეში ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი ორგანიზაციაა. მართვისა და მოწყობილობათა ავტომატიზებული სისტემები, რომლებიც ჩვენ შევიმუშავეთ, დანერგილია მაგნიტოგორსკის, დნეპროპეტროვსკის, ჩელიაბინსკის, ხარცინსკის, რუსთავის და ქვეყნის სხვა მეტალურგიულ კომბინატებსა და ქარხნებში, სხვა საწარმოებში. ჩვენს მიერ გამოშვებული დანადგარები მუშაობენ ჩეხოსლოვაკიაში, ხოლო ავტომატიზაციის ხელსაწყოებსა და საშუალებებს ვაწვდით ბულგარეთს, კორეას, ეგვიპტეს, პაკისტანს, თურქეთსა და სხვა ქვეყნებს.

ზუსტად გვაქვს დაგეგმილი მიმართულებანი არა მარტო მიმდინარე ხუთწლედის, არამედ 2000 წლამდე პერიოდისთვისაც. ეს გეგმები წარმოების სფეროში ითვალისწინებს: ავტომატიზაციისა და კომპიუტერიზაციის საფუძველზე სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას ყველა იმ საწარმოში, რომლებსაც ჩვენ ვკურირებთ.

ვცდილობთ ჩვენს მიერ შემუშავებული ნიმუშები, სისტემები და მოწყობილობანი ისეთ დონეზე შესრულდეს, რომ გაუტოლდეს ან აჯობოს მსოფლიოს საუკეთესო სტანდარტებს.

სამისოდ ბევრი რამ კეთდება სიახლეთა დანერგვისათვის, რომლებიც ხელს შეუწყობენ ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დამუშავების, სოციალურ-კულტურული დანიშნულების ნაგებობათა მშენებლობის დაჩქარებას, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას. სახელდობრ, გაერთიანების ყველა რგოლში უფრო ფართოდ დავნერგავთ თვითდაფინანსებას და თვითანაზღაურებას, ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ავამაღლოთ ადამიანის ფაქტორი და წარმოების ეფექტიანობა. შევიმუშავეთ რეკომენდებულ სიახლეთა წარმოებაში დანერგვის ვადების შემცირების ღონისძიებანი. მათ შორის დიდ იმედს ვამყარებთ ახალ, სრულყოფილ დანადგართა მწყობრში ჩაყენების ვადის 1,6-ჯერ შემცირებაზე.

ტექნოლოგიური პროცესების ინდუსტრიალიზაციას ახლა საფუძვლად უდევს უნიფიცირებული ტექნიკური საშუალებების შემდგომი დახვეწა, რომელიც მიზნად ისახავს 3-ჯერ და მეტად შევამციროთ ლითონისა და ელექტროენერგიის ხარჯვა და ამ გზით უზრუნველვყოთ ნაწარმის თვითღირებულების შემდგომი შემცირება.

პროგრესულმა ტექნოლოგიამ, რომელიც ჩვენ შევიმუშავეთ, საშუალება მოგვცა არსებითად გაგვეუმჯობესებინა ნამუშევრების დამზადების, დანერგვისა და სხვა პროცესები, კეთილსასურველი გარემო შეგვექმნა დამკვეთისათვის საჭირო დანადგარების უმოკლეს ვადაში მიწოდებისა და მისი თვითღირებულების შემცირებისათვის. 1988 წლის იანვრიდან სრულ სამეურნეო ანგარიშზე ვართ გადასული. მეურნეობრიობის ახალ პირობებში მოღვაწეობის მთელი პერიოდის მანძილზე დანერგილი ყველა სიახლის ფასი ნამუშევრების უმოკლეს ვადაში დამზადებითა და მისი სწრაფი რეალიზაციით განისაზღვრება. მაგალითად, 1988 წელს გაერთიანებამ მიიღო ორასი მილიონი მანეთი მოგება, მაგრამ წინსვლის ახალი ბერკეტების მწყობრში ჩაყენების მიზნით გარკვეული თანხაც გავიღეთ. სახელდობრ, გამომთვლელი ტექნიკის შეძენა 447 ათასი მანეთი დაგვიჯდა, საცდელი ქარხნის მოწყობილობა — 167 ათასი მანეთი, მუშა-მოსამსახურეებისათვის 18 ბინის აგებას, 200 საგზურის შეძენას, სხვა გადაუდებელ დახმარებებსაც სოლიდური თანხები დასჭირდა.

მიუხედავად ამისა, ჩვენი ფინანსური მდგომარეობა იმდენად გაუმჯობესდა, რომ საშუალება მოგვეცა მიმდინარე წლის იანვრიდან უარი გვეთქვა დოტაციის მიღებაზე და ახლა სამეცნიერო-ტექნიკური, სოციალურ-კულტურული და სხვა მიზნებისათვის საჭირო სახსრებს მხოლოდ საკუთარი ფონდებით უზრუნველვყოფთ. საგრძნობლად გაიზარდა შრომის ანაზღაურებაც.

საიმედო ფინანსური მდგომარეობა კი იმის შედეგია, რომ ჩვენ უზრუნველვყავით გაერთიანების ყველა რგოლის სამუშაო ფრონტითა და დამხმარე მასალებით შეუფერხებელი მომარაგება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ავტომატიზაციის სისტემათა შექმნისათვის საჭირო საწარმოო ციკლის ხანგრძლივობის გამო ფაქტობრივად იძულებული ვართ ვისარგებლოთ ბანკის კრედიტებით.

მეურნეობრიობის ახალმა პირობებმა წარმოშვა ეკონომიკური აზროვნების ახალი დონე. ჩვენ თავი ვიგრძენით წარმოების სრულუფლებიან ბატონ-პატრონებად და შევუდექით ყაირათიანობის ზრდის რეზერვების ძიებას. ჩავატარეთ ძირითადი ფონდების ინვენტარიზაცია, გამოვავლინეთ ბევრი ისეთი დაზგა და აგრეგატი, რომლებიც არ გვჭირდება. მათი რეალიზაციით სალაროს 1,2 მილიონი მანეთი შევმატეთ.

ამ და სხვა სიახლეთა ხორცშესხმამ დღის წესრიგში დააყენა ახალი საკითხი: მუშა-მოსამსახურეებმა გვთხოვეს დავეხმარებოდით ეკონომიკური ცოდნის ამაღლებაში. ამ მიზნით ჩამოვაყალიბეთ კურსები როგორც განყოფილებათა ხელმძღვანელობის, ისე წამყვანი სპეციალისტებისა და სხვა მუშა-მოსამსახურეებისათვის. ახლა ჩვენთან ვერ ნახავთ მუშაკს, რომელსაც ნათელი წარმოდგენა არ ჰქონდეს სამეურნეო ანგარიშის, მოგების, სხვა ეკონომიკური კატეგორიების არსსა და მნიშვნელობაზე, მეურნეობრიობის ახალ სისტემაზე გადასვლას წინ უძღოდა დიდი სამზადისი. ღრმად, საფუძვლიანად შევისწავლეთ სადირექტივო ორგანოების ყველა გადაწყვეტილება თვითდაფინანსებასა და თვითანაზღაურებაზე გადასვლის შესახებ, გავეცანით მოწინავე საწარმოთა და მონათესავე ორგანიზაციების გამოცდილებას, გავაანალიზეთ გაერთიანების ფინანსური შესაძლებლობანი და სხვ. ახლა ვმუშაობთ, ეგრეთწოდებული, პირველი სამეურნეოანგარიშიანი მოდელით და გვჯერა, რომ სწორი გზა ავირჩიეთ.

ერთი მოსაზრებაც: ვფიქრობთ უმჯობესი იქნებოდა შრომითს კოლექტივს ჰქონდეს უფლება თავად განსაზღვროს, თუ რომელი მოდელი აირჩიოს. მოქმედი კანონმდებლობა კი ამის უფლებას არ გვაძლევს, ახლებურად მუშაობას ისიც აბრკოლებს, რომ დღემდე ვერ მოგვარდა კომპლექტაციისა და მატერიალური უზრუნველყოფის უფრო მოქნილი სისტემების გამომუშავება.

ჩვენ უმართებულოდ მიგვაჩნია ის ფაქტიც, რომ ახლებურად მუშაობა არ ითვალისწინებს მომავალში წარმოების განახლებისათვის საჭირო თანხების ანაზღაურებას, რაც იმის სტიმულს ბადებს, რომ გაერთიანებამ „თავი არ მეიწუხოს" ახალ, პროგრესულ და დიდი ეკონომიკური ეფექტის მქონე გარდაქმნათა დანერგვისათვის. აქ ჩვენ წინააღმდეგობას ვხედავთ. ხვალინდელი დღისათვის გაერთიანების კოლექტივის მომზადების უზრუნველყოფის საქმეში, რაც ალმასვლის გზას ახშობს.

ნათქვამი ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს რადიკალური ეკონომიკური რეფორმა ხელსაყრელ პირობებს არ ქმნიდეს აღწარმოების უზრუნველსაყოფად. მაგრამ იმ გარემოებათა მოწესრიგება, რაზედაც უკვე მოგახსენეთ, უფრო კეთილმყოფელ გარემოს შექმნიდა სამეურნეო ანგარიშის ფართოდ დანერგვისა და ნაკლები შრომითი დანახარჯებით მეტი უკუგების მიღებისათვის.

სამეურნეო ანგარიშის დამახასიათებელი ნიშანია შრომის შედეგსა და ანაზღაურებას შორის მჭიდრო კავშირი. გაერთიანების თავისებურებათა გათვალისწინების მეოხებით აქაც ვაღწევთ ჰარმონიულობას — ავტორიტეტიან სიტყვას ამბობს საჯაროობა, წარმოების მმართველობის დემოკრატიზაცია და შრომითი კოლექტივის საბჭო.

რადიკალური ეკონომიკური რეფორმა ყველა პირობას ქმნის საწარმოს მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის, როგორც დარგთაშორისი, ისე რეგიონალური კოოპერირებისა და ინტეგრაციის საფუძველზე. როცა განუხრელად ვასრულებთ კანონს სახელმწიფო საწარმოს შესახებ, ვთავისუფლდებით წვრილი, არაფრისმომცემი ჩარევისაგან, როგორც სამინისტროს, ისე სხვა ზემდგომი ორგანოების მხრივ და კარგ წანამძღვრებს ვქმნით მუშა-მოსამსახურეთა მატერიალურ-ტექნიკური და სოციალურ-კულტურული განვითარების უზრუნველსაყოფად. ამრიგად, ეკონომიკური და სამართლებრივი დამოუკიდებლობა საწარმოს უღვიძებს ახალი ორგანიზაციული ფორმების ძიების სურვილს, იმის მისწრაფებას, რომ მის წინაშე მდგარი გლობალური ამოცანები გადაწყვიტონ სხვა საწარმოებთან კავშირით. ვეძიებთ რა წინსვლის ახალ რეზერვებს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ნებაყოფლობითი პრინციპის მტკიცედ დაცვის საფუძველზე სახელმწიფო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებები შევქმნათ ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტროს იმ საწარმოებში, რომლებიც რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარეობენ. ამ წინადადების ხორცშესხმას ბევრი თანამოაზრე ჰყავს, რაც იმით არის გამოწვეული, რომ ეკონომიკის დარგთაშორისი და ტერიტორიული მმართველობის პრინციპების ურთიერთშეხამებით, უპირველესად ყოვლისა, დიდ სარფს მიიღებს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა, რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური რესურსების ზუსტი აღრიცხვისა და რესპუბლიკის სამეურნეო ანგარიშზე გადასაყვანად მომზადების დაჩქარების მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია ხელსაწყოთმშენებლობის დარგი ფიგურირებდეს, როგორც ერთიანი სამეურნეო კომპლექსი, რომელიც ინტეგრირებას უწევს საწარმოთა და ორგანიზაციათა მთელ სამეცნიერო-ტექნიკურ პოტენციალს. ჩვენი ღრმა რწმენით დარგის სამეცნიერო-ტექნიკური და საწარმოო ინტერესებისათვის ზიანის მიუყენებლად შესაძლებელი გახდება სახელმწიფო გაერთიანებათა პოტენციალი მთლიანად შევუწონასწოროთ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ეკონომიკურ და სოციალურ ინტერესებს.

სახელმწიფო გაერთიანებათა ჩამოყალიბება გააუქმებდა წარმოების შემდგომი კონცენტრაციისათვის საჭირო ბარიერებს, ხოლო კვანძებისა და მაკომპლექტებელი დეტალების გამოშვებას თავს მოუყრიდა იმ საწარმოებში, სადაც წარმოების ორგანიზაციის დონე, გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება და ხარისხი ეკონომიკურად მძიმე ტვირთად არ დააწვება საწარმოს. შეიქმნება ხელსაყრელი პირობები იმისათვის, რომ სატრანსპორტო საშუალებებით, აგრეთვე კოოპერირების და კომპლექტაციის, ისევე როგორც გამომთვლელი ტექნიკის, კვალიფიციური კადრების მომზადების, საცხოვრებელი სახლებისა და სხვა ობიექტების წილობრივ საფუძველზე მშენებლობა და მოსახლეობისათვის გაწეული სხვა სახის მომსახურება მძიმე ტვირთად არ დააწვება გაერთიანებას.

სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებათა ჩამოყალიბება განსაკუთრებულ იერსახეს იძენს ჩვენი რესპუბლიკის სინამდვილეში, რადგანაც იქმნება პირობები იმისათვის, რომ ცალკეულ საწარმოებს შეექმნათ ნორმალური ფუნქციონირებისა და განვითარების შესაძლებლობა სამეურნეო ანგარიშის, თვითდაფინანსებისა და თვითანაზღაურების პირობებში. სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების „ჭერქვეშ" მათ მეტი შესაძლებლობა აქვთ ოპერატიულად გადაწყვიტონ რესურსების მანევრირების საკითხები. ადვილად ჰპოვონ მხარდაჭერა სიძნელეთა გადალახვის ჟამს, რაც გააადვილებს ალმასვლას, გაზრდის გაერთიანების სამეცნიერო-ტექნიკურ დონეს და ჩვენს მიერ წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობას როგორც ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

როგორც ცნობილია, ჩვენი ეკონომიკის დიდ სისუსტედ მიიჩნევენ ხშირ დეფიციტს. მაგრამ უფრო უპრიანი იქნება, თუ სიმართლეს თვალს გავუსწორებთ და ვაღიარებთ, რომ ყველაზე მეტ ზიანს გვაყენებს დამოუკიდებლობის, შრომითი კოლექტივების წინაშე წამოჭრილი სიძნელეების გადალახვისათვის ინიციატივათა გამოჩენის უუნარობა. გარდაქმნის გზაზე პირველი გაბედული ნაბიჯები გადავდგით და კიდევ დავრწმუნდით, რომ შემოქმედებითი ძალებისა და ენერგიის ეფექტიანი წარმართვა შეიძლება მხოლოდ საწარმოო და ეკონომიკურ ურთიერთობათა არსებითად შეცვლის მეოხებით, როგორც ცალკეულ საწარმოებში, აგრეთვე ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

ესაუბრა
დავით ბიწაძე.

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ

## I. ზოგადი დებულებანი

**მუხლი 1. საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა არჩევნების საფუძვლები**

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა არჩევნები ეწყობა ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით.

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატები აირჩევიან ხუთი წლის ვადით.

**მუხლი 2. საყოველთაო საარჩევნო უფლება**

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა არჩევნები საყოველთაოა: არჩევის უფლება აქვს საქართველოს სსრ მოქალაქეს, რომელსაც 18 წელი შეუსრულდა, ხოლო არჩეული შეიძლება იყოს საქართველოს სსრ მოქალაქე, რომელსაც 21 წელი შეუსრულდა, წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, მოცემულ ადგილას ცხოვრების დროის, საქმიანობის სახეობისა და ხასიათის მიუხედავად.

საქართველოს სსრ მოქალაქე არ შეიძლება ერთდროულად იყოს სახალხო დეპუტატი ორზე მეტ საბჭოში.

არჩევნებში არ მონაწილეობენ ფსიქიკურად დაავადებული მოქალაქენი, რომლებიც სასამართლომ ქმედუუნაროდ აცნო, თავისუფლების აღკვეთის ადგილას მყოფნი, აგრეთვე ის პირები, რომლებიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იძულებითი მკურნალობის ადგილებში იმყოფებიან.

**მუხლი 3. თანასწორი საარჩევნო უფლება**

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა არჩევნები თანასწორია: ამომრჩეველს ყოველ საარჩევნო ოლქში ერთი ხმა აქვს; საქართველოს სსრ მოქალაქენი არჩევნებში თანასწორ საფუძველზე მონაწილეობენ.

**მუხლი 4. პირდაპირი საარჩევნო უფლება**

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა არჩევნები პირდაპირია: სახალხო დეპუტატებს მოქალაქენი უშუალოდ ირჩევენ.

**მუხლი 5. ფარული კენჭისყრა**

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა არჩევნებში კენჭისყრა ფარულია: ამომრჩეველთა ნებასურვილის გამოვლინებისადმი კონტროლი დაუშვებელია.

**მუხლი 6. არჩევნების ჩატარება საარჩევნო კომისიების მიერ**

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა არჩევნების ჩატარებას უზრუნველყოფენ საარჩევნო კომისიები, რომლებიც იქმნება შრომითი კოლექტივების, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეთა და სტუდენტთა კოლექტივების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოძრაობების, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა და ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებების წარმომადგენლებისაგან.

**მუხლი 7. საჯაროობა არჩევნების მომზადებისა და ჩატარების დროს**

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა არჩევნების მომზადებასა და ჩატარებას ახორციელებენ საარჩევნო კომისიები, შრომითი კოლექტივები, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეთა და სტუდენტთა კოლექტივები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მოძრაობები ღიად და საჯაროდ.

საარჩევნო კომისიები მოქალაქეებს აცნობენ თავიანთ მუშაობას, საარჩევნო ოლქებისა და უბნების შექმნას, საარჩევნო კომისიების შემადგენლობას, ადგილსამყოფელს, მუშაობის დროსა და ამომრჩეველთა სიებს. საარჩევნო კომისიები მოქალაქეებს აწვდიან ცნობებს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების შესახებ, აცნობენ მათი რეგისტრაციის ჩატარების შედეგებს, რეგისტრაციაში გატარებულ დეპუტატობის კანდიდატთა ბიოგრაფიულ მონაცემებს და მათი წინასაარჩევნო პროგრამების ძირითად დებულებებს, თითოეული კანდიდატის მიხედვით კენჭისყრისა და არჩევნების შედეგებს.

საარჩევნო კომისიების სხდომებზე და ხმის მიცემის შენობებში დასწრების უფლება აქვთ შრომითი კოლექტივების, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეთა და სტუდენტთა კოლექტივების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოძრაობების, ამომრჩეველთა კრებების წარმომადგენლებს, ნდობით აღჭურვილ პირებს, პრესის, ტელევიზიისა და რადიოს წარმომადგენლებს, ხოლო არჩევნების დღეს საარჩევნო უბნებში — დეპუტატობის კანდიდატის წარმომადგენელსაც.

წარმომადგენელთა უფლებამოსილება დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი დოკუმენტით ან შრომითი კოლექტივების კრებების (კონფერენციების), საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა და ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებების ოქმების ამონაწერებით, ხოლო დეპუტატობის კანდიდატის წარმომადგენლისათვის — დეპუტატობის კანდიდატის განცხადებით საუბნო საარჩევნო კომისიის სახელზე. ოქმის ამონაწერი, ისევე როგორც განცხადება შესაბამის საარჩევნო კომისიას უნდა გადაეცეს სხდომამდე არა უგვიანეს სამი დღისა. საარჩევნო კომისიამ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს 24 საათის განმავლობაში. უარის თქმის შემთხვევაში საარჩევნო კომისია იძლევა დასაბუთებულ წერილობით პასუხს, რომლის გასაჩივრებაც შეიძლება ზემდგომ საარჩევნო კომისიაში.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები აშუქებენ საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა არჩევნების მომზადებისა და ჩატარების მიმდინარეობას, მათთვის გარანტირებულია შეუფერხებელი დასწრება არჩევნებთან დაკავშირებულ ყველა კრებასა და სხდომაზე. საარჩევნო კომისიები, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოები, შრომითი კოლექტივები აწვდიან მათ არჩევნების მომზადებასთან და ჩატარებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას.

**მუხლი 8. მოქალაქეების, შრომითი კოლექტივების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოძრაობების მონაწილეობა საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა არჩევნების მომზადებასა და ჩატარებაში**

საქართველოს სსრ მოქალაქენი საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა არჩევნების მომზადებასა და ჩატარებაში მონაწილეობენ როგორც შრომითი კოლექტივების, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეთა და სტუდენტთა კოლექტივების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოძრაობების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა და ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებების მეშვეობით, ისე უშუალოდ.

შრომითი კოლექტივები, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეთა და სტუდენტთა კოლექტივები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მოძრაობები მონაწილეობენ საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა არჩევნების მომზადებასა და ჩატარებაში როგორც საარჩევნო კომისიებში თავიანთი წარმომადგენლების მეშვეობით, ისე უშუალოდ.

**მუხლი 9. საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების უფლება**

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების უფლება აქვთ შრომით კოლექტივებს, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეთა და სტუდენტთა კოლექტივებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მოძრაობებს, ამომრჩეველთა კრებებს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებებს.

**მუხლი 10. ამომრჩეველთა განაწესები საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატებს**

ამომრჩევლები განაწესებს აძლევენ თავიანთ დეპუტატებს.

განაწესების შეტანის, განზოგადების, განხილვისა და შესრულების ორგანიზაციის წესს ადგენს საქართველოს სსრ კანონი.

**მუხლი 11. საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატის სტატუსის შეუთავსებლობა თანამდებობრივ მდგომარეობასთან**

ის პირნი, რომლებიც შედიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეების გარდა, მინისტრების, სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეების მოადგილეები, უწყებათა ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები, საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და წევრები, საქართველოს სსრ მთავარი სახელმწიფო არბიტრი და სახელმწიფო არბიტრები, საქართველოს სსრ კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის თავმჯდომარე და წევრები არ შეიძლება ამავე დროს იყვნენ საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატები.

**მუხლი 12. საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა არჩევნებთან დაკავშირებული ხარჯები. არჩევნების მატერიალური უზრუნველყოფა**

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს. სხვა წყაროებიდან საარჩევნო კამპანიის დაფინანსება აკრძალულია.

საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოები საარჩევნო კომისიების განკარგულებაში გადასცემენ არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისათვის საჭირო შენობებსა და მოწყობილობას.

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატობის კანდიდატები და ამომრჩევლები არ გაიღებენ არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

**მუხლი 13. პასუხისმგებლობა არჩევნების შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის**

პირებს, რომლებიც ძალადობით, მოტყუებით, მუქარით, მოსყიდვის ან სხვა გზით ხელს უშლიან იმას, რომ საქართველოს სსრ მოქალაქემ თავისუფლად განახორციელოს თავისი უფლება — აირჩიოს და იყოს არჩეული საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატად, ეწეოდეს წინასაარჩევნო აგიტაციას, აგრეთვე საარჩევნო კომისიების წევრებს, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების თანამდებობის პირებს, რომლებმაც გააყალბეს საარჩევნო დოკუმენტები, განზრახ არასწორად დათვალეს ხმები, დაარღვიეს კენჭისყრის საიდუმლოება ან დაუშვეს ამ კანონის სხვა დარღვევები, ეკისრებათ კანონით დადგენილი პასუხისმგებლობა. პასუხს აგებენ აგრეთვე პირები, რომლებმაც გამოაქვეყნეს ან სხვა საშუალებით გაავრცელეს ყალბი ცნობები დეპუტატობის კანდიდატის შესახებ.

## II. არჩევნების დანიშვნისა და საარჩევნო ოლქების შექმნის წესი

**მუხლი 14. არჩევნების დანიშვნა**

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა არჩევნებს ნიშნავს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო არა უგვიანეს ოთხი თვისა საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა უფლებამოსილების ვადის გასვლამდე.

ცნობა არჩევნების დღის შესახებ ქვეყნდება პრესაში.

**მუხლი 15. საარჩევნო ოლქების შექმნა**

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა არჩევნებისათვის იქმნება 350 საარჩევნო ოლქი.

საარჩევნო ოლქებს ქმნის საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს, აჭარის ასსრ უზენაესი საბჭოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების ან მათი პრეზიდიუმების წარდგინებით.

საარჩევნო ოლქები იქმნება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფისა და ტერიტორიის სხვა თავისებურებათა გათვალისწინებით, ძირითადად ერთ საარჩევნო ოლქზე გაანგარიშებით ამომრჩეველთა თანაბარი რიცხვის პრინციპის დაცვით.

თითოეული საარჩევნო ოლქისაგან ირჩევენ ერთ საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატს.

**მუხლი 16. საარჩევნო ოლქების სიები**

საარჩევნო ოლქების სიებს, რომლებშიც აღნიშნულია მათი საზღვრები, ამომრჩეველთა რიცხვი და საოლქო საარჩევნო კომისიების ადგილსამყოფელი, აქვეყნებს ცენტრალური საარჩევნო კომისია არა უგვიანეს ათი დღისა არჩევნების დანიშვნის შემდეგ.

## III. საარჩევნო უბნები

**მუხლი 17. საარჩევნო უბნების შექმნა**

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა არჩევნების დროს კენჭისყრის მოსაწყობად და ხმების დასათვლელად საარჩევნო ოლქებში შემავალი რაიონების, ქალაქების, ქალაქის რაიონების ტერიტორია იყოფა საარჩევნო უბნებად. საარჩევნო უბნები იქმნება აგრეთვე ჯარის ნაწილებში და შედის საარჩევნო ოლქებში ნაწილების განლაგების ადგილის მიხედვით.

საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში, მოქალაქეთა ყოფნის ძნელად მისადგომ რაიონებში განლაგებულ ადგილებში, აგრეთვე არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე შეიძლება შეიქმნას საარჩევნო უბნები, რომლებიც შედიან საარჩევნო ოლქებში შესაბამისად მათი ადგილსამყოფლის ან გემის მიწერის ნავსადგურის ადგილის მიხედვით. საარჩევნო უბნები შეიძლება შეიქმნას რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ არსებულ საქართველოს სსრ დაწესებულებებშიც.

**მუხლი 18. საარჩევნო უბნების შექმნის წესი და ნორმა**

საარჩევნო უბნებს ქმნიან სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო (გარდა რაიონული დაქვემდებარების ქალაქებისა), ქალაქის რაიონული საბჭოები ან მათი პრეზიდიუმები საოლქო საარჩევნო კომისიებთან შეთანხმებით. არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე საარჩევნო უბნებს ქმნიან შესაბამისი სახალხო დეპუტატთა საბჭოები ან მათი პრეზიდიუმები გემის მიწერის ნავსადგურის ადგილის მიხედვით. ჯარის ნაწილებში საარჩევნო უბნებს ქმნიან სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები ან მათი პრეზიდიუმები ნაწილების ან საჯარისო შენაერთების მეთაურთა წარდგინებით.

საარჩევნო უბნები იქმნება არა უგვიანეს ორი თვისა არჩევნებამდე. ჯარის ნაწილებში და ძნელად მისადგომ რაიონებში, არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე საარჩევნო უბნები იქმნება იმავე ვადაში, ხოლო გამონაკლის შემთხვევაში არა უგვიანეს ხუთი დღისა არჩევნებამდე.

საარჩევნო უბნები იქმნება არანაკლებ 20 და არა უმეტეს 3.000 ამომრჩევლისათვის.

სახალხო დეპუტატთა შესაბამისი ადგილობრივი საბჭო ან მისი პრეზიდიუმი ამომრჩევლებს აცნობებს თითოეული საარჩევნო უბნის საზღვრებს და საუბნო საარჩევნო კომისიისა და ხმის მიცემის შენობის ადგილსამყოფელს.

## IV. საარჩევნო კომისიები

**მუხლი 19. საარჩევნო კომისიების სისტემა**

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა არჩევნების ჩასატარებლად იქმნება საარჩევნო კომისიები:

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია;

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიები;

საუბნო საარჩევნო კომისიები.

**მუხლი 20. ცენტრალური საარჩევნო კომისიის შექმნა**

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ქმნის საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს, აჭარის ასსრ უზენაესი საბჭოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების ან მათი პრეზიდიუმებისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მოძრაობათა რესპუბლიკური ორგანოების წინადადებათა გათვალისწინებით არჩევნების დანიშვნიდან არა უგვიანეს ხუთი დღისა კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის ორი მოადგილის, მდივნისა და 13 წევრის შემადგენლობით.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის უფლებამოსილების ვადა ხუთი წელია.

**მუხლი 21. ცენტრალური საარჩევნო კომისიის უფლებამოსილებანი**

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია:

1) კონტროლს უწევს საქართველოს სსრ მთელ ტერიტორიაზე ამ კანონის შესრულებას და უზრუნველყოფს მის ერთგვაროვან გამოყენებას; საჭიროების შემთხვევაში საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოში შეაქვს წარდგინებანი ამ კანონის განმარტების თაობაზე;

2) ქმნის საარჩევნო ოლქებს;

3) წარმართავს საარჩევნო კომისიების საქმიანობას, ისმენს მათს ინფორმაციებს; განსაზღვრავს საარჩევნო კომისიათა შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის წესს;

4) წყვეტს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საარჩევნო ოლქებისათვის იმ საარჩევნო უბნების მიწერის საკითხებს, რომლებიც საქართველოს სსრ ფარგლებს გარეთ იქმნება;

5) უნაწილებს ფულად სახსრებს საარჩევნო კომისიებს; კონტროლს უწევს საარჩევნო კომისიათა უზრუნველყოფას შენობებით, ტრანსპორტით, კავშირგაბმულობით და განიხილავს არჩევნების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სხვა საკითხებს;

6) ადგენს საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა არჩევნების საარჩევნო ბიულეტენების, ამომრჩეველთა სიების, საარჩევნო კომისიების სხდომების ოქმების, სხვა საარჩევნო დოკუმენტების ფორმებს, საარჩევნო ყუთებისა და საარჩევნო კომისიათა ბეჭდების ნიმუშებს, საარჩევნო დოკუმენტების შენახვის წესს;

7) ისმენს საქართველოს სსრ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების, სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების ინფორმაციებს არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

8) რეგისტრაციაში ატარებს არჩეულ დეპუტატებს, აჯამებს მთლიანად რესპუბლიკაში არჩევნების შედეგებს, პრესაში აქვეყნებს ცნობას არჩევნების შედეგების შესახებ და არჩეულ საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა სიას;

9) გადასცემს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიას დეპუტატთა უფლებამოსილების შესამოწმებლად საჭირო დოკუმენტაციას;

10) წყვეტს ხელახალი არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებს;

11) წყვეტს საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა გაწვევის ორგანიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს;

12) ნიშნავს გამოკლებული დეპუტატების ნაცვლად საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა არჩევნებს და უზრუნველყოფს მის ჩატარებას;

13) განიხილავს საარჩევნო კომისიათა გადაწყვეტილებებისა და მოქმედების გამო განცხადებებსა და საჩივრებს და გამოაქვს მათ შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებანი;

14) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს ამ კანონისა და საქართველოს სსრ სხვა კანონების შესაბამისად.

**მუხლი 22. საოლქო საარჩევნო კომისიების შექმნა**

საოლქო საარჩევნო კომისია იქმნება საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა არჩევნების თითოეულ საარჩევნო ოლქში არჩევნებამდე არა უგვიანეს სამთვენახევრისა 9-13 წევრის შემადგენლობით.

საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში წარმომადგენლებს ასახელებენ შრომითი კოლექტივები, მათი საბჭოები, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეთა და სტუდენტთა კოლექტივები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მოძრაობათა რესპუბლიკური, საოლქო, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული ორგანოები, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა და ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებები.

საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სულ ცოტა ორასი ამომრჩეველი. შრომითი კოლექტივების კრებები უფლებამოსილია, თუ მათ ესწრება შრომითი კოლექტივის წევრთა ნახევარზე მეტი. სხდომები (კონფერენციები) უფლებამოსილია, თუ მათ ესწრება შესაბამისი ორგანოს წევრთა სულ ცოტა ორი მესამედი. შრომით კოლექტივებში კრებებს იწვევენ მათი საბჭოები, პროფკავშირთა კომიტეტები ადმინისტრაციასთან ერთად საკუთარი ინიციატივით ან კოლექტივის წევრთა ერთი მესამედის მოთხოვნით. საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა კრებებს იწვევს სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭო ან მისი პრეზიდიუმი საკუთარი ინიციატივით ან ამომრჩეველთა ინიციატივით, რომელსაც მხარი დაუჭირა საარჩევნო ოლქის სულ ცოტა 100 ამომრჩეველმა.

წარმომადგენელი დასახელებულად ითვლება, თუ მას ხმას მისცემს კრების მონაწილეთა ნახევარზე მეტი ან შესაბამისი არჩევითი ორგანოს საერთო შემადგენლობის უმრავლესობა.

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიებს ქმნის საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო ან მისი პრეზიდიუმი.

საოლქო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილების ვადა ხუთი წელია.

**მუხლი 23. საოლქო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილებანი**

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისია:

1) კონტროლს უწევს ამ კანონის შესრულებას ოლქის ტერიტორიაზე;

2) წარმართავს საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობას;

3) ისმენს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოების, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელების ინფორმაციებს არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე,

4) თვალყურს ადევნებს ამომრჩეველთა სიების შედგენასა და საყოველთაო გაცნობისათვის მათ წარდგენას;

5) ხელს უწყობს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების ორგანიზაციას;

6) რეგისტრაციაში ატარებს დასახელებულ დეპუტატობის კანდიდატებს და აძლევს მათ შესაბამის მოწმობებს, უზრუნველყოფს პლაკატების გამოცემას დეპუტატობის კანდიდატთა შესახებ ბიოგრაფიული მონაცემებით;

7) რეგისტრაციაში ატარებს დეპუტატობის კანდიდატთა ნდობით აღჭურვილ პირებს და აძლევს მათ შესაბამის მოწმობებს;

8) უზრუნველყოფს საარჩევნო კამპანიაში კანდიდატთა მონაწილეობის თანასწორ პირობებს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ერთერთ საარჩევნო უბანში ხმის მიცემა ბათილად ცნეს, ნიშნავს ხელახალ ხმის მიცემას მხოლოდ მოცემულ საარჩევნო უბანში.

9) ხელს უწყობს შრომით კოლექტივებს, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეთა და სტუდენტთა კოლექტივებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მოძრაობებს ამომრჩევლებთან დეპუტატობის კანდიდატთა შეხვედრების მოწყობაში როგორც შრომით კოლექტივებში, ისე ამომრჩეველთა საცხოვრებელი ადგილას;

10) ამტკიცებს საარჩევნო ოლქში საარჩევნო ბიულეტენების ტექსტს, უზრუნველყოფს ბიულეტენების დამზადებასა და ბიულეტენებით საუბნო საარჩევნო კომისიების მომარაგებას;

11) ადგენს და პრესაში აქვეყნებს საარჩევნო ოლქში არჩევნების შედეგებს, მოწმობას აძლევს არჩეულ დეპუტატს;

12) აწყობს ხელახალ ხმის მიცემას და ხელახალ არჩევნებს, აგრეთვე არჩევნებს გამოკლებულ დეპუტატთა ნაცვლად.

13) წყვეტს დეპუტატის გაწვევის მოწყობასთან დაკავშირებულ საკითხებს;

14) იხილავს განცხადებებსა და საჩივრებს საუბნო საარჩევნო კომისიების გადაწყვეტილებებისა და მოქმედების შესახებ და იღებს გადაწყვეტილებებს მათ გამო;

15) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს ამ კანონის შესაბამისად.

**მუხლი 24. საუბნო საარჩევნო კომისიების შექმნა**

საუბნო საარჩევნო კომისია იქმნება არა უგვიანეს 45 დღისა არჩევნებამდე 5-15 წევრის შემადგენლობით. საჭირო შემთხვევაში საუბნო საარჩევნო კომისიის შემადგენლობა შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს.

საუბნო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში წარმომადგენლებს ასახელებენ შრომითი კოლექტივები საერთო კრებებზე (კონფერენციებზე) ან მათი საბჭოები ან მათთან გათანაბრებული ორგანოები, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეთა და სტუდენტთა კოლექტივები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მოძრაობათა რაიონული, საქალაქო, ქალაქების რაიონული ორგანოები, მათი პირველადი ორგანიზაციები, მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოები: აგრეთვე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა და ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებები. საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა კრება უფლებამოსილია დაასახელოს წარმომადგენლები საუბნო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში, თუ მას ესწრება სულ ცოტა 50 ამომრჩეველი. საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა კრებას იწვევენ სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭო ან მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანო, აგრეთვე მოცემული საარჩევნო უბნის სულ ცოტა 30 ამომრჩევლის ინიციატივით.

საუბნო საარჩევნო კომისიებს ქმნიან სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების გარდა), ქალაქის რაიონული საბჭოები ან მათი პრეზიდიუმები.

**მუხლი 25. საუბნო საარჩევნო კომისიის უფლება-მოსილებანი**

საუბნო საარჩევნო კომისია:

1) ადგენს უბნის მიხედვით ამომრჩეველთა სიებს;

2) ამომრჩევლებს აცნობს ამომრჩეველთა სიებს; იღებს და იხილავს განცხადებებს სიებში უსწორობათა შესახებ და წყვეტს მათში სათანადო ცვლილებათა შეტანის საკითხს;

3) ამომრჩევლებს აძლევს ხმის მიცემის უფლების მოწმობებს;

4) აუწყებს მოსახლეობას საარჩევნო უბნის ადგილსამყოფელს და მისი მუშაობის დროს, აგრეთვე არჩევნების დღესა და ხმის მიცემის ადგილს;

5) უზრუნველყოფს ხმის მიცემისათვის შენობის, საარჩევნო ყუთებისა და კაბინების მომზადებას;

6) ორგანიზაციას უწევს საარჩევნო უბანში ხმის მიცემას არჩევნების დღეს;

7) ითვლის საარჩევნო უბანში მიცემულ ხმებს;

8) იხილავს განცხადებებსა და საჩივრებს არჩევნების მომზადებისა და კენჭისყრის ორგანიზაციის საკითხებზე და იღებს გადაწყვეტილებებს მათ გამო;

9) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს ამ კანონის შესაბამისად.

**მუხლი 26. საარჩევნო კომისიათა მუშაობის ორგანიზაცია**

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეებსა და მდივანს ირჩევენ შესაბამისი კომისიის პირველ სხდომაზე.

საარჩევნო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მასში მონაწილეობს კომისიის შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედი. კომისიის გადაწყვეტილებებს იღებენ ღია კენჭისყრით კომისიის საერთო შემადგენლობის ხმების უმრავლესობით. კომისიის წევრებს, თუ არ ეთანხმებიან მის გადაწყვეტილებას, უფლება აქვთ გამოთქვან განსაკუთრებული აზრი, რომელიც წერილობითი ფორმით ერთვის ოქმს და განსახილველად ეგზავნება ზემდგომ საარჩევნო კომისიას.

საარჩევნო კომისიების უფლებამოსილებათა ფარგლებში მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულება სავალდებულოა ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოს, საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის.

საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებანი და მოქმედება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ საარჩევნო კომისიაში, ხოლო ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, — აგრეთვე სასამართლოში.

საარჩევნო კომისიის წევრი, კერძოდ თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და მდივანი კომისიის გადაწყვეტილებით არჩევნების მომზადებისა და ჩატარების პერიოდში შეიძლება გათავისუფლდეს საწარმოო ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან, ამასთან შეუნარჩუნდეს საშუალო ხელფასი არჩევნების ჩატარებისათვის გამოყოფილი სახსრების ხარჯზე.

საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში შემავალ პირთ, მათ შორის თავმჯდომარესა და მის მოადგილეებს, უფლება არა აქვთ მონაწილეობდნენ დეპუტატობის კანდიდატთა სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ აგიტაციაში.

**მუხლი 27. საარჩევნო კომისიებისათვის ხელშეწყობა მათი უფლებამოსილების განხორციელებაში**

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოები, საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები, თანამდებობის პირნი ვალდებული არიან ხელი შეუწყონ საარჩევნო კომისიებს მათ უფლებამოსილების განხორციელებაში, მიაწოდონ მუშაობისათვის საჭირო ცნობები და მასალები.

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი
## საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ

(დასასრული)

[illegible]

მუხლი 40. საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატობის კანდიდატის უფლება გამოვიდეს კრებებზე, ისარგებლოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მიიღოს ინფორმაცია

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატობის კანდიდატებს სა- [illegible]

[illegible] გამოყოფილი სახსრების ხარჯზე.

ნდობით აღჭურვილი პირი არ შეიძლება შედიოდეს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და შესაბამისი საარჩევნო ოლქის საარჩევნო კომისიებში.

**მუხლი 41. წინასაარჩევნო აგიტაცია**

შრომით კოლექტივებს, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეთა და სტუდენტთა კოლექტივებს, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩევლებს, ჯარის ნაწილების სამხედრო მოსამსახურეებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მოძრაობებს, რომლებმაც დეპუტატობის კანდიდატები დაასახელეს, ნდობით აღჭურვილ პირებს ეძლევათ უფლება შეუფერხებლად გაუწიონ აგიტაცია თავიანთ კანდიდატებს. საარჩევნო კომისიები მათ უთმობენ მოწყობილ შენობებს კრებებისა და მიტინგებისათვის, აგრეთვე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს წინასაარჩევნო აგიტაციისათვის.

საქართველოს სსრ მოქალაქეებს, შრომით კოლექტივებს, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეთა და სტუდენტთა კოლექტივებს, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩევლებს, ჯარის ნაწილების სამხედრო მოსამსახურეებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მოძრაობებს გარანტირებული აქვთ შესაძლებლობა თავისუფლად და ყოველმხრივ განიხილონ დეპუტატობის კანდიდატთა პოლიტიკური, საქმიანი და პირადი თვისებები, აგრეთვე უფლება — გასწიონ აგიტაცია კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ კრებებზე, მიტინგებზე, პრესაში, ტელევიზიით, რადიოთი.

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატობის კანდიდატები აწყობენ შეხვედრებს თავიანთ ამომრჩევლებთან კრებებზე და ამომრჩევლებისათვის სხვა მოსახერხებელი ფორმით, საარჩევნო კომისია შესაბამის სახალხო დეპუტატთა საბჭოსთან ან მის პრეზიდიუმთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და მოძრაობებთან ერთად ხელს უწყობს ასეთი შეხვედრების გამართვას. კრებებისა და შეხვედრების მოწყობის დროსა და ადგილს დროულად აცნობებენ ამომრჩევლებს.

აგიტაცია არჩევნების დღეს არ დაიშვება.

**მუხლი 42. წინასაარჩევნო ღონისძიებებში მონაწილეობისათვის საწარმოო თუ სამსახურებრივი მოვალეობისაგან საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატობის კანდიდატის გათავისუფლება**

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატობის კანდიდატი რეგისტრაციაში გატარების შემდეგ ამომრჩევლებთან შეხვედრების მოწყობის, წინასაარჩევნო კრებებზე, მიტინგებზე, ტელევიზიითა და რადიოთი გამოსვლების დროისათვის თავისუფლდება საწარმოო თუ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისაგან, ამასთან ენახება საშუალო ხელფასი არჩევნების ჩატარებისათვის გამოყოფილი სახსრების ხარჯზე.

**მუხლი 43. საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატობის კანდიდატის უფასო მგზავრობის უფლება**

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატობის კანდიდატს რეგისტრაციაში გატარების შემდეგ აქვს ყველა სახეობის სამგზავრო ტრანსპორტით (ტაქსის გარდა) უფასო მგზავრობის უფლება შესაბამისი საარჩევნო ოლქის ფარგლებში. საარჩევნო ოლქის ფარგლებს გარეთ მცხოვრები დეპუტატობის კანდიდატი სარგებლობს ასეთივე უფლებით საარჩევნო ოლქში მგზავრობისა და საცხოვრებელ ადგილას დაბრუნებისათვის.

**მუხლი 44. საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატობის კანდიდატის ხელშეუხებლობა**

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატობის კანდიდატი არ შეიძლება მისცენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში, დააპატიმრონ ან დაადონ ადმინისტრაციული სასჯელი სასამართლო წესით, თუ არ იქნა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თანხმობა.

### VIII. ხმის მიცემისა და არჩევნების შედეგების შეჯამების წესი

**მუხლი 45. ხმის მიცემის დრო და ადგილი**

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა არჩევნების დროს ხმის მიცემა ეწყობა არჩევნების დღეს 7 საათიდან 20 საათამდე ადგილობრივი დროით. საუბნო საარჩევნო კომისია ხმის მიცემის დროსა და ადგილს აცნობებს ამომრჩევლებს არჩევნებამდე არა უგვიანეს ათი დღისა.

საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონალურ სამკურნალო დაწესებულებებში, არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე და ჯარის ნაწილებში, ძნელად მისადგომ რაიონებში შექმნილ საარჩევნო უბნებში საუბნო საარჩევნო კომისიას შეუძლია ხმის მიცემა დამთავრებულად გამოაცხადოს ნებისმიერ დროს, თუ ხმა მისცა სიაში შეტანილმა ყველა ამომრჩეველმა.

**მუხლი 46. ხმის მიცემის მოწყობა**

ხმის მიცემა იმართება სპეციალურად გამოყოფილ შენობებში, რომლებშიც მოწყობილი უნდა იყოს საკმაო რაოდენობით კაბინები ან ოთახები ფარული კენჭისყრისათვის, განისაზღვროს საარჩევნო ბიულეტენების გაცემის ადგილები და დაიდგას საარჩევნო ყუთები. საარჩევნო ყუთები ისეთნაირად იდგმება, რომ ხმის მიმცემნი მათთან მისვლისას აუცილებლად გადიოდნენ ფარული კენჭისყრის კაბინებს ან ოთახებს.

პასუხისმგებლობა ხმის მიცემის ორგანიზაციისათვის, ამომრჩეველთა ნებასურვილის გამოვლინების საიდუმლოების უზრუნველყოფისათვის, შენობების მოწყობისა და იქ საჭირო წესრიგის დაცვისათვის ეკისრება საუბნო საარჩევნო კომისიას.

არჩევნების დღეს ხმის მიცემის დაწყების წინ საარჩევნო ყუთებს ამოწმებს, პლომბავს ან ლუქავს შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კომისიის ყველა წევრის თანდასწრებით.

თითოეული ამომრჩეველი ხმას აძლევს პირადად. სხვა პირთა მაგივრად ხმის მიცემა არ დაიშვება. საარჩევნო ბიულეტენებს იძლევა შესაბამისი საარჩევნო კომისია საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა სიის, ხმის მიცემის უფლების მოწმობის საფუძველზე პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი სხვა საბუთის წარდგენისას. საარჩევნო ბიულეტენის მიღებას ამომრჩეველი ადასტურებს ამომრჩეველთა სიაში ხელმოწერით. ხმის მიცემის უფლების მოწმობები ერთვის ამომრჩეველთა დამატებითს სიას.

ამომრჩევლები, რომლებიც შეცდომით არ მოხვდნენ ამომრჩეველთა სიაში, პირადობისა და საცხოვრებელი ადგილის დამადასტურებელი საბუთის საფუძველზე შეაქვთ ამომრჩეველთა დამატებით სიაში.

იმ შემთხვევაში, როცა ცალკეულ ამომრჩევლებს ჯანმრთელობის მდგომარეობის ან სხვა მიზეზების გამო არ შეუძლიათ ხმის მისაცემ შენობაში მისვლა, საუბნო საარჩევნო კომისია მათი თხოვნით ავალებს კომისიის ცალკეულ წევრებს მოაწყონ ხმის მიცემა ამ ამომრჩეველთა ყოფნის ადგილას ამომრჩეველთა სიის დანართის საფუძველზე, რის შესახებაც ამომრჩეველთა სიაში კეთდება სათანადო აღნიშვნა. ამ შემთხვევაში ხმის მიცემის მოწყობაში მონაწილეობს კომისიის სულ ცოტა ორი წევრი. ხმის მიცემის ამგვარად ჩატარებისათვის გამოიყენება ერთი გადასატანი საარჩევნო ყუთი.

**მუხლი 47. ხმის მიცემის ჩატარება**

საარჩევნო ბიულეტენს ხმის მიმცემი ავსებს ფარული კენჭისყრის კაბინაში ან ოთახში. ბიულეტენის შევსებისას აკრძალულია ვინმეს დასწრება, გარდა ხმის მიმცემისა. ამომრჩეველს, რომელსაც არა აქვს შესაძლებლობა დამოუკიდებლად შეავსოს ბიულეტენი, უფლება აქვს კაბინაში ან ოთახში მიიწვიოს სხვა პირი თავისი შეხედულებისამებრ, გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა და დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილი პირის და წარმომადგენლისა.

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა არჩევნების დროს ხმის მიმცემი ბიულეტენში ამოშლის იმ კანდიდატების გვარებს, რომელთა წინააღმდეგ აძლევს ხმას.

შევსებულ ბიულეტენს ხმის მიმცემი უშვებს საარჩევნო ყუთში.

**მუხლი 48. ხმების დათვლა საარჩევნო უბანში.**

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა არჩევნების დროს ხმებს ითვლიან საარჩევნო უბანში ცალ-ცალკე ყოველი ოლქისა და თითოეული დეპუტატობის კანდიდატის მიხედვით.

საარჩევნო ყუთებს ხსნის საუბნო საარჩევნო კომისია მას შემდეგ, რაც კომისიის თავმჯდომარე გამოაცხადებს, რომ დამთავრდა ხმის მიცემა. საარჩევნო ყუთების გახსნა ხმის მიცემის დამთავრებამდე აკრძალულია. საარჩევნო ყუთების გახსნის წინ ყველა გამოუყენებელ საარჩევნო ბიულეტენს ითვლის და აუქმებს საუბნო საარჩევნო კომისია. ამის შემდეგ ითვლიან საარჩევნო ბიულეტენებს, რომლებიც ჩაშვებული იყო საარჩევნო ყუთში ხმის მიცემის შენობის გარეთ.

საუბნო საარჩევნო კომისია ამომრჩეველთა ძირითადი და დამატებითი სიების მიხედვით ადგენს უბანში ამომრჩეველთა საერთო რიცხვს, აგრეთვე იმ ამომრჩეველთა რიცხვს, რომლებმაც ბიულეტენები მიიღეს. საარჩევნო ყუთებში არსებული ბიულეტენების საფუძველზე საუბნო საარჩევნო კომისია ადგენს: ხმის მიცემის მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რიცხვს; თითოეული დეპუტატობის კანდიდატის მხარდასაჭერად და წინააღმდეგ მიცემული ხმების რაოდენობას; ბათილად ცნობილი ბიულეტენების რიცხვს. იმ მოქალაქეთა გვარების მიხედვით მიცემულ ხმებს, რომლებიც დამატებით ჩაწერეს ამომრჩევლებმა ბიულეტენებში, არ ითვლიან.

ბათილად ცნობენ დაუდგენელი ნიმუშის საარჩევნო ბიულეტენებს, აგრეთვე ბიულეტენებს, რომლებშიც ხმის მიცემის დროს დატოვებულია ერთ კანდიდატზე მეტი.

საარჩევნო ბიულეტენის ნამდვილობაში ეჭვის შეტანის შემთხვევაში საკითხს წყვეტს საუბნო საარჩევნო კომისია კენჭისყრის გზით.

ხმების დათვლის შედეგებს განიხილავენ საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომაზე და შეაქვთ ოქმში. ოქმს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი და წევრები და უგზავნიან შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილი წესით.

**მუხლი 49. საარჩევნო ოლქში არჩევნების შედეგების დადგენა.**

საუბნო საარჩევნო კომისიების ოქმების საფუძველზე საოლქო საარჩევნო კომისია განსაზღვრავს: ოლქის ამომრჩეველთა საერთო რიცხვს; ამომრჩეველთა რაოდენობას, რომლებმაც საარჩევნო ბიულეტენები მიიღეს; ხმის მიცემის მონაწილე ამომრჩეველთა რიცხვს; თითოეული დეპუტატობის კანდიდატის მხარდასაჭერად და წინააღმდეგ მიცემული ხმების რაოდენობას; ბათილად ცნობილი ბიულეტენების რიცხვს.

არჩეულად ითვლებიან საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატობის კანდიდატები, რომლებიც არჩევნებში ხმის მიცემის მონაწილე ამომრჩეველთა ხმების ნახევარზე მეტს მიიღებენ.

საოლქო საარჩევნო კომისიას შეუძლია არჩევნები ბათილად ცნოს არჩევნების დროს ან ხმების დათვლისას დაშვებული ამ კანონის დარღვევების გამო.

არჩევნები ჩატარებულად არ ჩაითვლება, თუ მასში მონაწილეობდა ამომრჩეველთა სიებში შეტანილი ამომრჩევლების ნახევარზე ნაკლები.

საარჩევნო ოლქში არჩევნების შედეგებს ადგენენ საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე და შეაქვთ ოქმში. ოქმს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი და წევრები და უგზავნიან ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მის მიერ დადგენილი წესით.

ცნობას საარჩევნო ოლქში არჩევნების შედეგების შესახებ პრესაში აქვეყნებს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილ ვადებში. ცნობაში აღინიშნება ამომრჩეველთა სიებში შეტანილ მოქალაქეთა საერთო რიცხვი; ხმის მიცემის მონაწილე ამომრჩეველთა რიცხვი; თითოეული კანდიდატის მხარდასაჭერად და წინააღმდეგ მიცემული ხმების რიცხვი; ბათილად ცნობილი ბიულეტენების რიცხვი; არჩეული დეპუტატის გვარი, სახელი, მამის სახელი, დაკავებული თანამდებობა (საქმიანობა), პარტიულობა, სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი.

### IX. საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა არჩევნების შედეგების შეჯამებისა და გამოქვეყნების წესი

**მუხლი 50. საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა რეგისტრაცია**

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია საარჩევნო კომისიათაგან მიღებული ოქმების საფუძველზე რეგისტრაციაში ატარებს არჩეულ საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატებს.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიას შეუძლია ბათილად ცნოს არჩევნები, თუ არჩევნების ან ხმების დათვლის, ანდა არჩევნების შედეგების განსაზღვრის დროს დაირღვა ეს კანონი, და უარი თქვას საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატის რეგისტრაციაში გატარებაზე.

**მუხლი 51. საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა არჩევნების შედეგების გამოქვეყნება**

ცნობას საქართველოს სს რესპუბლიკაში გამართული არჩევნების შედეგების შესახებ და საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატებად არჩეულთა სიას ანბანური წესით ცენტრალური საარჩევნო კომისია პრესაში აქვეყნებს არჩევნებიდან არა უგვიანეს ათი დღისა. ამასთან აღინიშნება დეპუტატის გვარი, სახელი, მამის სახელი, დაკავებული თანამდებობა (საქმიანობა), პარტიულობა, სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი, საარჩევნო ოლქი.

**მუხლი 52. საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატის მოწმობა და სამკერდე ნიშანი**

საოლქო საარჩევნო კომისია ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრაციაში გატარებულ საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა სიის პრესაში გამოქვეყნების შემდეგ ყოველ არჩეულ დეპუტატს აძლევს მოწმობას დეპუტატად არჩევის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატების უფლებამოსილებათა დამტკიცების შემდეგ მათ დეპუტატად არჩევის შესახებ მოწმობას უცვლიან საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატის მოწმობით. დეპუტატს ეძლევა აგრეთვე სამკერდე ნიშანი „საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატი“.

### X. ხელახალი ხმის მიცემა, ხელახალი არჩევნები და გამოკლებულ დეპუტატთა ნაცვლად საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა არჩევნები

**მუხლი 53. ხელახალი ხმის მიცემა**

თუ საარჩევნო ოლქში კენჭს იყრიდა ორზე მეტი საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატობის კანდიდატი და არც ერთი არ იქნა არჩეული, საოლქო საარჩევნო [illegible] ახალი ხმის მიცემა იმ ორი დეპუტატობის კანდიდატისათვის, რომლებმაც მიიღეს ყველაზე მეტი ხმა. ამ გადაწყვეტილებას საოლქო საარჩევნო კომისია აცნობებს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და ოლქის ამომრჩევლებს. ხელახალი ხმის მიცემა საარჩევნო ოლქში ეწყობა არა უგვიანეს ორი კვირის ვადისა ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით. ცნობა ხელახალი ხმის მიცემის შესახებ ქვეყნდება პრესაში.

დეპუტატობის კანდიდატი არჩეულად ითვლება, თუ მიიღო უმეტესი ხმა მეორე დეპუტატთან შედარებით.

**მუხლი 54. ხელახალი არჩევნები**

თუ საარჩევნო ოლქში კენჭს იყრიდა არა უმეტეს ორი საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატობის კანდიდატისა და არც ერთი არ იქნა არჩეული, ანდა თუ საარჩევნო ოლქში არჩევნები ჩატარებულად არ ჩაითვალა ან ბათილად იქნა ცნობილი, ანდა ხელახალმა ხმის მიცემამ ვერ განსაზღვრა არჩეული დეპუტატი, ცენტრალური საარჩევნო კომისია ავალებს საოლქო საარჩევნო კომისიას მოაწყოს საარჩევნო ოლქში ხელახალი არჩევნები. ამასთან მას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება, რომ არჩევნები მოაწყონ საუბნო საარჩევნო კომისიებმა ახალი შემადგენლობით. ხმის მიცემა ხდება იმავე საარჩევნო უბნებში და საერთო არჩევნების ჩასატარებლად შედგენილი ამომრჩეველთა სიებით.

ხელახალი არჩევნები ეწყობა არაუგვიანეს ორი თვის ვადისა საერთო არჩევნების შემდეგ. საუბნო საარჩევნო კომისიების შექმნა, დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია და სხვა ღონისძიებანი ეწყობა ამ კანონით დადგენილი წესით ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილ ვადებში. ცნობა ხელახალი არჩევნების შესახებ ქვეყნდება პრესაში.

**მუხლი 55. გამოკლებულ დეპუტატთა ნაცვლად საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა არჩევნების მოწყობა**

იმ შემთხვევაში, თუ ბათილად იქნა ცნობილი ცალკეულ საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა უფლებამოსილება, აგრეთვე დეპუტატის გაწვევის, სხვა მიზეზების გამო დეპუტატის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, შესაბამის საარჩევნო ოლქებში დეპუტატის გამოკლების მომენტიდან სამი თვის ვადაში ეწყობა ახალი არჩევნები. არჩევნებს ნიშნავს ცენტრალური საარჩევნო კომისია არა უგვიანეს ორი თვისა არჩევნების ჩატარებამდე და იგი ეწყობა ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით. ამასთან საუბნო საარჩევნო კომისიები იქმნება არჩევნებამდე ერთი თვით ადრე, დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია მთავრდება არჩევნებამდე ერთი თვით ადრე.

თუ საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატი გამოაკლდა საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა უფლებამოსილებათა ვადის გასვლამდე ექვს თვეზე ნაკლებ დროში, გამოკლებულის ნაცვლად საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატის არჩევნები არ ეწყობა.

---

**პროექტი**

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი
## საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ

### I. ზოგადი დებულებანი

**მუხლი 1. საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატების არჩევნების საფუძვლები**

საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატების არჩევნები ეწყობა ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით.

**მუხლი 2. საყოველთაო საარჩევნო უფლება**

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატების არჩევნები საყოველთაოა: საქართველოს სსრ მოქალაქეს, რომელსაც 18 წელი შეუსრულდა, უფლება აქვს აირჩიოს და იყოს არჩეული წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, მოცემულ ადგილას ცხოვრების დროის, საქმიანობის სახეობისა და ხასიათის მიუხედავად.

საქართველოს სსრ მოქალაქე არ შეიძლება ერთდროულად იყოს სახალხო დეპუტატი ორზე მეტ საბჭოში.

არჩევნებში არ მონაწილეობენ ფსიქიურად დაავადებული მოქალაქენი, რომლებიც სასამართლომ ქმედუუნაროდ ცნო, თავისუფლების აღკვეთის ადგილას მყოფნი, აგრეთვე ის პირები, რომლებიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იძულებითი მკურნალობის ადგილებში იმყოფებიან.

**მუხლი 3. თანასწორი საარჩევნო უფლება**

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატების არჩევნები თანასწორია: ამომრჩეველს ყოველ საარჩევნო ოლქში ერთი ხმა აქვს; ამომრჩევლები არჩევნებში თანასწორ საფუძველზე მონაწილეობენ.

**მუხლი 4. პირდაპირი საარჩევნო უფლება**

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატთა არჩევნები პირდაპირია: სახალხო დეპუტატებს მოქალაქენი უშუალოდ ირჩევენ.

**მუხლი 5. ფარული კენჭისყრა**

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატთა არჩევნებში კენჭისყრა ფარულია: ამომრჩეველთა ნება-სურვილის გამოვლინებისადმი კონტროლი დაუშვებელია.

**მუხლი 6. საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატების უფლებამოსილების ვადა**

საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატების უფლებამოსილების ვადაა ხუთი წელი.

**მუხლი 7. არჩევნების ჩატარება საარჩევნო კომისიების მიერ**

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატების არჩევნების ჩატარებას უზრუნველყოფენ საარჩევნო კომისიები, რომლებიც იქმნება შრომითი კოლექტივების, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეთა და სტუდენტთა კოლექტივების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოძრაობების, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა და ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებების წარმომადგენლებისაგან.

**მუხლი 8. საჯაროობა არჩევნების მომზადებისა და ჩატარების დროს**

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატების არჩევნების მომზადებასა და ჩატარებას ახორციელებენ საარჩევნო კომისიები, შრომითი კოლექტივები, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეთა და სტუდენტთა კოლექტივები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მოძრაობები ღიად და საჯაროდ.

საარჩევნო კომისიები მოქალაქეებს აცნობენ თავიანთ მუშაობას, საარჩევნო ოლქებისა და უბნების შექმნას, საარჩევნო კომისიების შემადგენლობას, ადგილსამყოფელს, მუშაობის დროს და ამომრჩეველთა სიებს. საარჩევნო კომისიები მოქალაქეებს აწვდიან ცნობებს სახალხო დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების შესახებ, აცნობენ მათი რეგისტრაციაში გატარების შედეგებს, რეგისტრაციაში გატარებულ დეპუტატობის კანდიდატთა ბიოგრაფიულ მონაცემებს, თითოეული კანდიდატის მიხედვით კენჭისყრისა და არჩევნების შედეგებს.

საარჩევნო კომისიების სხდომებზე და ხმის მიცემის შენობებში დასწრების უფლება აქვთ შრომითი კოლექტივების, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეთა და სტუდენტთა კოლექტივების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და მოძრაობების, ამომრჩეველთა კრებების წარმომადგენლებს, ნდობით აღჭურვილ პირებს, პრესის, ტელევიზიისა და რადიოს წარმომადგენლებს, ხოლო არჩევნების დღეს საარჩევნო უბნებში — დეპუტატობის კანდიდატის წარმომადგენელსაც.

წარმომადგენელთა უფლებამოსილება დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი დოკუმენტით ან შრომითი კოლექტივის კრებების (კონფერენციების), საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა და ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებების ოქმების ამონაწერებით, ხოლო დეპუტატობის კანდიდატის წარმომადგენლისათვის — დეპუტატობის კანდიდატის განცხადებით საუბნო საარჩევნო კომისიის სახელზე. ოქმის ამონაწერი, ისევე როგორც განცხადება, შესაბამის კომისიას უნდა გადაეცეს სხდომამდე არა უგვიანეს სამი დღისა. საარჩევნო კომისიამ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს 24 საათის განმავლობაში. უარის თქმის შემთხვევაში საარჩევნო კომისია იძლევა დასაბუთებულ წერილობით პასუხს, რომლის გასაჩივრებაც შეიძლება ზემდგომ საარჩევნო კომისიაში.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები აშუქებენ ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატთა არჩევნების მომზადებისა და ჩატარების მიმდინარეობას, მათთვის გარანტირებულია შეუფერხებელი დასწრება არჩევნებთან დაკავშირებულ ყველა კრებასა და სხდომაზე. საარჩევნო კომისიები, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოები, შრომითი კოლექტივები, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეთა და სტუდენტთა კოლექტივები აწვდიან მათ არჩევნების მომზადებასთან და ჩატარებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას.

**მუხლი 9. მოქალაქეების, შრომითი კოლექტივების, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეთა და სტუდენტთა კოლექტივების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოძრაობების მონაწილეობა არჩევნების მომზადებასა და ჩატარებაში**

საქართველოს სსრ მოქალაქენი ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატთა არჩევნების მომზადებასა და ჩატარებაში მონაწილეობენ როგორც შრომითი კოლექტივების, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეთა და სტუდენტთა კოლექტივების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოძრაობების, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა და ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებების მეშვეობით, ისე უშუალოდაც.

შრომითი კოლექტივები, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეთა და სტუდენტთა კოლექტივები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მოძრაობები მონაწილეობენ ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატთა არჩევნების მომზადებასა და ჩატარებაში როგორც საარჩევნო კომისიებში თავიანთი წარმომადგენლების მეშვეობით, ისე უშუალოდაც.

**მუხლი 10. საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებში სახალხო დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების უფლება**

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებში სახალხო დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების უფლება აქვთ შრომით კოლექტივებს, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეთა და სტუდენტთა კოლექტივებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მოძრაობებს, ამომრჩეველთა კრებებს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებებს.

**მუხლი 11. ამომრჩეველთა განაწესები საქართველოს სსრ ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატებს**

ამომრჩევლები განაწესებს აძლევენ თავიანთ დეპუტატებს.

განაწესების შეტანის, განზოგადების, განხილვისა და შესრულების ორგანიზაციის წესს ადგენს საქართველოს სსრ კანონი.

**მუხლი 12. საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს სახალხო დეპუტატის სტატუსის შეუთავსებლობა თანამდებობრივ მდგომარეობასთან**

ის პირნი, რომლებიც შედიან საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების შემადგენლობაში, ამ ორგანოების თავმჯდომარეთა გარდა, ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების განყოფილებების, სამმართველოებისა და სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელები, მოსამართლეები და სახელმწიფო არბიტრები არ შეიძლება ამავე დროს იყვნენ იმ საბჭოს სახალხო დეპუტატები, რომელიც ნიშნავს ან ირჩევს მათ.

**მუხლი 13. არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯები. არჩევნების მატერიალური უზრუნველყოფა**

ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატთა არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს. სხვა წყაროებიდან საარჩევნო კამპანიის დაფინანსება აკრძალულია.

საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოები საარჩევნო კომისიების განკარგულებაში გადასცემენ არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისათვის საჭირო შენობებსა და მოწყობილობას.

ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატობის კანდიდატები და ამომრჩევლები არ გაიღებენ არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

**მუხლი 14. პასუხისმგებლობა არჩევნების შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის**

პირებს, რომლებიც ძალადობის, მოტყუების, მუქარის, მოსყიდვის ან სხვა გზით ხელს უშლიან იმას, რომ საქართველოს სსრ მოქალაქემ თავისუფლად განახორციელოს თავისი უფლება — აირჩიოს და იყოს არჩეული საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს სახალხო დეპუტატად, ეწეოდეს წინასაარჩევნო აგიტაციას, აგრეთვე საარჩევნო კომისიების წევრებს, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების თანამდებობის პირებს, რომლებმაც გააყალბეს საარჩევნო დოკუმენტები, განზრახ არასწორად დათვალეს ხმები, დაარღვიეს კენჭისყრის საიდუმლოება ან დაუშვეს ამ კანონის სხვა დარღვევები, ეკისრებათ კანონით დადგენილი პასუხისმგებლობა. პასუხს აგებენ აგრეთვე პირები, რომლებმაც გამოაქვეყნეს ან სხვა საშუალებით გაავრცელეს ყალბი ცნობები დეპუტატობის კანდიდატის შესახებ.

### II. საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატების არჩევნების დანიშვნისა და საარჩევნო ოლქების შექმნის წესი

**მუხლი 15. არჩევნების დანიშვნა**

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ყველა ადგილობრივი საბჭოს სახალხო დეპუტატთა არჩევნები ტარდება ერთდროულად და მას ნიშნავს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო არა უგვიანეს ოთხი თვისა სახალხო დეპუტატთა უფლებამოსილების ვადის გასვლამდე.

ცნობა არჩევნების დღის შესახებ ქვეყნდება პრესაში.

**მუხლი 16. საარჩევნო ოლქების შექმნა**

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატების არჩევნებისათვის იქმნება საარჩევნო ოლქები:

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოში — 140 ოლქი;

სახალხო დეპუტატთა რაიონულ საბჭოში — 45-დან 75 ოლქამდე;

რესპუბლიკური, საოლქო დაქვემდებარების ქალაქების სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოში — 50-დან 300 ოლქამდე;

რაიონული დაქვემდებარების ქალაქების სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოში — 25-დან 35 ოლქამდე;

სახალხო დეპუტატთა ქალაქის რაიონულ საბჭოში — 75-დან 100 ოლქამდე;

სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოში — 20-დან 40 ოლქამდე.

ამ კანონით დადგენილ ნორმათა ფარგლებში, სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოების წინადადებით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს, თითოეული რაიონული, საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის) საბჭოს სახალხო დეპუტატთა არჩევნების საარჩევნო ოლქების რიცხვს განსაზღვრავს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო ან მისი პრეზიდიუმი, ხოლო საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების ქალაქის), ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოს სახალხო დეპუტატთა არჩევნებისას — სახალხო დეპუტატთა ზემდგომი საბჭო ან მისი პრეზიდიუმი.

საარჩევნო ოლქები იქმნება შესაბამისი საარჩევნო კომისიების მიერ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფისა და ტერიტორიის სხვა თავისებურებათა გათვალისწინებით, ძირითადად ერთ საარჩევნო ოლქზე გაანგარიშებით ამომრჩეველთა თანაბარი რიცხვის პრინციპის დაცვით.

გამონაკლისის სახით, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს ან მისი პრეზიდიუმის ნებართვით, შეიძლება შეიქმნას ამ მუხლით გათვალისწინებულზე მეტი ან ნაკლები საარჩევნო ოლქები.

საარჩევნო ოლქების სიები, რომლებშიც აღნიშნულია მათი საზღვრები და ამომრჩეველთა რიცხვი, ქვეყნდება არჩევნების დანიშვნიდან არა უგვიანეს თხუთმეტი დღისა.

### III. საარჩევნო უბნები

**მუხლი 17. საარჩევნო უბნების შექმნა**

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატების არჩევნების დროს კენჭისყრის მოსაწყობად და ხმების დასათვლელად რაიონების, ქალაქების, ქალაქის რაიონების ტერიტორია იყოფა საარჩევნო უბნებად. საარჩევნო უბნები იქმნება აგრეთვე ჯარის ნაწილებში.

(გაგრძელება მე-6 გვ.).

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი

## საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ

(გაგრძელება)

საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში, მოქალაქეთა ყოფნის ძნელად მისადგომ რაიონებში განლაგებულ ადგილებში, აგრეთვე არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე შეიძლება შეიქმნას საარჩევნო უბნები, რომლებიც შედის საარჩევნო ოლქებში შესაბამისად მათი ადგილსამყოფელის ან გემის მიწერის ნავსადგურის ადგილის მიხედვით.

**მუხლი 18. საარჩევნო უბნების შექმნის წესი და ნორმა**

საარჩევნო უბნებს ქმნიან სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო (გარდა რაიონული დაქვემდებარების ქალაქებისა) ქალაქის რაიონული საბჭოები ან მათი პრეზიდიუმები შესაბამის საარჩევნო კომისიებთან შეთანხმებით, არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე. საარჩევნო უბნებს ქმნიან შესაბამისი სახალხო დეპუტატთა საბჭოები ან მათი პრეზიდიუმები გემის მიწერის ნავსადგურის ადგილის მიხედვით. ჯარის ნაწილებში საარჩევნო უბნებს ქმნიან სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები ან მათი პრეზიდიუმები ნაწილების ან საჯარისო შენაერთების მეთაურთა წარდგინებით.

საარჩევნო უბნები იქმნება არა უგვიანეს ორი თვისა არჩევნებამდე. ჯარის ნაწილებში და ძნელად მისადგომ რაიონებში, არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე საარჩევნო უბნები იქმნება იმავე ვადაში, ხოლო გამონაკლის შემთხვევაში არა უგვიანეს ხუთი დღისა არჩევნებამდე.

საარჩევნო უბნები იქმნება არანაკლებ 20 და არა უმეტეს 3.000 ამომრჩევლებისათვის.

შესაბამისი ადგილობრივი საბჭო ან მისი პრეზიდიუმი ამომრჩევლებს აცნობებს თითოეული საარჩევნო უბნის საზღვრებს და საუბნო საარჩევნო კომისიისა და ხმის მიცემის შენობის ადგილსამყოფელს.

**მუხლი 19. ხმის მიცემის უფლების მოწმობა. ამომრჩეველთა დამატებითი სია**

თუ ამომრჩეველმა ადგილსამყოფელი შეიცვალა ამომრჩეველთა სიების საყოველთაო გაცნობისათვის გამოტანასა და არჩევნების დღის შუა პერიოდში, საუბნო საარჩევნო კომისია მისი თხოვნით და წარმოდგენილი პასპორტისა თუ მისი პიროვნების დამადასტურებელი სხვა საბუთის საფუძველზე ამომრჩეველს აძლევს ხმის მიცემის უფლების მოწმობას, ამასთან, ამომრჩეველთა სიაში შეაქვთ შესაბამისი აღნიშვნა.

ხმის მიცემის უფლების მოწმობის საფუძველზე ამომრჩეველი შეაქვთ დამატებით სიაში საარჩევნო უბანში არჩევნების დღეს მისი ადგილსამყოფელის მიხედვით.

## IV. საარჩევნო კომისიები

**მუხლი 20. საარჩევნო კომისიების სისტემა**

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატების არჩევნების ჩასატარებლად იქმნება საარჩევნო კომისიები:

საოლქო (ავტონომიური ოლქის), რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო და სასოფლო საარჩევნო კომისიები;

საუბნო საარჩევნო კომისიები.

**მუხლი 21. საოლქო (ავტონომიური ოლქის), რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო და სასოფლო საარჩევნო კომისიების შექმნა**

საოლქო (ავტონომიური ოლქის), რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო და სასოფლო საარჩევნო კომისიებს არჩევნების დანიშვნიდან ქმნიან არა უგვიანეს ათი დღისა და მათ შემადგენლობაში ცვლილებები შეაქვთ სახალხო დეპუტატთა შესაბამის საბჭოებს ან მათ პრეზიდიუმებს. კომისიები იქმნება 7-21 წევრის შემადგენლობით.

საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში წარმომადგენლებს ასახელებენ მათ ტერიტორიაზე განლაგებული შრომითი კოლექტივები ან მათი საბჭოები, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეთა და სტუდენტთა კოლექტივები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მოძრაობათა საოლქო, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული ორგანოები, ხოლო, თუ ასეთი ორგანოები არაა შექმნილი — პირველადი ორგანიზაციების რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული კონფერენციები, შემოქმედებითი კავშირების არჩევითი ორგანოები, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა და ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებები.

საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სულ ცოტა ასი ამომრჩეველი. შრომითი კოლექტივების კრებები უფლებამოსილია, თუ მათ ესწრება შრომითი კოლექტივების წევრთა უმრავლესობა. სხდომები (კონფერენციები) უფლებამოსილია, თუ მათ ესწრება შესაბამისი ორგანოს წევრთა სულ ცოტა ორი მესამედი. შრომითს კოლექტივებში კრებებს იწვევენ მათი საბჭოები ან მათთან გათანაბრებული ორგანოები, პროფკავშირთა კომიტეტები ადმინისტრაციასთან ერთად საკუთარი ინიციატივით ან კოლექტივის წევრთა ერთი მესამედის მოთხოვნით. წარმომადგენელი დასახელებულად ითვლება, თუ მას ხმას მისცემს კრების მონაწილეთა ნახევარზე მეტი ან შესაბამისი არჩევითი ორგანოს საერთო შემადგენლობის უმრავლესობა.

**მუხლი 22. საუბნო საარჩევნო კომისიების შექმნა**

საუბნო საარჩევნო კომისია იქმნება არჩევნებამდე არა უგვიანეს 45 დღისა 5-15 წევრის შემადგენლობით. საჭიროების შემთხვევაში საუბნო საარჩევნო კომისიის შემადგენლობა შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს.

საუბნო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში წარმომადგენლებს ასახელებენ მათ ტერიტორიაზე განლაგებული შრომითი კოლექტივები, ან მათი ქვედანაყოფები საერთო კრებებზე (კონფერენციებზე), ან მათი საბჭოები ან მათთან გათანაბრებული ორგანოები, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეთა და სტუდენტთა კოლექტივები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მოძრაობათა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული ორგანოები, მათი პირველადი ორგანიზაციები, მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოები, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა და ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებები.

საცხოვრებელი ადგილის მიხედვით კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სულ ცოტა 50 ამომრჩეველი.

დიდ შრომით კოლექტივებში (საერთო რიცხვი სულ ცოტა 500 კაცია) საარჩევნო კომისიათა შემადგენლობაში წარმომადგენელთა დასასახელებლად კრებები შეიძლება გაიმართოს საამქროებში, უბნებზე, ცვლებში, ბრიგადებსა და სხვა ქვედანაყოფებში, რომლებიც სულ ცოტა 50 კაცს ითვლიან.

საუბნო საარჩევნო კომისიებს ქმნის სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭო ან მისი პრეზიდიუმი.

საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა კრებებს იწვევენ სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭო ან მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანო, აგრეთვე მოცემული საარჩევნო ოლქის სულ ცოტა 30 ამომრჩევლის ინიციატივით.

**მუხლი 23. საარჩევნო კომისიათა მუშაობის ორგანიზაცია**

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილესა და მდივანს ირჩევენ შესაბამისი კომისიის პირველ სხდომაზე.

საარჩევნო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მასში მონაწილეობს კომისიის შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედი. კომისიის გადაწყვეტილებებს იღებენ ღია კენჭისყრით კომისიის საერთო შემადგენლობის ხმების უმრავლესობით. კომისიის წევრებს, თუ არ ეთანხმებიან მის გადაწყვეტილებას, უფლება აქვთ გამოთქვან განსაკუთრებული აზრი, რომელიც წერილობითი ფორმით ერთვის ოქმს და განსახილველად ეგზავნება ზემდგომ საარჩევნო კომისიას.

საარჩევნო კომისიების უფლებამოსილებათა ფარგლებში მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულება სავალდებულოა ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოს, საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის.

საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებანი და მოქმედება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ საარჩევნო კომისიაში, ხოლო ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, — აგრეთვე სასამართლოში.

საარჩევნო კომისიის წევრი, კერძოდ თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და მდივანი კომისიის გადაწყვეტილებით არჩევნების მომზადებისა და ჩატარების პერიოდში შეიძლება გათავისუფლდეს საწარმოო ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან, ამასთან შეუნარჩუნდეს საშუალო ხელფასი არჩევნების ჩატარებისათვის გამოყოფილი სახსრების ხარჯზე.

საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში შემავალ პირთ, მათ შორის თავმჯდომარეებსა და მის მოადგილეებს, უფლება არა აქვთ მონაწილეობდნენ დეპუტატობის კანდიდატთა სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ აგიტაციაში.

**მუხლი 24. საარჩევნო კომისიებისათვის ხელშეწყობა მათი უფლებამოსილების განხორციელებაში**

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოები, საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები, თანამდებობის პირნი ვალდებულნი არიან ხელი შეუწყონ საარჩევნო კომისიებს თავიანთ უფლებამოსილებათა განხორციელებაში, მიაწოდონ მუშაობისათვის საჭირო ცნობები და მასალები.

საარჩევნო კომისიას უფლება აქვს არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მიმართოს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებს, საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, თანამდებობის პირებს, რომლებიც ვალდებული არიან განიხილონ დასმული საკითხი და საარჩევნო კომისიას პასუხი გასცენ არა უგვიანეს სამი დღის ვადისა.

**მუხლი 25. საოლქო (ავტონომიური ოლქის), რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო და სასოფლო საარჩევნო კომისიების უფლებამოსილებანი**

საოლქო (ავტონომიური ოლქის), რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საარჩევნო კომისია:

1) კონტროლს უწევს ამ კანონის შესრულებას და უზრუნველყოფს მის ერთგვაროვან გამოყენებას სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს ტერიტორიაზე, საჭიროების შემთხვევაში საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოში შეაქვს წარდგინებანი ამ კანონის განმარტების თაობაზე;

2) ქმნის საარჩევნო ოლქებს;

3) წარმართავს საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობას;

4) უნაწილებს ფულად სახსრებს საარჩევნო კომისიებს;

5) კონტროლს უწევს საარჩევნო კომისიების უზრუნველყოფას შენობებით, ტრანსპორტით, კავშირგაბმულობით და განიხილავს არჩევნების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სხვა საკითხებს;

6) ამტკიცებს ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატთა არჩევნების საარჩევნო ბიულეტენების ტექსტს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს ან მისი პრეზიდიუმის მიერ დადგენილი ფორმის შესაბამისად და უზრუნველყოფს მათ დამზადებას;

7) ისმენს ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების, აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ორგანოების ინფორმაციებს არჩევნების მომზადებასთან და ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

8) იღებს საუბნო საარჩევნო კომისიებისაგან ოქმებს დეპუტატობის კანდიდატების რეგისტრაციის შესახებ და აქვეყნებს ცნობას შესაბამისი ადგილობრივი საბჭოს რეგისტრირებული სახალხო დეპუტატობის კანდიდატთა შემადგენლობის შესახებ;

9) იღებს საუბნო საარჩევნო კომისიებისაგან ოქმებს შესაბამისი ადგილობრივი საბჭოს სახალხო დეპუტატების არჩევნების შედეგების შესახებ;

10) რეგისტრაციაში ატარებს შესაბამისი ადგილობრივი საბჭოს არჩეულ სახალხო დეპუტატებს, აჯამებს მთლიანად ოლქში, რაიონში, ქალაქში, ქალაქის რაიონში, დაბაში, სოფელში არჩევნების შედეგებს, პრესაში აქვეყნებს ცნობას არჩევნების შედეგების შესახებ და არჩეულ სახალხო დეპუტატთა სიას;

11) გადასცემს შესაბამისი ადგილობრივი საბჭოს სამანდატო კომისიას სახალხო დეპუტატთა უფლებამოსილების შესამოწმებლად საჭირო დოკუმენტაციას;

12) აწყობს ხელახალი ხმის მიცემისა და ხელახალი არჩევნების ჩატარებას, დეპუტატის გაწვევას;

13) ნიშნავს გამოკლებული დეპუტატების ნაცვლად შესაბამისი ადგილობრივი საბჭოს სახალხო დეპუტატთა არჩევნებს და უზრუნველყოფს მის ჩატარებას;

14) უზრუნველყოფს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მიერ დადგენილი საარჩევნო დოკუმენტების შენახვის წესსა და ვადებს;

15) იხილავს განცხადებებსა და საჩივრებს საარჩევნო კომისიათა გადაწყვეტილებებისა და მოქმედების შესახებ და იღებს საბოლოო გადაწყვეტილებებს მათ გამო;

16) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს ამ კანონის შესაბამისად.

**მუხლი 26. საუბნო საარჩევნო კომისიების უფლებამოსილებანი**

საუბნო საარჩევნო კომისია:

1) ადგენს უბნის მიხედვით ამომრჩეველთა სიებს, მოქალაქეებს აცნობს ამომრჩეველთა სიას, იღებს და იხილავს განცხადებებს სიაში უსწორობათა შესახებ და წყვეტს მასში სათანადო ცვლილებათა შეტანის საკითხს;

2) ადგენს დამატებით სიას ამომრჩეველთა განცხადებების საფუძველზე;

3) რეგისტრაციაში ატარებს დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილ პირებს და აძლევს მათ შესაბამის მოწმობებს;

4) აუწყებს მოსახლეობას საარჩევნო უბნის ადგილსამყოფელსა და მისი მუშაობის დროს, აგრეთვე არჩევნების დღესა და ხმის მიცემის ადგილს;

5) უზრუნველყოფს ხმის მიცემისათვის შენობის, საარჩევნო ყუთებისა და კაბინების მომზადებას;

6) ორგანიზაციას უწევს საარჩევნო უბანში ხმის მიცემას არჩევნების დღეს;

7) ითვლის საარჩევნო უბანში მიცემულ ხმებს;

8) იხილავს განცხადებებსა და საჩივრებს არჩევნების მომზადებისა და კენჭისყრის ორგანიზაციის საკითხებზე და იღებს გადაწყვეტილებებს მათ გამო;

9) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს ამ კანონის შესაბამისად.

**მუხლი 27. საარჩევნო კომისიების შემადგენლობის შეცვლის წესი**

საარჩევნო კომისიის ნებისმიერი წევრი შეიძლება გათავისუფლდეს კომისიაში თავისი მოვალეობის შესრულებისაგან ამ კომისიის შემქმნელი ორგანოს მიერ. ეს გადაწყვეტილება მიიღება კომისიის წევრის პირადი განცხადების ან დამსახელებელი შრომითი კოლექტივის, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეთა და სტუდენტთა კოლექტივების, საზოგადოებრივი ორგანიზაციისა თუ მოძრაობის, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა, ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებების წარდგენების საფუძველზე.

საჭიროების შემთხვევაში საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში ახალი წარმომადგენლის დასახელება და დამტკიცება ხდება კომისიის შემქმნელი ორგანოს სათანადო გადაწყვეტილების საფუძველზე ამ კანონით დადგენილი წესით.

## V. ამომრჩეველთა სიები

**მუხლი 28. ამომრჩეველთა სია და მისი შედგენის წესი**

ამომრჩეველთა სიას საუბნო საარჩევნო კომისია ადგენს თითოეული საარჩევნო უბნის მიხედვით და მას ხელს აწერენ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი. სიის შედგენისათვის მუშაობაში საარჩევნო კომისიას შეუძლია მოიწვიოს საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

სახალხო დეპუტატთა საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები უზრუნველყოფენ ამომრჩეველთა აღრიცხვას და გადასცემენ საუბნო საარჩევნო კომისიებს შესაბამის ტერიტორიაზე მცხოვრებ ამომრჩეველთა შესახებ იმ მონაცემებს, რომლებიც საჭიროა ამომრჩეველთა სიების შესადგენად.

ჯარის ნაწილებში მყოფ სამხედრო მოსამსახურეთა და ჯარის ნაწილების განლაგების რაიონებში მცხოვრებ სხვა ამომრჩეველთა სიებს, ადგენენ ჯარის ნაწილების მეთაურების მიერ წარდგენილი მონაცემების საფუძველზე.

ამომრჩეველთა სიებს საარჩევნო უბნების მიხედვით, რომლებიც შექმნილია საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში, აგრეთვე არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე, ადგენენ აღნიშნული დაწესებულებების ხელმძღვანელებისა და გემების კაპიტნების მიერ წარდგენილი მონაცემების საფუძველზე.

ამომრჩეველთა გვარები სიაში შეაქვთ ხმის მიცემის მოწყობისათვის მოსახერხებელი წესით.

**მუხლი 29. ამომრჩეველთა სიაში მოქალაქეთა შეტანის წესი**

ამომრჩეველთა სიაში შეაქვთ საქართველოს სსრ ყველა მოქალაქე, რომლებსაც არჩევნების დღისათვის ან არჩევნების დღეს შეუსრულდათ 18 წელი და სიების შედგენის მომენტისათვის ცხოვრობენ მოცემული საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე და აქვთ ხმის მიცემის უფლება.

ამომრჩეველი არ შეიძლება შეტანილ იქნეს ამომრჩეველთა სიებში სხვა საარჩევნო უბნებში.

**მუხლი 30. მოქალაქეებისათვის ამომრჩეველთა სიების გაცნობა და ამომრჩეველთა სიაში უსწორობის გასაჩივრების უფლება**

ამომრჩეველთა სიები საყოველთაო გაცნობისათვის გამოაქვთ არჩევნებამდე თხუთმეტი დღით ადრე, ხოლო საარჩევნო უბნებში, რომლებიც შექმნილია საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში, — არჩევნებამდე ორი დღით ადრე.

მოქალაქეებისათვის უზრუნველყოფილია შესაძლებლობა გაეცნონ ამომრჩეველთა სიებს და შეამოწმონ მათი შედგენის სისწორე საუბნო საარჩევნო კომისიის შენობაში.

ყოველ მოქალაქეს უფლება ეძლევა გაასაჩივროს ამომრჩეველთა სიაში შეუტანლობა, უსწორო შეტანა ან სიიდან ამოღება, აგრეთვე სიაში დაშვებული სხვა უზუსტობანი. სიაში უსწორობის შესახებ განცხადებას განიხილავს საუბნო საარჩევნო კომისია, რომელიც ვალდებულია არა უგვიანეს ორი დღისა, ხოლო არჩევნების დღესა და წინა დღეს დაუყოვნებლივ განიხილოს განცხადება, შეიტანოს საჭირო შესწორებანი სიაში ან განმცხადებელს მისცეს მისი განცხადების უარყოფის შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილების პირი. ეს გადაწყვეტილება შეიძლება არჩევნებამდე არა უგვიანეს ხუთი დღისა გასაჩივრდეს რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოში, რომელიც მოვალეა განიხილოს საჩივარი სამი დღის ვადაში. რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა. სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად ამომრჩეველთა სიაში შესწორება დაუყოვნებლივ შეაქვს საუბნო საარჩევნო კომისიას.

## VI. საქართველოს სსრ ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება და რეგისტრაცია

**მუხლი 31. საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების წესი**

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატობის კანდიდატების დასახელება იწყება არჩევნებამდე სამი თვით ადრე და მთავრდება არჩევნებამდე 45 დღით ადრე.

ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატობის კანდიდატებს ასახელებენ მათ ტერიტორიაზე განლაგებული შრომითი კოლექტივები ან მათი ქვედანაყოფების კრებები (კონფერენციები) ან მათთან გათანაბრებული ორგანოები. კრებებს ან კონფერენციებს იწვევენ შრომითი კოლექტივების საბჭოები ან მათთან გათანაბრებული ორგანოები, პროფკავშირთა კომიტეტები ან ადმინისტრაცია საკუთარი ინიციატივით ან კოლექტივის წევრთა ერთი მესამედის მოთხოვნით. კრება უფლებამოსილია, თუ მასში მონაწილეობს შრომითი კოლექტივის წევრთა უმრავლესობა, კონფერენცია უფლებამოსილია, თუ მასში მონაწილეობს დელეგატთა სულ ცოტა ორი მესამედი. შრომითს კოლექტივს უფლება აქვს დაასახელოს ერთი დეპუტატობის კანდიდატი იმ ოლქში, რომლის ტერიტორიაზეც იგი მდებარეობს.

საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოძრაობებისაგან საოლქო, საქალაქო, რაიონული საბჭოების სახალხო დეპუტატობის კანდიდატებს ასახელებენ შესაბამისად მათი საოლქო, საქალაქო, რაიონული ორგანოები, ხოლო თუ ასეთი ორგანოები არ არის შექმნილი — პირველადი ორგანიზაციების საოლქო, საქალაქო, რაიონული კონფერენციები, ხოლო სადაბო და სასოფლო საბჭოების სახალხო დეპუტატობის კანდიდატებს ასახელებენ მათი პირველადი ორგანიზაციები. მათ უფლება აქვთ დაასახელონ თითო დეპუტატობის კანდიდატი შესაბამისი საბჭოს ტერიტორიაზე შექმნილ ყოველ საარჩევნო ოლქში.

სახალხო დეპუტატობის კანდიდატთა დასასახელებლად საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა კრებებს იწვევენ სახალხო დეპუტატთა საბჭოები ან მათი პრეზიდიუმები შესაბამის საარჩევნო კომისიებთან ერთად, საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე ან საკუთარი ინიციატივით, ან მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების ინიციატივით, ანდა მოცემული საარჩევნო ოლქის სულ ცოტა 50 ამომრჩევლის მოთხოვნით. კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე მცხოვრები სულ ცოტა 100 ამომრჩეველი.

სადაბო და სასოფლო საბჭოების სახალხო დეპუტატობის კანდიდატებს ასახელებენ აგრეთვე მოქალაქეთა კრებებზე, ყრილობებზე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

სახალხო დეპუტატობის კანდიდატთა დასასახელებლად სამხედრო მოსამსახურეთა კრებებს იწვევს ჯარის ნაწილის სარდლობა.

სახალხო დეპუტატობის კანდიდატებად ასახელებენ შესაბამისი საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე მომუშავე ან მცხოვრებ საქართველოს სსრ მოქალაქეებს. სახალხო დეპუტატობის კანდიდატს შეუძლია ერთდროულად რეგისტრაციაში გატარდეს და კენჭი იყაროს მხოლოდ ერთ საარჩევნო ოლქში.

კრებებზე (კონფერენციებზე) იქმნება განუსაზღვრელი რაოდენობის კანდიდატურათა დასახელების, მათი ფართო, თავისუფალი განხილვის პირობები. კრების (კონფერენციის) თითოეულ მონაწილეს უფლება აქვს შეიტანოს წინადადებები დეპუტატობის კანდიდატთა შესახებ, მონაწილეობა მიიღოს მათ განხილვაში, მხარი დაუჭიროს დასახელებულ კანდიდატურებს, ან შეიტანოს წინადადებანი მათი აცილების შესახებ. კრების (კონფერენციის) მონაწილეს შეუძლია დეპუტატობის კანდიდატად განხილვისათვის დაასახელოს თავისი კანდიდატურა.

სახალხო დეპუტატობის კანდიდატად დასახელების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება კრებაზე (კონფერენციაზე) ღია ან ფარული კენჭისყრით. კენჭისყრის წესს ადგენს კრება.

თითოეულ მოქალაქეს, რომლის კანდიდატურასაც იხილავენ როგორც დეპუტატობის კანდიდატისას, უფლება აქვს განაცხადოს თვითაცილება, მისცეს პასუხი ან განმარტება მის წინაშე დაყენებულ კითხვებზე.

კანდიდატი დასახელებულად ითვლება, თუ მას ხმას მისცემს კრების მონაწილეთა ნახევარზე მეტი ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის შესაბამისი ორგანოს საერთო შემადგენლობის უმრავლესობა, ამასთან, კრების, სხდომის თითოეულ მონაწილეს უფლება აქვს ხმა მისცეს მხოლოდ ერთ კანდიდატს. დეპუტატობის კანდიდატებად დასახელების შესახებ დგება ოქმი. მიღებული გადაწყვეტილება ეცნობება დეპუტატობის კანდიდატს არა უგვიანეს ორი დღისა.

**მუხლი 32. საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია**

საოლქო, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების სახალხო დეპუტატობის კანდიდატებს რეგისტრაციაში ატარებენ შესაბამისი საოლქო, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო და სასოფლო საარჩევნო კომისიები.

სახალხო დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია იწყება არჩევნებამდე 45 დღით ადრე და მთავრდება ერთი თვით ადრე.

დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება, თუ არის შემდეგი დოკუმენტები: მოცემულ საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების შესახებ კრებების (სხდომების) ოქმები, აგრეთვე დეპუტატობის კანდიდატთა განცხადებები იმის შესახებ, რომ თანახმა არიან კენჭი იყარონ ამ საარჩევნო ოლქში.

ამ კანონის მე-12 მუხლში ჩამოთვლილი პირები დეპუტატობის კანდიდატებად მათი დასახელების დროს თავიანთ განცხადებებში აღნიშნავენ, რომ აპირებენ გაათავისუფლონ დაკავებული თანამდებობანი დეპუტატებად მათი არჩევის შემთხვევაში ან აცნობებენ, რომ ხსნიან თავიანთ კანდიდატურებს.

ამ კანონის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად დეპუტატობის კანდიდატები დასახელებისას თავიანთ განცხადებებში აღნიშნავენ, თუ რომელი საბჭოს სახალხო დეპუტატის მოვალეობაზე იტყვიან უარს სახალხო დეპუტატებად არჩევის შემთხვევაში.

დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციის შესახებ დგება ოქმი. შესაბამისი საარჩევნო კომისია აღნიშნულ ოქმს მოცემულ საარჩევნო ოლქში კენჭისყრის თანხმობის შესახებ დეპუტატობის კანდიდატთა განცხადებებთან ერთად წარუდგენს ზემდგომ საარჩევნო კომისიას.

ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით დასახელებული ყველა დეპუტატობის კანდიდატი აუცილებლად უნდა იქნეს გატარებული რეგისტრაციაში. დეპუტატობის კანდიდატის რეგისტრაციაზე უარის თქმა შეიძლება გასაჩივრდეს სამი დღის ვადაში შესაბამის საარჩევნო კომისიაში, სახალხო დეპუტატთა საბჭოში ან მის პრეზიდიუმში.

სახალხო დეპუტატობის კანდიდატი არ შეიძლება შედიოდეს იმ საარჩევნო ოლქის საუბნო საარჩევნო კომისიაში, სადაც იგი დეპუტატობის კანდიდატად არის დასახელებული, აგრეთვე შესაბამის საოლქო, რაიონულ, საქალაქო, ქალაქის რაიონულ, სადაბო და სასოფლო საარჩევნო კომისიაში. დეპუტატობის კანდიდატად დასახელებული პირი, რომელიც შედის ერთ-ერთ აღნიშნულ კომისიაში, ითვლება გათავისუფლებულად კომისიაში დაკისრებული მოვალეობისაგან იმ მომენტიდან, როცა მას რეგისტრაციაში გაატარებენ დეპუტატობის კანდიდატად.

საარჩევნო კომისია დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციაში გატარების შემდეგ არა უგვიანეს მეოთხე დღისა პრესაში აქვეყნებს ცნობას რეგისტრაციის შესახებ და აღნიშნავს რეგისტრაციაში გატარებული კანდიდატების გვარს, სახელს, მამის სახელს, დაბადების წელს, თანამდებობას (საქმიანობას), მუშაობის და საცხოვრებელ ადგილს.

ადგილობრივი საბჭოს თითოეულ რეგისტრირებულ სახალხო დეპუტატობის კანდიდატს ეძლევა მოწმობა.

**მუხლი 33. საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს სახალხო დეპუტატობის კანდიდატად დასახელების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება. სახალხო დეპუტატობის კანდიდატის მიერ თავისი კანდიდატურის მოხსნა**

შრომით კოლექტივს საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეთა და სტუდენტთა კოლექტივს, საზოგადოებრივი ორგანიზაციის ან მოძრაობის ორგანოს, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა, ჯარის ნაწილში სამხედრო მოსამსახურეთა კრებას, რომლებმაც ადგილობრივი საბჭოს სახალხო დეპუტატობის კანდიდატი დაასახელეს, უფლება აქვთ არჩევნებამდე ნებისმიერ დროს გააუქმონ თავიანთი გადაწყვეტილება დეპუტატობის კანდიდატის დასახელების შესახებ. ამ საკითხზე გადაწყვეტილება მიიღება დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებისათვის გათვალისწინებული წესით და წარედგინება შესაბამის საარჩევნო კომისიას.

დეპუტატობის კანდიდატს არჩევნებამდე ნებისმიერ დროს შეუძლია მოხსნას თავისი კანდიდატურა და ამის შესახებ განცხადებით მიმართოს შესაბამის საარჩევნო კომისიას.

**მუხლი 34. გამოკლებულთა ნაცვლად ადგილობრივი საბჭოს სახალხო დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების წესი**

დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადის დამთავრების შემდეგ დეპუტატობის კანდიდატთა გამოკლების შემთხვევაში, თუ საარჩევნო ოლქში არ რჩება სხვა კანდიდატები, შესაბამისი საარჩევნო კომისია მიმართავს შრომით კოლექტივებს, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეთა და სტუდენტთა კოლექტივებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და მოძრაობებს, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა და ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებებს წინადადებით — დაასახელონ ახალი დეპუტატობის კანდიდატები. თუ დეპუტატობის კანდიდატები გამოაკლდებიან არჩევნებამდე ერთ თვეზე ნაკლებ დროში, შესაბამისი საარჩევნო ოლქისაგან სახალხო დეპუტატის არჩევნები ტარდება ორი თვის ვადაში საერთო არჩევნების შემდეგ.

გამოკლებულთა ნაცვლად დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება ხდება ამ კანონით დადგენილი წესით.

**მუხლი 35. საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილი პირნი**

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს სახალხო დეპუტატობის კანდიდატს შეუძლია იყოლიოს ხუთამდე ნდობით აღჭურვილი პირი, რომლებიც ეხმარებიან მას საარჩევნო კამპანიის ჩატარებაში, ეწევიან აგიტაციას დეპუტატად მისი არჩევისათვის, წარმოადგენენ მის ინტერესებს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებთან, ამომრჩევლებთან ურთიერთობაში, აგრეთვე საარჩევნო კომისიებში. სახალხო დეპუტატობის კანდიდატი ირჩევს ნდობით აღჭურვილ პირებს და აცნობებს მათ შესახებ შესაბამის საარჩევნო კომისიას. საარჩევნო კომისია ნდობით აღჭურვილ პირებს რეგისტრაციის შემდეგ აძლევს მოწმობებს.

დეპუტატობის კანდიდატს არჩევნებამდე ნებისმიერ დროს შეუძლია შეწყვიტოს თავისი ნდობით აღჭურვილი პირის უფლებამოსილება, აცნობებს რა ამის შესახებ შესაბამის საარჩევნო კომისიას. ნდობით აღჭურვილმა პირმა არჩევნებამდე ნებისმიერ დროს შეიძლება მოიხსნას თავისი უფლებამოსილება. ნდობით აღჭურვილი პირი დეპუტატობის კანდიდატის თხოვნით შეიძლება გათავისუფლდეს წინასაარჩევნო კამპანიის ვადით საწარმოო და სამსახურებრივი მოვალეობისაგან. მას უნარჩუნდება საშუალო ხელფასი არჩევნების ჩატარებისათვის გამოყოფილი სახსრების ხარჯზე. ნდობით აღჭურვილი პირი არ შეიძლება შედიოდეს შესაბამის საარჩევნო კომისიებში.

**მუხლი 36. საარჩევნო ბიულეტენი**

საარჩევნო ბიულეტენში ანბანის მიხედვით შეაქვთ რეგისტრაციაში გატარებული ყველა ადგილობრივი საბჭოს სახალხო დეპუტატობის კანდიდატი, რომელთაც ნაჩვენები უნდა იყოს თითოეული დეპუტატობის კანდიდატის გვარი, სახელი, მამის სახელი, თანამდებობა (საქმიანობა), სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი.

საარჩევნო ბიულეტენები იბეჭდება ქართულ ენასა და საარჩევნო ოლქის მოსახლეობის ენებზე.

## VII. საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატობის კანდიდატის საქმიანობის გარანტიები

**მუხლი 37. საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატობის კანდიდატთა უფლება გამოვიდნენ კრებებზე, ისარგებლონ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მიიღონ ინფორმაცია**

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატობის კანდიდატებს საარჩევნო კომისიების მიერ მათი რეგისტრაციაში გატარების დროიდან აქვთ თანასწორი უფლება და მათ ეძლევათ თანაბარი შესაძლებლობა გამოვიდნენ კრებებზე, მიტინგებზე, თათბირებზე, სხდომებზე, პრესაში, ტელევიზიით, რადიოთი.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოები, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოები მოვალენი არიან ხელი უწყობდნენ სახალხო დეპუტატობის კანდიდატებს ამომრჩევლებთან შეხვედრათა ორგანიზაციაში, საჭირო საცნობარო და საინფორმაციო მასალების მიღებაში.

**მუხლი 38. საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს სახალხო დეპუტატობის კანდიდატის წინასაარჩევნო პროგრამა**

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს სახალხო დეპუტატობის კანდიდატი გამოდის თავისი მომავალი საქმიანობის პროგრამით. დეპუტატობის კანდიდატის პროგრამა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სსრ კავშირის კონსტიტუციითა და საქართველოს სსრ კონსტიტუციით დამკვიდრებულ სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობის საფუძვლებს, არ უნდა შეიცავდეს ომის პროპაგანდას, ეროვნული სიძულვილის მოწოდებას და არ ლახავდეს მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლებებს.

**მუხლი 39. წინასაარჩევნო აგიტაცია**

შრომით კოლექტივებს, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეთა და სტუდენტთა კოლექტივებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მოძრაობებს, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩევლებს, ჯარის ნაწილებში მყოფ ამომრჩეველ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებმაც დეპუტატობის კანდიდატები დაასახელეს, ნდობით აღჭურვილ პირებს ეძლევათ უფლება შეუფერხებლად გაუწიონ აგიტაცია თავიანთ კანდიდატებს. საარჩევნო კომისიები უთმობენ მათ მოწყობილ შენობებს კრებებისა და მიტინგებისათვის, აგრეთვე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს წინასაარჩევნო აგიტაციის ჩატარებისათვის.

საქართველოს სსრ მოქალაქეებს, შრომით კოლექტივებს, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეთა და სტუდენტთა კოლექტივებს, ამომრჩევლებს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ჯარის ნაწილების სამხედრო მოსამსახურეებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მოძრაობებს გარანტირებული აქვთ შესაძლებლობა თავისუფლად და ყოველმხრივ განიხილონ სახალხო დეპუტატობის კანდიდატთა პოლიტიკური, საქმიანი და პირადი თვისებები, აგრეთვე უფლება — გასწიონ აგიტაცია კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ კრებებზე, მიტინგებზე, პრესაში, ტელევიზიით, რადიოთი.

დეპუტატობის კანდიდატები აწყობენ შეხვედრებს თავიანთ ამომრჩევლებთან კრებებზე და ამომრჩევლებისათვის სხვა მოსახერხებელი ფორმით. საარჩევნო კომისია შესაბამის სახალხო დეპუტატთა საბჭოსთან ან მის პრეზიდიუმთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და მოძრაობებთან ერთად ხელს უწყობს ასეთი შეხვედრების გამართვას.

კრებებისა და შეხვედრების მოწყობის დროსა და ადგილს დროულად აცნობენ ამომრჩევლებს.

აგიტაცია არჩევნების დღეს არ დაიშვება.

**მუხლი 40. წინასაარჩევნო ღონისძიებებში მონაწილეობისათვის საწარმოო თუ სამსახურებრივი მოვალეობისაგან საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს სახალხო დეპუტატობის კანდიდატის გათავისუფლება**

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს სახალხო დეპუტატობის კანდიდატი რეგისტრაციაში გატარების შემდეგ ამომრჩევლებთან შეხვედრების მოწყობის, წინასაარჩევნო კრებებზე, მიტინგებზე, ტელევიზიითა და რადიოთი გამოსვლების დროისათვის თავისუფლდება საწარმოო თუ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისაგან, ამასთან ენახება საშუალო ხელფასი არჩევნების ჩატარებისათვის გამოყოფილი სახსრების ხარჯზე.

**მუხლი 41. საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს სახალხო დეპუტატობის კანდიდატის უფასო მგზავრობის უფლება**

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს სახალხო დეპუტატობის კანდიდატს რეგისტრაციაში გატარების შემდეგ აქვს ყველა სახეობის სამგზავრო ტრანსპორტით (ტაქსის გარდა) უფასო მგზავრობის უფლება შესაბამისი საარჩევნო ოლქის ფარგლებში.

**მუხლი 42. საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს სახალხო დეპუტატობის კანდიდატის ხელშეუხებლობა**

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს სახალხო დეპუტატობის კანდიდატი საბჭოს ტერიტორიაზე არ შეიძლება მისცენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში, დააპატიმრონ ან დაადონ ადმინისტრაციული სასჯელი სასამართლო წესით, თუ არ იქნა შესაბამისი საოლქო, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საარჩევნო კომისიის თანხმობა.

## VIII. ხმის მიცემისა და არჩევნების შედეგების შეჯამების წესი

**მუხლი 43. ხმის მიცემის დრო და ადგილი**

ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატთა არჩევნების დროს ხმის მიცემა ეწყობა არჩევნების დღეს 7 საათიდან 20 საათამდე ადგილობრივი დროით. საუბნო საარჩევნო კომისია ხმის მიცემის დროსა და ადგილს აცნობებს ამომრჩევლებს არჩევნებამდე არა უგვიანეს ათი დღისა.

საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში არჩევნების დღეს, ნაოსნობაში მყოფ გემებზე და ჯარის ნაწილებში, ძნელად მისადგომ რაიონებში შექმნილ საარჩევნო უბნებში საუბნო საარჩევნო კომისიას შეუძლია ხმის მიცემა დამთავრებულად გამოაცხადოს ნებისმიერ დროს, თუ ხმა მისცა სიაში შეტანილმა ყველა ამომრჩეველმა.

**მუხლი 44. ხმის მიცემის მოწყობა**

[illegible] სპეციალურად მოწყობილ შენობებში, რომლებშიც მოწყობილი უნდა იყოს საკმაო რაოდენობით კაბინები ან ოთახები ფარული კენჭისყრისათვის, განისაზღვროს საარჩევნო ბიულეტენების გაცემის ადგილები და დაიდგას საარჩევნო ყუთები. საარჩევნო ყუთები ისეთნაირად იდგმება, რომ ხმის მიმცემნი მათთან მისვლისას აუცილებლად გადიოდნენ ფარული კენჭისყრის კაბინებს ან ოთახებს.

არჩევნების დღეს ხმის მიცემის დაწყების წინ საარჩევნო ყუთებს ამოწმებს, პლომბავს და ლუქავს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კომისიის ყველა წევრის თანდასწრებით.

თითოეული ამომრჩეველი ხმას აძლევს პირადად. სხვა პირთა მაგივრად ხმის მიცემა არ დაიშვება. საარჩევნო ბიულეტენებს იძლევა საუბნო საარჩევნო კომისია საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა სიის ხმის მიცემის უფლების მოწმობის საფუძველზე პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი სხვა საბუთის წარდგენისას, საარჩევნო ბიულეტენის მიღებას ამომრჩეველი ადასტურებს ამომრჩეველთა სიაში ხელმოწერით.

ამომრჩევლები, რომლებიც შეცდომით არ მოხვდნენ ამომრჩეველთა სიაში, პირადობისა და საცხოვრებელი ადგილის დამადასტურებელი საბუთის საფუძველზე შეაქვთ ამომრჩეველთა დამატებით სიაში.

იმ შემთხვევაში, როცა ცალკეულ ამომრჩევლებს ჯანმრთელობის მდგომარეობის ან სხვა მიზეზების გამო არ შეუძლიათ ხმის მისაცემ შენობაში მისვლა, საუბნო საარჩევნო კომისია მათი თხოვნით ავალებს კომისიის ცალკეულ წევრებს მოაწყონ ხმის მიცემა ამ ამომრჩეველთა ყოფნის ადგილას ამომრჩეველთა სიის დანართის საფუძველზე, რის შესახებაც ამომრჩეველთა სიაში კეთდება სათანადო აღნიშვნა. ამ შემთხვევაში ხმის მიცემის მოწყობაში მონაწილეობს კომისიის სულ ცოტა ორი წევრი. ხმის მიცემის ამგვარად ჩატარებისათვის გამოიყენება ერთი გადასატანი საარჩევნო ყუთი.

პასუხისმგებლობა ხმის მიცემის ორგანიზაციისათვის, ამომრჩეველთა ნებასურვილის გამოვლინების საიდუმლოების უზრუნველყოფისათვის, შენობის მოწყობისა და იქ საჭირო წესრიგის დაცვისათვის ეკისრება საუბნო საარჩევნო კომისიას.

**მუხლი 45. ხმის მიცემის ჩატარება**

საარჩევნო ბიულეტენს ხმის მიმცემი ავსებს ფარული კენჭისყრის კაბინაში ან ოთახში. ბიულეტენების შევსებისას აკრძალულია ვინმეს დასწრება, გარდა ხმის მიმცემისა. ამომრჩეველს, რომელსაც არა აქვს შესაძლებლობა დამოუკიდებლად შეავსოს ბიულეტენი, უფლება აქვს ფარული კენჭისყრის კაბინაში ან ოთახში მიიწვიოს სხვა პირი თავისი შეხედულებისამებრ, გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა და დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილი პირისა და წარმომადგენლისა.

ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატთა არჩევნების დროს ამომრჩეველი ბიულეტენში ამოშლის იმ კანდიდატების გვარებს, რომელთა წინააღმდეგ აძლევს ხმას.

შევსებულ ბიულეტენს ხმის მიმცემი უშვებს საარჩევნო ყუთში.

**მუხლი 46. ხმების დათვლა საარჩევნო უბანში**

ხმებს საარჩევნო უბანში ითვლის საუბნო საარჩევნო კომისია ცალ-ცალკე თითოეული დეპუტატობის კანდიდატის მიხედვით.

საარჩევნო ყუთებს ხსნის საუბნო საარჩევნო კომისია მას შემდეგ, როცა კომისიის თავმჯდომარე გამოაცხადებს, რომ დამთავრდა ხმის მიცემა. საარჩევნო ყუთების გახსნა ხმის მიცემის დამთავრებამდე აკრძალულია. საარჩევნო ყუთების გახსნის წინ ყველა გამოუყენებელ საარჩევნო ბიულეტენს ითვლის და აუქმებს საუბნო საარჩევნო კომისია. ამის შემდეგ ითვლიან საარჩევნო ბიულეტენებს, რომლებიც ჩაშვებული იყო საარჩევნო ყუთში ხმის მიცემის შენობის გარეთ.

საუბნო საარჩევნო კომისია ამომრჩეველთა ძირითადი და დამატებითი სიების მიხედვით ადგენს უბანში ამომრჩეველთა საერთო რიცხვს, აგრეთვე იმ ამომრჩეველთა რიცხვს, რომლებმაც ბიულეტენები მიიღეს. საარჩევნო ყუთებში არსებული ბიულეტენების საფუძველზე საუბნო საარჩევნო კომისია ადგენს: ხმის მიცემის მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რიცხვს; თითოეული დეპუტატობის კანდიდატის მხარდასაჭერად და წინააღმდეგ მიცემული ხმების რაოდენობას; ბათილად ცნობილი ბიულეტენების რიცხვს; იმ მოქალაქეთა გვარების მიხედვით მიცემულ ხმებს, რომლებიც დამატებით ჩაწერეს ამომრჩევლებმა ბიულეტენებში, არ ითვლიან.

ბათილად ცნობენ დაუდგენელი ნიმუშის ბიულეტენებს, აგრეთვე ბიულეტენებს, რომლებშიც ხმის მიცემის დროს დატოვებულია ერთ კანდიდატზე მეტი.

საარჩევნო ბიულეტენის ნამდვილობაში ეჭვის შეტანის შემთხვევაში საკითხს წყვეტს საუბნო საარჩევნო კომისია კენჭისყრის გზით.

ხმების დათვლის შედეგებს განიხილავენ საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომაზე და შეაქვთ ოქმში. ოქმს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი და წევრები და დაუყოვნებლივ უგზავნიან შესაბამის საარჩევნო კომისიას საოლქო, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილი წესით.

**მუხლი 47. საარჩევნო ოლქში არჩევნების შედეგების დადგენა**

საუბნო საარჩევნო კომისიების ოქმების საფუძველზე საარჩევნო კომისია განსაზღვრავს: ოლქის ამომრჩეველთა საერთო რიცხვს; ამომრჩეველთა რაოდენობას, რომლებმაც საარჩევნო ბიულეტენ-

(გაგრძელება მე-7 გვ.)

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი

## საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ

(დასასრული)

...მედეგს; ხმის მიცემის მონაწილე ამომრჩეველთა რიცხვს; თითოეული დეპუტატობის კანდიდატის მხარდასაჭერად და წინააღმდეგ მიცემული ხმების რაოდენობას; ბათილად ცნობილი ბიულეტენების რიცხვს.

...არჩეულად ითვლებიან სახალხო დეპუტატობის კანდიდატები, რომლებიც არჩევნებში ხმის მიცემის მონაწილე ამომრჩეველთა ხმების ნახევარზე მეტს მიიღებენ.

...საარჩევნო ოლქში არჩევნების შედეგებს ადგენენ შესაბამისი საარჩევნო კომისიის სხდომაზე და შეაქვთ ოქმში. ოქმს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი და წევრები და უგზავნიან საოლქო, რაიონულ, საქალაქო, ქალაქის რაიონულ, სადაბო, სასოფლო საარჩევნო კომისიებს მათ მიერ დადგენილი წესით.

**მუხლი 48. საარჩევნო ოლქში არჩევნების ბათილად ან არჩატარებულად ცნობა**

შესაბამის საარჩევნო კომისიას შეუძლია ბათილად ცნოს არჩევნები საარჩევნო ოლქში არჩევნების დროს ან ხმების დათვლისას დაშვებული ამ კანონის დარღვევების გამო.

არჩევნები ჩატარებულად არ ითვლება, თუ მასში მონაწილეობდა ამომრჩეველთა სიებში შეტანილი ამომრჩევლების ნახევარზე ნაკლები.

**მუხლი 49. საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს სახალხო დეპუტატების რეგისტრაცია**

სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესაბამისი საარჩევნო კომისია არჩევნების შედეგების შესახებ ოქმების საფუძველზე აჯამებს არჩევნების შედეგებს და რეგისტრაციაში ატარებს თითოეულ საარჩევნო ოლქში არჩეულ ადგილობრივი საბჭოს სახალხო დეპუტატებს.

საარჩევნო კომისიას შეუძლია უარი თქვას სახალხო დეპუტატის რეგისტრაციაზე და ბათილად ცნოს არჩევნები, თუ არჩევნების ან ხმების დათვლის ანდა ოლქში არჩევნების შედეგების განსაზღვრის დროს დაირღვა ეს კანონი.

**მუხლი 50. არჩევნების შედეგების გამოქვეყნება**

ცნობას არჩევნების შედეგების შესახებ აქვეყნებს შესაბამისი საარჩევნო კომისია არა უგვიანეს მეხუთე დღისა არჩევნების შემდეგ.

ცნობაში აღინიშნება ამომრჩეველთა სიებში შეტანილ მოქალაქეთა საერთო რიცხვი, ხმის მიცემის მონაწილე ამომრჩეველთა რიცხვი, თითოეული კანდიდატის მხარდასაჭერად და წინააღმდეგ მიცემული ხმების რიცხვი, ბათილად ცნობილი საარჩევნო ბიულეტენების რიცხვი, იმ ოლქების რიცხვი, სადაც ჩატარდება ხელახალი არჩევნები ან ხელახალი ხმის მიცემა.

ადგილობრივი საბჭოს არჩეული სახალხო დეპუტატების სია ქვეყნდება ანბანური წესით, ამასთან აღინიშნება დეპუტატის გვარი, სახელი, მამის სახელი, დაკავებული თანამდებობა (საქმიანობა), პარტიულობა, სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი, საარჩევნო ოლქი.

### IX. ხელახალი ხმის მიცემა, ხელახალი არჩევნები და გამოკლებულ დეპუტატთა ნაცვლად საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატთა არჩევნები, არჩევნები ახლადშექმნილ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში

**მუხლი 51. ხელახალი ხმის მიცემა**

თუ საარჩევნო ოლქში კენჭს იყრიდა ორზე მეტი ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატობის კანდიდატი და არც ერთი არ იქნა არჩეული, შესაბამისი საარჩევნო კომისია იღებს გადაწყვეტილებას, რომ ოლქში მოეწყოს ხელახალი ხმის მიცემა, იმ ორ დეპუტატობის კანდიდატისათვის, რომლებმაც მიიღეს ყველაზე მეტი ხმა.

ხელახალი ხმის მიცემა ეწყობა არა უგვიანეს ორი კვირისა ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით. ცნობა ხელახალი ხმის მიცემის შესახებ ქვეყნდება პრესაში.

დეპუტატობის კანდიდატი არჩეულად ითვლება, თუ მიიღო მეტი ხმა მეორე დეპუტატთან შედარებით.

**მუხლი 52. ხელახალი არჩევნები**

თუ საარჩევნო ოლქში კენჭს იყრიდა არა უმეტეს ორი ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატობის კანდიდატისა და არც ერთი არ იქნა არჩეული ან ხელახალმა ხმის მიცემამ ვერ განსაზღვრა არჩეული სახალხო დეპუტატი, აგრეთვე თუ საარჩევნო ოლქში არჩევნები ჩატარებულად არ ჩაითვალა ან ბათილად იქნა ცნობილი, შესაბამისი საარჩევნო კომისია იღებს გადაწყვეტილებას მოაწყოს საარჩევნო ოლქში ხელახალი არჩევნები. ამასთან მას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება, რომ არჩევნები მოაწყონ საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებმა ახალი შემადგენლობით.

ხელახალი არჩევნები ეწყობა არა უგვიანეს ორი თვის ვადისა საერთო არჩევნების შემდეგ. ხმის მიცემა ხდება იმავე საარჩევნო უბნებში და საერთო არჩევნების ჩასატარებლად შედგენილი ამომრჩეველთა სიებით. საარჩევნო კომისიების შექმნა, სახალხო დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია და სხვა ღონისძიებანი ეწყობა ამ კანონით დადგენილი წესით. ცნობა ხელახალი არჩევნების ჩატარების შესახებ ქვეყნდება პრესაში.

**მუხლი 53. გამოკლებულ დეპუტატთა ნაცვლად საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატთა არჩევნების მოწყობა**

იმ შემთხვევაში, თუ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭო ბათილად ცნობს ცალკეულ სახალხო დეპუტატთა უფლებამოსილებას, აგრეთვე დეპუტატის გაწვევის, სხვა მიზეზების გამო დეპუტატის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში შესაბამის საარჩევნო ოლქებში დეპუტატის გამოკლების მომენტიდან ორი თვის ვადაში ეწყობა ხელახალი არჩევნები. არჩევნებს ნიშნავს შესაბამისი საარჩევნო კომისია არა უგვიანეს ორი თვისა არჩევნების ჩატარებამდე და იგი ეწყობა ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით. ამასთან საუბნო საარჩევნო კომისიები იქმნება არჩევნებამდე ერთი თვით ადრე, დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია მთავრდება არჩევნებამდე ერთი თვით ადრე.

თუ ადგილობრივი საბჭოს სახალხო დეპუტატი გამოაკლდა ადგილობრივი საბჭოს დეპუტატთა უფლებამოსილებათა ვადის გასვლამდე ექვს თვეზე ნაკლებ დროში, გამოკლებულის ნაცვლად სახალხო დეპუტატის არჩევნები არ ეწყობა.

**მუხლი 54. საქართველოს სსრ ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატთა არჩევნების მოწყობა ახლადშექმნილ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში**

საქართველოს სსრ ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატთა არჩევნები ახლადშექმნილ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში ეწყობა იმ შემთხვევებში, როცა ადგილობრივი საბჭოს შექმნა შეუძლებელია იმის გამო, რომ ახალშექმნილი რაიონის, ქალაქის, ქალაქის რაიონის, დაბის, სოფლის შემადგენლობაში შესულ ტერიტორიაზე სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს სახალხო დეპუტატები არ არჩეულა ან მათი რიცხვი არასაკმარისია.

რაიონულ, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოს სახალხო დეპუტატთა არჩევნებს ნიშნავს ზემდგომი სახალხო დეპუტატთა საბჭო არა უგვიანეს ორი თვის ვადისა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის შექმნის დღიდან და ეწყობა ამ კანონით დადგენილი წესით.

ხმის მიცემა შეიძლება დამთავრდეს ადგილობრივი დროით 20 საათზე ადრეც, თუ ხმა მისცა ამომრჩეველთა სიებში შეტანილმა ყველა ამომრჩეველმა.

### X. სახალხო დეპუტატად არჩევის მოწმობა. საარჩევნო დოკუმენტების ფორმები და მათი შენახვის წესი. საარჩევნო ყუთის ნიმუში

**მუხლი 55. საქართველოს სსრ ადგილობრივი საბჭოს სახალხო დეპუტატის მოწმობა და სამკერდე ნიშანი**

შესაბამისი საარჩევნო კომისია რეგისტრაციაში გატარებული სახალხო დეპუტატთა სიების გამოქვეყნების შემდეგ თითოეულ არჩეულ დეპუტატს აძლევს მოწმობას მისი არჩევის შესახებ.

სახალხო დეპუტატების უფლებამოსილებათა [illegible] შემდეგ მათ სახალხო დეპუტატად არჩევის შესახებ მოწმობას უცვლიან სახალხო დეპუტატის მოწმობით. სახალხო დეპუტატს ეძლევა აგრეთვე შესაბამისი სამკერდე ნიშანი.

**მუხლი 56. საარჩევნო დოკუმენტების ფორმები და საარჩევნო ყუთის ნიმუში**

ამომრჩეველთა სიის, საარჩევნო კომისიების ოქმების ფორმებს, საარჩევნო ბიულეტენების ფორმასა და ფერს, სახალხო დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილი პირის, სახალხო დეპუტატად არჩევის შესახებ სახალხო დეპუტატის მოწმობათა ფორმებს, სახალხო დეპუტატის სამკერდე ნიშნის ნიმუშს, საარჩევნო ყუთის ნიმუშს ადგენს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო, ან მისი პრეზიდიუმი.

**მუხლი 57. საარჩევნო დოკუმენტების შენახვის წესი და ვადები**

საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების საქმის წარმოება მათი მუშაობის დამთავრების შემდეგ გადაეცემა შესაბამის საოლქო, რაიონულ, საქალაქო, ქალაქის რაიონულ, სადაბო და სასოფლო საარჩევნო კომისიებს.

საარჩევნო დოკუმენტების შენახვის წესს და ვადებს ადგენს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო ან მისი პრეზიდიუმი.

ბიბლიოთეკა

---

# იუნიდოს თათბირი თბილისში

მსოფლიოს 50 ქვეყნის საქმიანი წრეების 200-ზე მეტი სპეციალისტი და წარმომადგენელი, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის თანამშრომლები და ექსპერტები მონაწილეობენ იუნიდოს გლობალურ საკონსულტაციო თათბირში, რომელიც 18 სექტემბერს გაიხსნა თბილისის სადღესასწაულო ღონისძიებათა სასახლეში.

თბილისის შეხვედრის დღის წესრიგშია ბოსტნეულისა და ხილის გადამუშავებისა და შენახვის დარგის ეროვნული სტრატეგიების, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ინტეგრაციის პრობლემების განხილვა, ტექნიკურ დახმარებასა, მკვლევართა მომზადებაში საერთაშორისო ორგანიზაციათა როლი და სხვა.

თათბირი გახსნა იუნიდოს განვითარების დეპარტამენტის შეფმა ... ბალე-სელასიემ.

თათბირის მონაწილეებს მიესალმნენ იუნიდოს გენერალური დირექტორის მოადგილე ა. არაუზი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, შეხვედრის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე გ. მგელაძე.

შეხვედრის გახსნას დაესწრო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჭითანავა.

საქინფორმის კორესპონდენტის თხოვნით იუნიდოს თათბირის მნიშვნელობას განმარტავენ ა. არაუზი და გ. მგელაძე.

—საქართველოში გამართული თათბირი, —თქვა ა. არაუზმა,—პირველია სსრ კავშირის ტერიტორიაზე საკონსულტაციო თათბირების სერიიდან, რომლებსაც იუნიდო აწყობს მრეწველობის სხვადასხვა დარგში. იგი იმართება 1986 წლის ოქტომბერში იუნიდოს მეორე სესიაზე მიღებული სამრეწველო განვითარების საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად. ბოსტნეულისა და ხილის გადამუშავების ინდუსტრია საბჭოთა საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგია, იგი ერთ-ერთი პირველია, რომელიც ძირითადად აწვდის ამ პროდუქციას თქვენი ქვეყნის ადგილობრივ ბაზრებს და მნიშვნელოვან როლს ასრულებს სსრ კავშირიდან მაღალი ხარისხის პროდუქტების ექსპორტის დაჩქარებასა და მის შესაძლებლობათა გაფართოებაში.

თბილისში მოწყობილმა ამ თათბირმა მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს თქვენში ბოსტნეულისა და ხილის გადამუშავებისა და შენახვის მრეწველობის განვითარებაში, რადგან მისმა რეკომენდაციებმა ხელი უნდა შეუწყოს თანამედროვე და მაღალეფექტიანი ტექნოლოგიების დანერ[illegible] [illegible] დონის ხელმძღვანელო[illegible] [illegible]ბას, აგრეთვე საერთაშ[illegible] თანამშრომლობის გაფართოებას.

მრეწველობის განვითარების ჩვენი საერთაშორისო ორგანიზაცია არა მარტო ეხმარება განვითარებად ქვეყნებსაც ამ დარგში, არამედ ხელს უწყობს კიდეც იუნიდოს წევრ ქვეყნებს შორის ეკონომიკური და სამეცნიერო კონტაქტების მოგვარებას. ამ თვალსაზრისით ჩვენ გარკვეულ მნიშვნელობას ვანიჭებთ ახლანდელ თათბირს, კონსულტაციების სისტემა უზრუნველყოფს იმის შესაძლებლობას, რომ როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნების ყველა დაინტერესებულმა წრემ ერთმანეთს გაუზიაროს გამოცდილება, შეაფასოს არსებული პრობლემები, და ამ ბაზაზე შეიმუშაოს შესაბამისი რეკომენდაციები მრეწველობის ისეთი მნიშვნელოვანი დარგის შემდგომი განვითარების შესახებ, როგორიცაა ბოსტნეულისა და ხილის გადამუშავება და შენახვა.

— იუნიდო ღონისძიებებს ასეთი ფართო მასშტაბით პირველად აწყობს საქართველოში, და იმედი გვაქვს, რომ ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება ჩვენი რესპუბლიკისა და ამ საერთაშორისო ორგანიზაციის პირდაპირი საქმიანი კონტაქტების განვითარების გზაზე, — ხაზი გაუსვა გ. მგელაძემ. — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანიზაციები ხელს უწყობენ არა მარტო სამეცნიერო, კულტურული ან სამრეწველო კავშირურთიერთობის განვითარებას მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონს შორის, არამედ პლანეტის ხალხთა და სახელმწიფოთა ურთიერთობაში ჰუმანისტური პრინციპების დამკვიდრებას, ადამიანთა ცხოვრებისეული ინტერესების გათვალისწინებას, რაც ასევე მნიშვნელოვანია.

უახლოეს მომავალში საქართველო მონაწილეობას მიიღებს ამ საერთაშორისო ორგანიზაციათა საქმიანობაში. ნავარაუდევია თბილისში გაიხსნას იუნიდოს ბიურო. მისი მეშვეობით რესპუბლიკა შეძლებს კიდევ უფრო აქტიურად ითანამშრომლოს მასთან.

ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნის, დემოკრატიზაციისა და საჯაროობის პროცესები საქართველოს [illegible] აძლევენ კიდევ უფრო ეფექტიანად გამოიყენოს თავისი ბუნებრივი და ეკონომიკური შესაძლებლობანი, გააფართოოს ეკონომიკური კონტაქტები სხვადასხვა ქვეყანასთან, დაამყაროს მათთან მტკიცე საქმიანი ურთიერთობა. უდავოა, ახლანდელი შეხვედრა ხელს შეუწყობს ამას.

* * *

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჭითანავა შეხვდა და ესაუბრა იუნიდოს გენერალური დირექტორის მოადგილეს ა. არაუზს, ამ საერთაშორისო ორგანიზაციის პასუხისმგებელ თანამშრომლებს. საუბრის დროს შეეხნენ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია თბილისში იუნიდოს ქართული ბიუროს სავარაუდო გახსნასთან.

საუბარში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გ. მგელაძე, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გ. ჯავახიშვილი, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე რ. კონცელიძე.

(საქინფორმი)

# დამახასიათებელი ნიშანია სისუფთავე...

ვაი რომ, თბილისის მიმართ, ბოლო დროს განხორციელებულ ღონისძიებათა მიუხედავად, ... ჯერჯერობით ვერ იტყვი. ... რა არის საჭირო იმისათვის, რომ მოვაშოროთ ლაქები რესპუბლიკის „სავიზიტო ბარათს“: ... ამ საკითხების განხილვას მიეძღვნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნოდარ ჭითანავას შეხვედრა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისა და სამსახურების ხელმძღვანელებთან, რომლებიც ... ზრუნავენ ქალაქის სისუფთავისათვის.

... მტკიცდება, რომ „სისუფთავეა, სადაც არ ანაგვიანებენ“, ... ოლოდ ნაწილობრივ არის სწორი. რა თქმა უნდა, ჩვენ, თბილისელები, ზოგჯერ განუზომლად ... ვყრით ნარჩენებს და დაუ... ვართ მათი თავმოყრის ... ადგილების გამოყოფაში. აუცილებლად უნდა უკუვაგდოთ ამ... „ბატონკაცური ჩვევები“. ... ამისა, ძნელია წარმოვიდგინოთ, რომ თითქმის მილიონ-ნახევრიან ქალაქში სპეცავტომეურნეობის მუშაკები უსაქმოდ რჩებოდნენ. მართლაც, მათ ... ზე მეტი საქმეები აქვთ, ... ყოველთვის ჭეროვნად ვერ ართმევენ თავს. ამჟამად სპეცავტომეურნეობის საქალაქო მეურნეობაში ბევრი რამ კეთდება პერსონალის დაინტერესების გასაზრდელად, ინერგება შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესული ფორმები. მაგალითად, ნაგვის მანქანის მძღოლის გასამრჯელო საშუალოდ თვეში ხუთას მანეთს აღწევს. და მაინც, აქ საკმარისად არის „ვიწრო ადგილები“. ვფიქრობთ, შეხვედრა მინისტრთა საბჭოში ოპტიმიზმს შემატებს სამმართველოს თანამშრომლებს — 1990 წლის იანვრიდან მათთვის უზრუნველყოფილი იქნება ტექნიკისა და მარაგნაწილების ნორმატიული მიწოდება, დაიწყება ქალაქის მეორე ნაგავგადასამუშავებელი ქარხნის მშენებლობა. ამასთან ერთად, წყდება საკითხი საპროფილო სტაჟში სპეცავტომეურნეობაში მუშაობის ორი წლის ჩათვლის შესახებ უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად, რაც, მოსალოდნელია, ხელს შეუწყობს აქ ახალგაზრდა კადრების მოზიდვას.

რესპუბლიკის ხელმძღვანელობა გაგებით შეხვდა დედაქალაქის სხვა სამსახურების — გამწვანების, თელასის, საგზაო მეურნეობის, სანეპიდსადგურის პრობლემებსაც. წამოაყენეს აგრეთვე საინტერესო იდეა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების უფლებამოსილების გაფართოების საფუძველზე ქალაქის ზოგიერთი სამსახურის დეცენტრალიზაციის შესახებ, და მალე თბილისის ერთ რაიონში დაიწყება შესაბამისი ექსპერიმენტი.

მისცა რა მთავრობის მხრივ ყველა სასარგებლო წამოწყების მხარდაჭერის გარანტია, ნოდარ ჭითანავამ შეკრებილთ მოახსენა, რომ ქალაქისათვის მიმდინარე წელს გამოყოფილია 46 მილიონი მანეთი — ეს სახსრები, თუ ისინი სწორად იქნა გამოყენებული, არ შეიძლება არ ეყოს იმას, რომ თბილისს შესაბამისი სახე მივანიჭოთ. არადა, სანიტარიული წესრიგის დამყარება არა მარტო ჰიგიენური, არამედ პოლიტიკური ამოცანაც არის. დედაქალაქის მდგომარეობაზე ხომ ბევრად არის დამოკიდებული რესპუბლიკის პრესტიჟი. ამიტომ უსუფთაონი შეწყნარებას ნუ ელიან. საქალაქო აღმასკომის გადაწყვეტილებით კერძო პირები, რომლებიც დაარღვევენ სანიტარიულ ნორმებს, დაჯარიმდებიან ასი მანეთით, სახალხო მეურნეობის ობიექტების ხელმძღვანელები კი — სამასი მანეთით. თანაც მათი სახელები უნდა გამოქვეყნდეს საქალაქო პრესაში და გადაიცეს ტელევიზიით, ხოლო განმეორებით დარღვევის დროს განიხილება მათი თანამდებობის შესაბამისობის საკითხი. არავის, ვისთვისაც ჭეშმარიტად ძვირფასია მშობლიური ქალაქი, არა აქვს უფლება არ იზრუნოს მისი სისუფთავისათვის. (საქინფორმი).

# სტუდენტები მშენებლები გახდნენ

საქართველოს მოსწავლეებისათვის გრძელდება სექტემბრის შრომითი სემესტრი. საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტური რაზმები გაემართნენ სამშენებლო და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში. მოსწავლეთა უმრავლესობა თავის ძალ-ღონეს მოახმარს სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებული აჭარიდან და სვანეთიდან გადმოსახლებულთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობას. ერთი რაზმი უკვე შეუერთდა რუსთავის რკინა-ბეტონის კონსტრუქციათა ქარხნის — ამ ობიექტებისათვის საშენ მასალათა ძირითადი მიმწოდებლის — კოლექტივს.

ხოლო მეტალურგიისა და გეოლოგიის ფაკულტეტების სტუდენტები დასაქმებული არიან უმაღლესი სასწავლებლის მშენებლობაზე. ისინი აშენებენ ახალ სასწავლო კორპუსებს. უსაქმოდ არც მომავალი კავშირგაბმულობის მუშაკები, რკინიგზელები დარჩენილან. პირველები პრაქტიკაზე მიწვეული არიან თბილისის ტელეგრაფში, ხოლო ტრანსპორტელები— სავაგონო დეპოში. ასე ირჩევენ შრომითი კოლექტივები პერსპექტიულ ახალგაზრდა სპეციალისტებს.

ამ დღეებში სტუდენტთა კიდევ ერთი ჯგუფი მიიღეს კახეთის მეღვინეებმა.

---

# უცხოეთში

საქდესი იუწყება

19 სექტემბერი

## გაიხსნა გენერალური ასამბლეის სესია

**ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინაში გაიხსნა გენერალური ასამბლეის 44-ე სესია — უდიდესი საერთაშორისო ფორუმი. ამ ორგანიზაციის წევრი 159 სახელმწიფოს სრულუფლებიანი წარმომადგენელი განიხილავს 150-მდე საკითხს, რომლებიც შეტანილია სესიის წინასწარ დღის წესრიგში.**

სესია იმართება პერიოდში, როცა რეალიზმი და პასუხისმგებლობა, რომლებსაც იჩენს თავის საგარეო-პოლიტიკურ აზროვნებაში სულ უფრო მეტი სახელმწიფო, აღრმავებენ პოზიტიურ გარდაქმნებს. საბჭოთა კავშირი სესიაზე წარსდგება მრავალი ახალი იდეით. საერთაშორისო უშიშროების ახალი მოდელის საბჭოთა კონცეფცია და მისი ფორმირებისათვის მოქმედების პლატფორმა ჩამოყალიბებული იყო მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლაში 1988 წლის 7 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

მსოფლიო გაერთიანება განაგრძობს დისკუსიას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფისადმი ყოვლისმომცველი მიდგომის შესახებ. ამ დიალოგს სათავე დაუდო სოციალისტურ სახელმწიფოთა ჯგუფის ერთობლივმა ინიციატივამ. გამოვძებნოთ ხალხებს შორის ნდობის განმტკიცების გზები, გამოვავლინოთ თანხმობის ახალი სფეროები, შევიმუშაოთ ყველასათვის მისაღები იდეები და წინადადებანი — ასეთ ამოცანებს ისახავენ დაწყებული დისკუსიის მონაწილენი.

● პოლონეთი

## ჟურნალისტთა შეხვედრა

**ვარშავა. ვარშავის შეხვედრამ ახალი შესაძლებლობანი შეუქმნა სხვადასხვა ეროვნული და საერთაშორისო ჟურნალისტური ორგანიზაციის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაკებს თანამშრომლობისათვის.** ეს ნათქვამია ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე ქვეყნების ჟურნალისტთა აქ დამთავრებული მესამე კონფერენციის საბოლოო დოკუმენტში. შეხვედრაში, რომელიც მიმდინარეობდა დევიზით „კონფრონტაციიდან თანამშრომლობისაკენ“, მონაწილეობდნენ 22 ქვეყნის, მათ შორის საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები.

● უნგრეთი-ისრაელი

## აღადგინეს დიპლომატიური ურთიერთობა

**ბუდაპეშტი. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა დიულა ჰორნმა და ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა მოშე არენსმა ხელი მოაწერეს დოკუმენტებს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკასა და ისრაელის სახელმწიფოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის შესახებ.**

როგორც უნგრეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, შეთანხმების ხელმოწერასთან დაკავშირებით უნგრეთის მთავრობამ მადლობა უძღვნა შვეციის მთავრობას, რომელიც 1967 წლის 12 ივნისს უნგრეთ-ისრაელის დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ უზრუნველყოფდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ინტერესების წარმომადგენლობას სახელმწიფოში.

● პაკისტანი

## ახალი შეტაკებანი

**ისლამაბადი. ეროვნულ ნიადაგზე ახალი შეტაკებანი მოხდა პაკისტანის ქალაქ ჰაიდარაბადში (სინდის პროვინცია). მას მოჰყვა ცხრა ადამიანის დაღუპვა და 50-მდე მცხოვრები დაიჭრა.**

როგორც იუწყებიან, დაძაბულობის კერა წარმოიშვა ჰაიდარაბადის ერთ-ერთ საშუალო სკოლაში. მტრულად განწყობილ უფროსკლასელთა დაჯგუფებებს შორის, რომლებიც სხვადასხვა ეთნიკურ თემებს განეკუთვნებიან, მძიმედ დაიჭრა ერთ-ერთი მოსწავლე. რამდენიმე ხნის შემდეგ იგი საავადმყოფოში გარდაიცვალა. ეს ამბავი სწრაფად გავრცელდა ქალაქში. ჰაიდარაბადის ქუჩებში გაჩნდნენ შეიარაღებულ ადამიანთა ჯგუფები. ზოგიერთ რაიონში მათ სროლა აუტეხეს გამვლელებს, ცეცხლი წაუკიდეს რამდენიმე შენობასა და ავტომანქანას. მოხდა შეტაკებანი პოლიციასთან, რომელთა დროს აგრეთვე გამოიყენეს ცეცხლსასროლი იარაღი.

უწესრიგობით მოცულ ქალაქის რაიონებში შემოყვანილი არიან ჯარები და დაწესებულია კომენდანტის საათი. ჰაიდარაბადის ძირითად მაგისტრალებს პატრულობენ სამხედროები და პოლიცია.

კონკურსი

## „მის ამერიკა“ შავკანიანია

**ნიუ-იორკი. 23 წლის შავკანიან სტუდენტს დები ტერნერს თავზე დაადგეს 1989 წლის „მის ამერიკის“ გვირგვინი, იუწყება ასოშიეიტედ პრესის სააგენტო ნიუ-ჯერსის შტატის ქალაქ ატლანტიკ-სიტიდან, სადაც ეს ტრადიციული ეროვნული კონკურსი გაიმართა.**

ტერნერი შეერთებული შტატების ისტორიაში მესამე შავკანიანი ამერიკელია, რომელსაც ეს პრესტიჟული ტიტული მიენიჭა.

### ტელეტაიპის ლენტიდან

**ვენა.** „ჩვენ მიუსაფარნი ვართ“, „მოვითხოვთ ჰერქვეშ ცხოვრებას“ — ასეთი ტრანსპარანტები გაჩნდა კარლსპლატცზე — ვენის ცენტრის ერთ-ერთ მოედანზე. აქ გაიმართა ავსტრიის დედაქალაქის უსახლკაროთა დემონსტრაცია, რომელთა რიცხვი ყველაზე მოკრძალებული გაანგარიშებით 10 ათას კაცს აღემატება.

**კიტო.** ეკვადორის პრეზიდენტმა როდრიგო ბორხამ საერთაშორისო საზოგადოებრიობას მოუწოდა ფინანსური მხარდაჭერა გაუწიონ მის ქვეყანას ნარკოტიკებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

**ვაშინგტონი.** სულ უფრო ძლიერდება კაპიტალის გადინება განვითარებადი ქვეყნებიდან ინდუსტრიულად განვითარებულ სახელმწიფოებში. გასულ წელს მან მიაღწია რეკორდულ დონეს — 50,1 მილიარდ დოლარს, რაც 12 მილიარდით მეტია 1987 წელთან შედარებით, აღნიშნულია მსოფლიო ბანკის ყოველწლიურ მოხსენებაში, რომელიც აქ გამოქვეყნდა.

---

ახალგაზრდობას — სამაგალითოდ

# სახელოვანი სელექციონერი

### აკადემიკოს ქ. ბახტაძის დაბადების 90 წლისთავის გამო

**არიან** ადამიანები, რომელთა ნაშრომ-ნაღვაწს დრო ვერაფერს აკლებს. პირიქით, მათი მნიშვნელობა დროთა განმავლობაში უფრო მეტად იზრდება და სარგებლობას აძლევს შთამომავლობას. ასეთ მეცნიერთა რიცხვს ეკუთვნის ქართველი მეცნიერი სელექციონერი, ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო აკადემიისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, სოციალისტური შრომის გმირი ქსენია ერმალოს ასული ბახტაძე.

ქ. ბახტაძემ, რომელსაც ახლა 90 წელი შეუსრულდებოდა, 50 წლის შემოქმედებითი შრომა შეალია ჩვენში მეჩაიეობის განვითარებას, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას.

იგი დაიბადა 1899 წლის 6 თებერვალს თბილისში. აქვე მიიღო საშუალო განათლება და სწავლა განაგრძო თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტზე, რომელიც 1922 წელს დაამთავრა. იგი სტუდენტობიდანვე დაინტერესდა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობით და პროფესორ პ. ჟუკოვსკის რჩევით მუშაობა დაიწყო თბილისის ბოტანიკური ბაღის თესლის საკონტროლო ლაბორატორიაში პრეპარატორად, შემდეგ კი თბილისის მახლობლად მემინდვრეობის საცდელ სადგურში მუშაობდა მეთესლეობის ხაზით.

1927 წლიდან გარდაცვალებამდე (1978 წ.) კი ქ. ბახტაძე აქტიურ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწეოდა ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალში ჯერ უფროს მეცნიერ მუშაკად, ხოლო 1941 წლიდან — ჩაის სელექციისა და მეთესლეობის განყოფილების გამგედ.

მაშინ ჩაის კულტურა სრულიად ახალი დარგი იყო საქართველოში, არავითარი გამოცდილება და სამეცნიერო-კვლევითი მონაცემები ჩაის მცენარის ბიოლოგიის, სელექციისა და აგროტექნიკის შესახებ არ არსებობდა, ხოლო უცხოეთის გამოცდილების შაბლონურად გადმოტანა ჩვენს სრულიად განსხვავებულ პირობებში არ იძლეოდა დადებითს შედეგს. ჩაის კულტურის წარმატებით განვითარება მოითხოვდა ყველა საკითხის ღრმად შესწავლას. სანამ პრაქტიკულ სელექციაზე გადავიდოდით, საჭირო იყო, თვით ჩაის მცენარის ბიოლოგიის შესწავლა, რათა შემდგომ შესაძლებელი ყოფილიყო ჩაის მემკვიდრულ ნიშან-თვისებაზე, ზემოქმედების კონკრეტული მეთოდების შემუშავება და მათი წარმატებით გამოყენება.

მან უდიდესი მუშაობა გასწია და დასპეციალდა სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა სელექციისა და მეთესლეობის დარგში, ცოდნას იღრმავებს მოსკოვში, ლენინგრადსა და ოდესაში. იგი ორგანულად უკავშირებს თეორიას წარმოებაში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პრაქტიკას. მისი პირველი გამოკვლევა, რომელიც ჩაის თესლის საზამთროდ შენახვის საკითხებს მიეძღვნა 1929 წელს გამოიცა, მასში რეკომენდებული ხერხები ფართოდ დაინერგა პრაქტიკაში და დღესაც გამოიყენება.

ქ. ბახტაძემ სერიოზული გამოკვლევები ჩაატარა ჩაის მცენარის ბოტანიკის, ანატომიის, ციტოლოგიისა და გენეტიკის დარგში სელექციური ჯიშების გამოსაყვანად. მან საფუძვლიანად შეისწავლა საქართველოში გავრცელებული ჩაის სამეურნეო პოპულაციები და მორფოლოგიური, ფიზიოლოგიური და სამეურნეო ნიშან-თვისებების მიხედვით ჯგუფებად დაჰყო ისინი, დაადგინა კავშირები მორფოლოგიურ ნიშნებს, მოსავლიანობასა და ხარისხს შორის. 1936 წლისათვის უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა 10-ზე მეტი ნაშრომი, რომლებმაც დიდად შეუწყო ხელი ჩვენში მეჩაიეობის განვითარებას. ამ შრომების საფუძველზე უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ ქ. ბახტაძეს დისერტაციის დაუცველად მიანიჭა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

დაამუშავა რა ჩაის მცენარის ბიოლოგიის, სელექციისა და მეთესლეობის საკითხები, ქ. ბახტაძემ 1941 წელს გამოიყვანა ჩაის პირველი სელექციური ჯიშები „ქართული-1“ და „ქართული-2“. ის ჯიშების გამოყვანის დროს დიდ ყურადღებას აქცევდა ნედლეულისა და პროდუქციის ხარისხს. 1944 წელს მან წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, ხოლო 1949 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება. 20 წლის მანძილზე თავისი თავდადებული შემოქმედებითი მუშაობის თეორიული დებულებები და პრაქტიკული შედეგები მან ჩამოაყალიბა უმნიშვნელოვანეს ნაშრომში „ჩაის მცენარის ბიოლოგია, სელექცია და მეთესლეობა“, რომელიც 1948 წელს გამოიცა. ამ წიგნისათვის ავტორს სახელმწიფო პრემია მიენიჭა. შემდგომ წლებში, განყოფილების კოლექტივთან ერთად, სხვადასხვა კლიმატური პირობების მქონე რაიონებში გასავრცელებლად ქ. ბახტაძემ გამოიყვანა ჩაის სელექციური ჯიშების მთელი სერია, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია № 4 — „მოსავლიანი“, № 8 — „ჩრდილოეთის“, № 10 — კიმინი სელექციური და სხვა.

ამჟამად მის მიერ გამოყვანილი ჩაის სელექციური ჯიშები 12 ათასამდე ჰექტარზეა გაშენებული და წლიურად 12-15 მილიონ მანეთ მოგებას იძლევა. ის იყო პირველი სელექციონერი ქალი არამარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო ჩაის მცენარის ბიოლოგიის შესწავლისა და პრაქტიკული სელექციის განმეორების საქმეს. მას გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო შრომა. მათ შორის რამდენიმე ვრცელი გამოკვლევა და მონოგრაფია.

მის შრომებს კარგად იცნობენ საზღვარგარეთაც, სადაც მეჩაიე მეცნიერები არ ფარავენ თავიანთ განცვიფრებას ქართველი მეცნიერის მიღწევების გამო. საგულისხმოა, რომ ყოველწლიურად მოდის მოთხოვნა მრავალი ქვეყნიდან ჩაის ქართული სელექციური ჯიშების სათესლე და სარგავ მასალაზე, ამჟამად ისინი 22 ქვეყანაში არის გატანილი და მათგან მიღებული ცნობები მოწმობს, რომ ისინი იქ საუკეთესოდ ხარობენ.

სახელოვანი სელექციონერი დიდ დროსა და ყურადღებას უთმობდა სამეცნიერო კადრების აღზრდას. მის აღზრდილებს შეხვდებით როგორც ჩვენს რესპუბლიკაში, ისე აზერბაიჯანში, კრასნოდარის მხარესა თუ სხვაგან. იგი მრავალი საკანდიდატო და სადოქტორო შრომის ოფიციალური ოპონენტი. დაუშრეტელი ენერგიის მქონე მეცნიერი იყო.

ქ. ბახტაძე 1950 წელს აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო ხუთი წლის შემდეგ — ნამდვილ წევრად, 1957 წელს კი ლენინის სახელობის საკავშირო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრად. იგი იყო რამდენიმე სამეცნიერო საბჭოს წევრი, არჩეული იყო სსრ კავშირის მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის, ქობულეთის რაიონული კომიტეტის წევრად და რაიონული საბჭოს დეპუტატად, აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ მუშაობაში. მას მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება, დაჯილდოებული იყო ორი ლენინის ორდენით, ოქტომბრის რევოლუციის ორდენით და მედლებით, აგრეთვე საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ოქროს დიდი და პატარა მედლებით...

მიუხედავად ასეთი აღიარებისა, ჯერ კიდევ ვალში ვართ ამ დიდი მეცნიერი ქალის, ცნობილი სელექციონერის აკადემიკოს ქსენია ბახტაძის წინაშე. აუცილებლად მიგვაჩნია ჩაქვის ფილიალის ადმინისტრაციულ შენობას, სადაც იგი 50 წლის მანძილზე მოღვაწეობდა, გაუკეთდეს მემორიალური დაფა, ჩაქვში მაინც (თუ ქალაქში არა) ერთ-ერთ ქუჩას მიეკუთვნოს ქ. ბახტაძის სახელი და, რაც მთავარია, გაიხსნას ქ. ბახტაძის კაბინეტი ან სახლ-მუზეუმი, სადაც, მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღმნიშვნელ მასალებთან ერთად, გამოიფინება მისი პირადი ბიბლიოთეკა, რომელიც ამჟამად ქობულეთის რაიონშია და ვერავინ იყენებს. ასეთი სახლ-მუზეუმი ქ. ბახტაძის დამსახურების პოპულარიზაციასაც შეუწყობს ხელს და ახალგაზრდა თაობის სწავლა-აღზრდაშიც დაგვეხმარება.

**სიმონ ფირცხალაიშვილი,**
**ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო საწარმოო-გაერთიანების აგროტექნიკის განყოფილების გამგე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რესპუბლიკის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე;**

**ვახტანგ ქუთუბიძე,**
**ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის საწარმოო გაერთიანების ჩაქვის ფილიალის სელექციის განყოფილების გამგე, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.**

დიალოგი

# ვიცოცხლოთ ერის ინტერესებით

სახალხო მეურნეობის განვითარებაში ხელშესახებ წვლილი შეაქვს ტაბახმელის ბიოლოგიურ კომბინატს. აქ ამზადებენ ცხოველებისა და ფრინველების მწვავე ინფექციურ დაავადებათა საწინააღმდეგო ვაქცინებს, შრატებს. საკავშირო მნიშვნელობის საწარმოში 700 კაცია დასაქმებული, რომლებიც, ყოველდღიურ გარჯასთან ერთად, დაინტერესებულნი არიან ერის წინაშე მდგარი პრობლემებით. ამაზე აქ შექმნილი რუსთაველის საზოგადოებისა და სახალხო ფრონტის ორგანიზაციების საქმეებიც მეტყველებს.

კოლექტივის ცხოველი ინტერესი გამოიწვია მხატვრული სიტყვის ოსტატებთან გამართულმა შეხვედრა-დიალოგმა, კომბინატს ეწვივნენ პოეტები — სახალხო ფრონტის გამგეობის წევრი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორი ჯანსუღ ჩარკვიანი და ოთარ ჭილაძე[illegible].

მთელი დიალოგი საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის შთაბეჭდილებებს, ცხრა აპრილის ტრაგედიას, „მესხი თურქების“ პრობლემას, ქვემო ქართლის რეგიონსა და აფხაზეთში შექმნილ სიტუაციას, სახალხო ფრონტის გეგმებს მიეძღვნა.

ისაუბრეს აგრეთვე შრომითი კოლექტივის საერთო სატკივარზე — საყოფაცხოვრებო თუ საწარმოო პრობლემებზე, იმ საკითხებზე, რასაც უახლოეს მომავალში მიიღებენ მუშა-მოსამსახურეები. გამოითქვა მოსაზრება, ისტორიულ, გეოგრაფიულ ნაკრძალად გამოცხადდეს ტაბახმელის ზონა.

**ინეზა ლეკვეიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „კომუნისტის" ინტერვიუ

**დღეს თბილისში იხსნება საქართველოს სსრ ილია ჭავჭავაძის სახელობის წიგნის მოყვარულთა საზოგადოების IV ყრილობა. საზოგადოების უმაღლესი ფორუმის ჩატარება დიდი მოვლენაა წიგნის მოყვარულთა ცხოვრებაში. იგი შეაჯამებს გაწეულ მუშაობას და დასახავს მომავალი საქმიანობის მიმართულებებს.**

**გაზეთ „კომუნისტის" კორესპონდენტი შეხვდა და ესაუბრა საქართველოს სსრ გამსახკომის თავმჯდომარეს, საქართველოს სსრ წიგნის მოყვარულთა საზოგადოების თავმჯდომარეს რევაზ ლლონტს:**

# ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით

**— ბატონო რევაზ, წიგნის მოყვარულთა საზოგადოების IV ყრილობა ისეთ ვითარებაში იმართება, როცა მომძლავრებულია მოძრაობა ეროვნული და სულიერი პრობლემების გადასაჭრელად, თავისუფალი და დემოკრატიული საზოგადოების შესაქმნელად. როგორია წიგნის მოყვარულთა საზოგადოების დამოკიდებულება ასეთი აქტუალური საკითხებისადმი, როგორ განვითარებას პოვებენ ისინი ყრილობის მუშაობაში და მის გადაწყვეტილებებში?**

— ცხოვრებისეული სიახლენი ჩვენი საზოგადოების მუშაობის ახლებურად გააზრებას მოითხოვს. ამიტომ ეს ყრილობა არ შეიძლება ჩვეულებრივ, მორიგ ყრილობად მივიჩნიოთ, რომელზედაც განვლილ პერიოდში ჩატარებული მუშაობის ანგარიშს წარმოვადგენთ; ეს ყრილობა უთუოდ გახდება წიგნის მოყვარულთა საზოგადოების საქმიანობის არსებითად გარდაქმნის ეტაპი.

თავისთავად ცხადია, ყრილობაზე იქნება მსჯელობა იმის შესახებ, თუ რა ფუნქცია დაეკისრება წიგნის მოყვარულთა საზოგადოებას ერის მატერიალური და სულიერი კულტურის განვითარების, სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის საქმეში. ასეთი მიმართულებანი ასახვას პოვებს აგრეთვე ყრილობის სათანადო დოკუმენტებში და საფუძვლად დაედება წიგნის მოყვარულთა შემდგომ მუშაობას.

**— როგორც ვიცით, საზოგადოებას ჰყავს დამფუძნებელი ორგანიზაციები, რომელთა ინიციატივითაც შეიქმნა წიგნის მოყვარულთა საზოგადოება. რა ორგანიზაციებია ეს და როგორი დამოკიდებულება აქვთ წიგნის მოყვარულებთან?**

— საზოგადოების დამფუძნებელი ორგანიზაციებია: საქართველოს პროფკავშირისა და კომკავშირის კომიტეტები, „გამსახკომი", მწერალთა კავშირი, განათლებისა და კულტურის სამინისტროები და „ცეკავშირი". საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობისა და აღნიშნული ორგანოების მჭიდრო, ურთიერთკონტაქტებით, ერთობლივი პერსპექტიული და მიმდინარე სამუშაო გეგმებით წარიმართება ძირითადი საქმიანობა. ანალოგიური ურთიერთობა აქვთ საზოგადოების რესპუბლიკურ (ასსრ), საოლქო, საქალაქო, და რაიონული ორგანიზაციების გამგეობებს შესაბამის ადგილობრივ ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან.

**— როგორც ვიცით, წიგნის მოყვარულთა საზოგადოება 15 წლის წინათ ჩამოყალიბდა. ამ საიუბილეო თარიღს ემთხვევა საზოგადოების IV ყრილობა. განვლილი პერიოდი დიდი დროა. როგორია თქვენი აზრი: ამართლებს თუ არა საზოგადოება თავის არსებობას, ასრულებს თუ არა დებულებით გათვალისწინებულ მიზნებსა და ამოცანებს?**

— წიგნის მოყვარულთა საზოგადოება რომ თავის არსებობას ამართლებს, ამის დასტურია მისი სტრუქტურული მთლიანობა: ორგანიზაციულად მტკიცედ შეკრული, მიზნობრივად ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი ფორმირებები და წევრთა მრავალათასიანი რიგები... ყრილობის წინა პერიოდისათვის რესპუბლიკაში შექმნილია ათიათასამდე პირველადი ორგანიზაცია, სამი ათას ოთხასამდე წარმოება-დაწესებულებისა და უწყების თანამშრომლები საზოგადოებაში კოლექტიურად არიან გაერთიანებულნი. ინდივიდუალურ წევრთა რაოდენობამ თითქმის 800 ათასს მიაღწია, რაც რესპუბლიკის მოსახლეობის 15-მდე პროცენტს შეადგენს. საზოგადოებაში ერთიანდება ყველა, ვინც დაინტერესებულია წიგნით და წიგნთან დაკავშირებული საკითხებით. წევრთა უმეტესობა სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოების მუშაობაში, დაინტერესებული არიან ჩვენს ქვეყანაში და კერძოდ, საქართველოში წიგნის ბეჭდვისა და გამოცემის, წიგნის პროპაგანდის, მკითხველთა მოთხოვნის დაკმაყოფილების, წიგნის ფონდების ამოქმედების, კითხვის კულტურის ამაღლებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხებით.

გარდა ამისა, საზოგადოების არსებობის გამართლების დასტურია ის მრავალმხრივი და მრავალფეროვანი მუშაობა, რომელსაც მისი ორგანიზაციები, საზოგადოების აქტივისტები ეწევიან წიგნის პროპაგანდისა და გავრცელების, წიგნთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის საქმეში.

ქართველი წიგნის მოყვარულები დღეს ერის საერთო სულისკვეთებით ცხოვრობენ, მხარს უბამენ შრომელთა მოწოდებულ ინტერესს საქართველოს, ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის, აქამდე იშვიათობად ქცეული ნაშრომებისა თუ უსამართლოდ უგულებელყოფილი მხატვრული ნაწარმოებების, ისტორიული გამოკვლევების შესწავლისადმი. ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ იმისთვის, რომ პროპაგანდისტული საქმიანობის ახალ თვისებრივ დონეზე წარმოჩენით დარგობრივი წიგნის პროპაგანდის საზოგადოებრივი საბჭოებისა და სექციების მეშვეობით ხელი შეუწყონ ქართველი ხალხის წიგნიერების ამაღლებას, პროფესიონალიზმის დამკვიდრებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განხორციელებას, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვას.

საზოგადოების ერთ-ერთ ძირითად მიზნად კვლავ რჩება რესპუბლიკაში არსებული წიგნის ფონდების ამოქმედება, მათი ეფექტიანი გამოყენება, რაც ხორციელდება ბიბლიოფილების დახმარებით.

ამ მიმართულებით ბევრი რამ კეთდება, მაგრამ უფრო მეტი გასაკეთებელია.

**— თქვენ ბრძანეთ, რომ საზოგადოების მუშაობის პრობლემებით დაინტერესებულია წევრთა მეტი წილი, მაგრამ დანარჩენი? ისინი ფორმალურად ირიცხებიან საზოგადოებაში, თუ მაინც აკისრიათ გარკვეული ფუნქცია?**

— ყრილობის წინა პერიოდში ანგარიშვება-არჩევნები გაიმართა საზოგადოების პირველადს, რაიონულ, საქალაქო, საოლქო და ავტონომიური რესპუბლიკების ორგანიზაციებში. ადრინდელი ასეთი კამპანიისაგან განსხვავებით, თანამედროვე საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის ვითარებაში, ანგარიშვება-არჩევნები მოეწყო სრული დემოკრატიისა და პლურალიზმის სულისკვეთებით; დაუფარავად გამოითქვა მრავალი კრიტიკული შენიშვნა და წინადადება, საზოგადოების საქმიანობის გარდაქმნის, მუშაობაში არსებული ფორმალიზმის აღმოფხვრის, დემოკრატიისა და საჯაროობის პირობებში ორგანიზაციებისათვის მეტი დამოუკიდებლობის მიცემის, საზოგადოების სტრუქტურის დეცენტრალიზაციის და სხვა საკითხებზე.

გამოვლინდა ისიც, რომ მოჩვენებითობით, ზემდგომ ორგანოებში შექმნილი ინსტრუქციების შესაბამისად შთამბეჭდავი ციფრებით გატაცებამ, წამატებებმა, გაუმართლებელმა ექსპერიმენტებმა, რაც მძიმე სენად მოედო ჩვენი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს, წიგნის მოყვარულთა საზოგადოებაშიც პოვა ნოყიერი ნიადაგი; სხვა რესპუბლიკებთან შეჯიბრების შედეგად ერთობ სწრაფად გაიზარდა საზოგადოების რიგები, რის გამოც ნამდვილი წიგნის ქომაგ-ენთუზიასტების გვერდით გაჩნდნენ მუშტრული დამოკიდებულებით განწყობილი ადამიანები, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო საზოგადოების მიზნებთან და ამოცანებთან.

ეს ითქვა კრებებსა და კონფერენციებზე. ალბათ იქნება მსჯელობა ყრილობაზეც. ყველა, ვინც წიგნს კი იძენს, მაგრამ ნაკლებად აინტერესებს მისი ბედი და მხოლოდ მომხმარებლურად უყურებს საზოგადოებას, არ არის აუცილებელი წევრად ითვლებოდეს.

**— სხვებისაგან განსხვავებით, რა უპირატესობით სარგებლობს წიგნის მოყვარულთა საზოგადოების წევრი, თუ აქვს რაიმე პრივილეგია?**

— ჩვენი ცხოვრების უკანასკნელი ორი-სამი ათწლეულის მანძილზე საგრძნობლად გადაფასდა ჩვენი ზნეობრივი პრინციპები, ცნობიერებამ საკმაო დევალვაცია განიცადა. როდესაც საზოგადოების წევრი აცხადებს, რომ „საწევროს გადავიხდი, თუ დეფიციტურ წიგნს მომცემთო", იგი უთუოდ თავად განიცდის ზნეობრივ დეფიციტს. ყველა წიგნიერი, შეგნებული ადამიანისათვის წიგნის მოყვარულთა საზოგადოების წევრობა თავად არის მორალური პრივილეგია და სხვა პრივილეგიები წესდებით არ არის გათვალისწინებული. მაგრამ არსებობს წახალისების ფორმები, რომლებიც საზოგადოების აქტივისტებზე ვრცელდება და არა ყველა წევრზე. ასეთი აქტივისტები ჯილდოვდებიან წიგნებით, ამა თუ იმ გამოცემაზე ხელისმოწერით, ახლად გამოცემული წიგნის შეძენის უფლებით, რაშიც საზოგადოებას სათანადო დახმარებას უწევენ „გამსახკომი", „საქწიგნისა" და „ცეკავშირის" წიგნის ვაჭრობის ორგანიზაციები. მატერიალური წახალისების მიზნით საზოგადოების აქტიური წევრები ჯილდოვდებიან აგრეთვე ფულადი სახსრებითაც. საანგარიშო პერიოდში აქტივისტებზე გაიცა ასი ათას მანეთამდე პრემია და ფულადი ჯილდო. ყოველივე

ეს კეთდება წახალისების მიზნით და არა პრივილეგიის პრინციპით.

**— მკითხველს, ალბათ, დააინტერესებს ისიც, თუ რას ხმარდება საზოგადოების ანგარიშზე შემოსული სახსრები.**

— წიგნის მოყვარულთა საზოგადოება არ არის კომერციული ორგანიზაცია და არც დიდი სახსრები აქვს. მისი შემოსავლის მეტ ნაწილს საწევრო შენატანები შეადგენს, გარკვეული რაოდენობის სახსრები შემოდის აგრეთვე წიგნის ზეპირი პროპაგანდის ღონისძიებებიდან, საგამომცემლო საქმიანობიდან და საზოგადოებასთან არსებული საწარმოო კომბინატის მოგების ანარიცხებიდან. შემოსავლის 30 პროცენტი წიგნის პროპაგანდას უნდა მოხმარდეს და ხმარდება კიდეც. 10 პროცენტი უბრუნდებათ პირველად ორგანიზაციებს მათი საჭიროებისათვის. საკმაო თანხა იხარჯება შტატიანი მუშაკების ხელფასისა და პრემირების, აქტივისტთა წახალისებისათვის.

რესპუბლიკურმა გამგეობამ თანხა გადარიცხა ჩერნობილის ტრაგედიის, აჭარის, სვანეთისა და სომხეთის სტიქიით დაზარალებულთა ფონდებში.

სახსრები შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე სხვა მიზნებითაც, რაც საზოგადოების ამოცანებთან არის დაკავშირებული. მაგალითად, საზოგადოების ინიციატივით ქ. გურჯაანში აიგო ოთხსართულიანი წიგნის სახლი, რომელშიც მოთავსდა წიგნის მაღაზია, სარაიონო და საბავშვო ბიბლიოთეკები, საზოგადოების რაიონული ორგანიზაციის გამგეობა, ორი საგამოფენო, ერთი სააქტო დარბაზი და სხვა. საზოგადოებამ, წილობრივი მონაწილეობით მისი აშენებისათვის 300 ათასი მანეთი გაიღო.

**— თქვენ საწარმოო კომბინატი ახსენეთ. რა ფუნქცია აკისრია ამ კომბინატს, რით და როგორ ემსახურება იგი წიგნის მოყვარულთა საზოგადოებას?**

— საწარმოო კომბინატი შექმნილია წიგნის მოყვარულთა ინტერესების გათვალისწინებით, მის მიერ გამოშვებული პროდუქცია, ძირითადად, ნომენკლატურულია. ესაა წიგნების რესტავრაციისა და სამკინძაო სამუშაოები, უშვებს აგრეთვე წიგნის გარსაკრავებს, წიგნთან დაკავშირებულ სხვადასხვა სახის პროდუქციას.

**— როგორც ვიცით, წიგნის მოყვარულთა საზოგადოება საკავშიროა და ამიტომ მართვაც ცენტრალიზებულია. ხომ არ არის მოსალოდნელი რაიმე ცვლილება დეცენტრალიზაციის მიზნით?**

— გაზეთ „კნიჟნოე ობოზრენიეში" გამოქვეყნდა საზოგადოების წესდების ახალი პროექტი. მასში საკმაოდ ბევრი ცვლილებაა შეტანილი; ზოგი მათგანი განსჯას და დაზუსტებას მოითხოვს. ამ წესდებით, ცენტრალური მმართველობა კვლავ რჩება, მაგრამ მეტი დამოუკიდებლობა ეძლევა რესპუბლიკურ საზოგადოებებს; მათ შეუძლიათ ჰქონდეთ საკუთარი წესდებაც ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით.

რაც შეეხება სამეურნეო საქმიანობას, ამ მხრივ, რესპუბლიკურ ორგანიზაციას სრული დამოუკიდებლობა მიენიჭა. მეორე წელია საზოგადოების ორგანიზაციები გადაყვანილია სამეურნეო ანგარიშზე, თვითდაფინანსებასა და თვითანაზღაურებაზე.

ახალი წესდების პროექტში გათვალისწინებულია, რომ საზოგადოების რესპუბლიკურ გამგეობებს მიეცეთ წიგნების გამოცემის უფლება. თუ წესდების ეს მუხლი მიიღო ყრილობამ, მაშინ რესპუბლიკური გამგეობა გამოსცემს წიგნებს წიგნის მოყვარულთა მოთხოვნილების შესაბამისად, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების ავტორიტეტის ამაღლებას.

**— როგორ გესახებათ მომავალ, პოლიტიკურად და ეკონომიკურად თავისუფალ საქართველოში წიგნის მოყვარულთა საზოგადოების როლი?**

— საქართველოს სსრ წიგნის მოყვარულთა საზოგადოებას, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით ილია ჭავჭავაძის სახელი მიენიჭა. ეს კი საზოგადოების თითოეულ წევრს უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს.

დღეს ბევრს ვლაპარაკობთ საქართველოს მომავალზე. მისი ხვალინდელი დღე კი წიგნიერ, სპეციალობას საფუძვლიანად დაუფლებულ ცვლას ელოდება. ეს ნათელი მომავალი მყარად უნდა ვაშენოთ, ყველამ უნდა ვაკეთოთ ის, რაც გვაკისრია და შეგვიძლია. წიგნის მოყვარულთა ვალია, ქომაგად ედგეს წიგნს, შეაყვაროს იგი ახალგაზრდობას, გამოიყენოს ამისათვის ყველა ფორმა და მეთოდი, ყველა საშუალება. სახალხო განათლების ორგანოებთან, ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან ერთად, მთავარი ყურადღება დაუთმოს სასკოლო ორგანიზაციებს და ნორჩ წიგნის მოყვარულთა სექციებს.

დღევანდელი ახალგაზრდობა აღარ არის საზოგადოების ის ფენა, რომლისთვისაც შეგვეძლო თავს მოგვეხვია ნებისმიერი ღონისძიება; ახლა და მომავალშიც მათთვის ჩატარებული ყველა ღონისძიება დაფიქრებით მომზადებას საჭიროებს. აუცილებელია ახალგაზრდობასთან სისტემატური დიალოგი, რომ პასუხი გავცეთ იმ კითხვებს, რომლებიც მას აწუხებს, უნდა დავეხმაროთ გაერკვენ სადღეისო პრობლემებში.

ამიტომ ყმაწვილთა ინტერესების გათვალისწინებით უნდა ჩავატაროთ ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ საერთო განათლების ჰორიზონტის გაფართოებას, წიგნიერი, დახვეწილი გემოვნების მქონე მოქალაქის აღზრდას; სწორედ ასეთი თაობა გამოადგება მომავალ საქართველოს.

**— ჩვენი რესპუბლიკა მრავალეროვანია. თანამედროვე სიტუაციაში ეროვნული ურთიერთობა არცთუ სტაბილურია. როგორია წიგნის მოყვარულთა საზოგადოების როლი ეროვნებათშორისი ურთიერთდამოკიდებულების, ურთიერთნდობის, ინტერნაციონალური მეგობრობის გაღრმავების საქმეში?**

— ამ მიმართულებით ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ წიგნის მოყვარულთა კლუბებს, რომლებიც ჩადგებიან ეროვნებათა შორის ურთიერთობათა პრობლემების გაანალიზების, ხალხთა შორის ურთიერთდამოკიდებულების სწორი პოლიტიკური კურსის სამსახურში. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭება წიგნის მოყვარულთა კლუბების საქმიანობას არაქართული მოსახლეობის რეგიონებში, სადაც უფრო საჭირო საზოგადოების მხრივ გააზრებული, პოლიტიკურად გამართული მუშაობის წარმართვა.

ეს კლუბები უნდა გახდნენ, პირველ ყოვლისა, ახალგაზრდობის პოლიტიკური წრთობის კერები, სადაც გაიმართება დისკუსიები საქართველოს წარსულისა და აწმყოს, მისი მომავლის, მისი ნამდვილი სუვერენული უფლებების მოპოვებისა და სხვა საკითხებზე.

ასეთი პრობლემატიკის ლიტერატურის პროპაგანდამ უნდა შეუწყოს ხელი პარლამენტური მართვის პრინციპების შესწავლას, ეკონომიკური და იურიდიული ცოდნის გაღრმავებას... და ეს ყოველივე უნდა გაკეთდეს ისე, რომ არ შეილახოს არც ქართველი და არც სხვა ერების წარმომადგენელთა ინტერესები.

წიგნის მოყვარულთა საზოგადოების IV ყრილობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა იქნება ეროვნულ ნიადაგზე დაფუძნებული, საკუთარი ეროვნული ორიენტირების შემუშავება და განსაზღვრა შემდგომი მუშაობისათვის.



შემოდგომა.

გოჩა ბალდასაროვის ფოტო.

# გვიან თავჩენილი სიყალბე

**ასე როგორ მოატყუეს საზოგადოება წყალტუბოს საერთაშორისო კომერციული ფესტივალის „ბიზნეს შოუს" ორგანიზატორებმა**

ცნობა კურორტ წყალტუბოში საერთაშორისო კომერციული ფესტივალის გამართვის შესახებ ჯერ წყალტუბოს საქალაქო გაზეთმა „შრომამ" დაბეჭდა, შემდეგ კი ეს ამბავი რესპუბლიკის საინფორმაციო საშუალებებმა ამცნეს მთელ საქართველოს.

მაცდუნებელი იყო ფესტივალის პროგრამა. თავად განსაჯეთ, რეკლამების მიხედვით მასში მონაწილეობა უნდა მიეღოთ იაპონიის, ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, ავსტრიის, იუგოსლავიის, კორეის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცნობილ ფირმებს, მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის, ბალტიისპირეთის, სომხეთის სამრეწველო და სავაჭრო ორგანიზაციებს, გაერთიანებებსა და კოოპერატივებს.

საკონცერტო განყოფილების პროგრამას რეკლამა-განცხადებებში ამშვენებდა მსოფლიოში ცნობილი შემსრულებლების თ. გვერდწითელის, ლ. ვაიკულეს, მ. რომანიდის გვარები, სახელგანთქმული ანსამბლები „ივერია", „ანონსი", „ჩი ია", ესტონეთის გოგონათა „შოუ-ბალეტი", საბჭოთა ცირკის მსახიობები და სხვა. იტყობინებოდნენ, რომ აუქციონზე გაიყიდებოდა ავტომანქანები „ტოიოტა", „მერსედესი", „პეჟო", „მოსკვიჩი", „ლადა", რომ „ფესტივალზე იმუშავებდა საქმიანი კლუბი (დიპლომატიური კორპუსი), მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, საექსკურსიო-ტურისტული და საკურორტო სექტორები".

რეკლამამ თავისი გააკეთა — ბევრს, ძალიან ბევრს აღარ დაუდგა გული შინ და იმის მიუხედავად, რომ ბილეთი წარმოუდგენლად ძვირი — 15 მანეთი ღირდა, ვინ ვის არ ურეკავდა, ვინ ვის არ თხოვდა, აწუხებდა: იქნებ დაგვეხმაროთ მის შეძენაშიო. უამრავი სტუმარი ჩამოვიდა წყალტუბოში საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, სხვადასხვა ქალაქიდან და რაიონიდან, ჩამოვიდა, რომ ამ სანახაობით სიამოვნება მიეღო.

მაგრამ...

თურმე ასე არ ფიქრობდნენ ფესტივალის ორგანიზატორები — კურორტის კულტურის სახლის დირექტორი ლევის ახვლედიანი და ლენინის სახელობის ბავშვთა ფონდის მოზრდილთა სახელმწიფო ცენტრის „დოსუგის" დირექტორი ვიქტორ ტიტოვი. არარად ჩააგდეს რა ათასობით მაყურებლის ინტერესები, მოგებას გამოდევნებულებმა ყველაფერი იკადრეს და ადამიანები პირში ჩალაგამოვლებულები, თვალში ნაცარშეყრილები დატოვეს.

თვითონ განსაჯეთ: ჩაიშალა პროგრამით გათვალისწინებული აუქციონი, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიეღო საზღვარგარეთის 12 ფირმას; არ ჩატარებულა დაგეგმილი ბაზრობა, სამრეწველო და კოოპერაციული ნაწარმის გამოფენა-ვაჭრობა, რომელშიც, უცხოურ ფირმებთან ერთად, მონაწილეობა უნდა მიეღო ქვეყნის სხვადასხვა რესპუბლიკის, საქართველოს სამრეწველო საწარმოებსა და კოოპერატივებს; ბოლო მომენტში მთლიანად შეიცვალა კულტურული შოუს პროგრამა და 9 კოლექტივიდან მაყურებლის წინაშე წარსდგა მხოლოდ ერთი — კიევის ცირკი.

„ბიზნეს-შოუს" ორგანიზატორებმა ღონისძიება თავიდანვე გასწირეს ჩაშლისათვის, რადგან არც ერთ ფირმასთან და მონაწილესთან წინასწარ არ გაუფორმებიათ ხელშეკრულება, უფრო მეტიც — უცხოურ ფირმებს მათთან საერთოდ არ ჰქონიათ კონტაქტი, ამასთან მხატვრულ პროგრამაში მონაწილე ადრე გამოცხადებული ცნობილი კოლექტივების შეცვლით შეეცადნენ დიდძალი მოგების მიღებას.

ეს იგრძნო ხალხმა და მახობრივად გამოხატა კიდეც თავისი პროტესტი — მაყურებელთა დიდმა ნაწილმა უკან დააბრუნა წინასწარ შეძენილი 5480 ბილეთი, 7118 კაცი კი იმით „დაამშვიდეს", რომ ხუთი მანეთით შეუმცირეს ბილეთის ღირებულება. ან ათი მანეთის სადირალი რა ჰქონდა ფესტივალის გადატაკებულ პროგრამას?! ხოლო თუ როგორ შეაფასა მაყურებელმა „ბიზნეს-შოუს" მიერ წარმოდგენილი მხატვრული სანახაობა, ეს კარგად ჩანს შემდეგი მონაცემებიდან: პირველ დღეს, 30 აგვისტოს, კონცერტს 2498 კაცი დაესწრო, 31-ში მაყურებელთა რიცხვი განახევრდა, დახურვისას, 3 სექტემბერს კი სკამებზე მხოლოდ 900 კაცი იჯდა და ხშირად ისინიც პროგრამის დამთავრებამდე ტოვებდნენ იქაურობას.

ფესტივალის ორგანიზატორების თავნებობა იქამდეც მივიდა, რომ კონცერტზე შესასვლელი და ლატარიის ბილეთების ფასები განსაზღვრეს სატარიფო ფასების მომწესრიგებელი დოკუმენტების გვერდის ავლით, ხოლო ლატარიის ბილეთების გათამაშება არ შეათანხმეს საამისოდ მოწოდებულ ზემდგომ ინსტანციასთან.

იმის მიუხედავად, რომ ქალაქის ხელმძღვანელმა ორგანოებმა ოპერატიული ღონისძიებები განახორციელეს ფესტივალის კულტურული ნაწილის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის, შეუძლებელი გახდა ღონისძიების ჩატარების რეგლამენტის დაცვა — 5 კონცერტიდან 4 ძალზე დიდი დაგვიანებით დაიწყო და ხანგრძლივმა ლოდინმა ნერვები დააწყვიტა ხალხს. რაღა განწყობილება შერჩებოდათ მაყურებლებს.

დიდი სანახაობის მომლოდინე ხალხი, რომელსაც გაუცრუვდა იმედები, ბუნებრივია, ვერ დაამშვიდა ვიქტორ ტიტოვის მობოდიშებამ, ხოლო ლევის ახვლედიანს არც ამის სურვილი აღმოაჩნდა.

დიახაც, არც მეტი, არც ნაკლები, გააცურეს ადამიანები, აბუჩად აიგდეს ისინი, მოატყუეს საქმიანი კლუბი, გამოფენა-ვაჭრობის და აუქციონის მუშაობაში მონაწილეობის მსახლებად ჩამოსული ათობით. საწარმო და კოოპერატივი.

დაუსჯელი არ დარჩენილა დამნაშავე. პარტიის წყალტუბოს საქალაქო კომიტეტის ბიუროს დადგენილებით, სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის, ქალაქის ხელმძღვანელი ორგანოების არასწორი ინფორმირების შედეგად მათი შეცდომაში შეყვანისათვის, ჩასატარებელი ღონისძიებების თაობაზე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით მოსახლეობისათვის ყალბი ინფორმაციის მიწოდებისა და მისი მოტყუებისათვის, საერთაშორისო ფესტივალის ჩაშლისათვის, რამაც გამოიწვია საზოგადოების სამართლიანი აღშფოთება და შექმნა არაჯანსაღი საზოგადოებრივი აზრი, კურორტის კულტურის სახლის დირექტორს, სკკპ წევრს ლევის ლავრენტის ძე ახვლედიანს გამოეცხადა სასტიკი საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით, ხოლო პროფკავშირთა წყალტუბოს სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა გაერთიანების საბჭომ იგი მოხსნა თანამდებობიდან. ფესტივალის ჩატარების ორგანიზაციაში ლევის ახვლედიანის პარტნიორის ვიქტორ ტიტოვის ქმედების შესახებ რაგირებისათვის ეცნობა მის ხელმძღვანელობას.

მასალები შემდგომი ძიებისათვის გადაეცა ქალაქის პროკურატურას.

სიყალბეს გვიან, მაგრამ მაინც აეხადა ფარდა, მის ჩამდენ პირებს მოეკითხათ, ვინ იცის, კიდევ რას იტყვის გამოძიების შედეგები, მაგრამ...

შეიძლებოდა, თუ არა ამ, შელამაზებით რომ ვთქვათ, უგებრობის თავიდან აცილება?

რა თქმა უნდა, შეიძლებოდა, ქალაქის ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს რომ სერიოზულად გამოეჩინათ და ყურადღების ქვეშ მოექციათ საერთაშორისო კომერციული ფესტივალის ჩაშლის სიმპტომები. განა რაიმე გამართლება აქვს იმას, რომ ასე ბრმად ენდობოდნენ კულტურის სახლის დირექტორის ინფორმაციებს, დაპირებებს, რომლებიც მოჩვენებითი და ყალბი გამოდგა? განა ძნელი იყო იმის შემოწმება, თუ უცხოეთის რომელ ფირმასთან დაამყარეს კონტაქტები და დადეს თუ არა ხელშეკრულება? აბა, რა ცოდნაა საჭირო, რომ ბილეთების ფასდება მოითხოვს ზემდგომ ინსტანციასთან შეთანხმებას?

თუ ფესტივალისათვის მზადების ეს და ბევრი სხვა გარემოება წინასწარ საგულდაგულოდ შემოწმდებოდა, ღონისძიებაც თავისდროულად მოიხსნებოდა დღის წესრიგიდან, უზრუნველყოფილი იქნებოდა მისი ჩატარების საჭირო დონე. და რადგან ასე არ მოხდა და ხალხი მასხრად აიგდეს, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რაოდენ უარყოფითად იმოქმედა ამან ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელი ორგანოების ავტორიტეტზე, ადამიანთა რწმენაზე.

ხალხი კი დღესაც გაიძახის, ერთ ადგილზე რამდენიმე ბილეთი გაიყიდაო. ისინი მოუთმენლად ელიან ძიების საბოლოო შედეგებს.

**ვაჟა თევდორაძე,**
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი.

# სპორტის ამბები

● ფეხბურთი

## ფინიში მოახლოვდა

გუშინწინ მოსკოვში, ერევანში, ხარკოვსა და ვილნიუსში გაიმართა უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის 25-ე ტურის ბოლო ოთხი მატჩი. ცხადია, ყურადღების ცენტრში იყო შეხვედრები ლიდერთა მონაწილეობით. მოსკოვის „სპარტაკი" ერევანში „არარატს" ეთამაშა. ორივე კართან არაერთი სახიფათო მომენტი შეიქმნა, მაგრამ გოლი არ გასულა — 0:0. კიევის დინამოელებმა სტუმრად დაამარცხეს მოსკოვის „ლოკომოტივი" — 3:1 (0:0), ხარკოვის „მეტალისტმა" ანგარიშით 2:1 (1:0) მოუგო მოსკოვის „ტორპედოს", „ჟალგირისისა" და მინსკის „დინამოს" მატჩი კი ფრედ დამთავრდა — 1:1 (1:1).

ჩემპიონატი ფინიშს მიუახლოვდა — ხუთი ტურიც და გამოვლინდებიან პრიზიორები, ორ გუნდს (თუ მომავალ გათამაშებაში ცვლილებები არ შეიტანეს) უმაღლესი ლიგის დატოვება მოუწევს. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ „სპარტაკი" სატურნირო ცხრილში პირველ ადგილს არავის დაუთმობს, თუმცა მას კვალში მიჰყვება ქვეყნის შარშანდელი ჩემპიონი — დნეპროპეტროვსკის „დნეპრი". ფინიშზე კვლავ სტაბილურად თამაშობენ კიეველი ფეხბურთელები, ამ სამეულის დავაში ალბათ „ჟალგირისიც" ჩაერევა. რაც შეეხება ცხრილის ქვედა ნაწილს, თითქმის უიმედო ჩანს „ზენიტისა" და „ლოკომოტივის" სატურნირო მდგომარეობა. აუტსაიდერთა უშუალო მეზობელია თბილისის „დინამო", რომელსაც, მართალია, ერთი მატჩი თადარიგში აქვს, მაგრამ ეს არ იძლევა თვითდამშვიდების უფლებას.

თვალი გადაავლეთ სატურნირო ცხრილს:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტ". | 25 | 14 | 9 | 2 | 42-15 | 37 |
| „დნეპრი" | 25 | 14 | 5 | 6 | 33-22 | 33 |
| „დინ." კ. | 25 | 11 | 10 | 4 | 32-18 | 32 |
| „ჟალგ". | 25 | 12 | 7 | 6 | 32-23 | 31 |
| „მეტალ". | 25 | 10 | 8 | 8 | 28-24 | 28 |
| „ტორპ." | 25 | 9 | 10 | 6 | 27-20 | 28 |
| „ჩერნომ." | 25 | 9 | 9 | 7 | 31-29 | 27 |
| „დინ". მნ. | 25 | 9 | 6 | 10 | 28-27 | 24 |
| „დინ". მ. | 25 | 7 | 10 | 8 | 28-24 | 24 |
| „არარატი" | 25 | 8 | 6 | 11 | 23-32 | 22 |
| „როტორი" | 24 | 7 | 7 | 10 | 21-27 | 21 |
| „შახტ". | 25 | 8 | 4 | 13 | 18-25 | 20 |
| „პამირი" | 25 | 6 | 8 | 11 | 17-32 | 20 |
| „დინ". თბ. | 24 | 5 | 10 | 9 | 18-23 | 20 |
| „ზენიტი" | 25 | 4 | 8 | 13 | 18-39 | 16 |
| „ლოკომ". | 25 | 4 | 7 | 14 | 13-29 | 15 |

# სატურნირო ორბიტა

**ძალოსნობა.** საბჭოთა სპორტსმენებმა მეორე ოქროს მედალი მოიპოვეს ათენში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე. 67,5 კგ წონით კატეგორიაში უძლიერესი იყო ლენინაკანელი ისრაილ მილიტოსიანი. მან ორჭიდში 347,5 კგ მოაგროვა, თანაც ატაცში მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 160 კგ. მეორე ადგილზე გავიდა ბულგარელი იოტ იოტოვი — 337,5, მესამეზე კორეელი კიმ მუნგ ნამი — 327,5.

**ჭადრაკი.** ტილბურგში გრძელდება დიდოსტატთა დიდი საერთაშორისო ტურნირი. მეოთხე ტურში ივანჩუკმა დაამარცხა ნორვეგიელი აგდესტეინი, ჰიარტარსონმა (ისლანდია) — ლუბოევიჩი (იუგოსლავია), საქსმა (უნგრეთი) — პიკეტი (ჰოლანდია), კასპაროვი და კორჩნოი (შვეიცარია) დაზავდნენ.

ოთხი ტურის შემდეგ კასპაროვს, კორჩნოისა და ივანჩუკს 3-3 ქულა აქვთ, ჰიარტარსონს — 2,5, საქსსა და აგდესტეინს — 1,5-1,5, ლუბოევიჩს — 1, პიკეტს — 0,5. მოჭადრაკეებმა კიდევ 10-10 პარტია უნდა ითამაშონ. საინტერესოა, რომ ტურნირის საპრიზო ფონდია 50 000 დოლარი.

**ფეხბურთი.** გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ორი მატჩი: ურუგვაი-ბოლივია — 2:0, აშშ-სალვადორი — 1:0.

**ბატუტზე ხტომა.** თბილისელმა სპორტსმენმა რუსუდან ხოშტარიამ მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი უძლიერესთა რიგებში. დანიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატში მან ორი უმაღლესი ჯილდო მიიღო სინქრონულ ხტომებში და გუნდურ პირველობაში გამარჯვებისათვის.

გაზეთ „კომუნისტის" დღევანდელი ნომერი რვაგვერდიანია.

რედაქტორის მოადგილე
მ. უგრეხელიძე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და სოფლის მეურნეობის მეცნიერების პრობლემათა განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ბოტანიკური ბაღის დირექტორი, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი

**ნოდარ მემედის ძე შარაშიძე**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

# მეგობრობის განმტკიცებაში შეტანილი წვლილისათვის

დღითიდღე სულ უფრო მტკიცდება საქართველოსა და ისრაელს შორის გადებული მეგობრობის ხიდი. კარგი ნაყოფი მოაქვს მზარდ კონტაქტებს, რომელთა საფუძველია ქართველი და ებრაელი ხალხების მრავალსაუკუნოვანი კავშირურთიერთობა, ორმხრივი სწრაფვა მისი გაფართოება-გაღრმავებისადმი. ჩვენი ხალხების შემდგომ დაახლოებაში თავიანთი მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ქართველ ებრაელებს, რომლებიც გადასახლდნენ თავიანთ ისტორიულ სამშობლოში. ისინი სათუთად ინახავენ საქართველოს, მისი ხალხის ენის სიყვარულს. ამის საუკეთესო დადასტურებაა ის, რომ ისრაელში შეიქმნა რუსთაველის საზოგადოება, ქართული თეატრი და სამხატვრო კოლექტივები, ქართულ ენაზე გამოდის გაზეთი.

ისრაელში საქართველოს კულტურისა და ხელოვნების პროპაგანდის, ქართველ და ებრაელ ხალხებს შორის მეგობრობის განმტკიცების საქმეში შეტანილი წვლილისათვის ისრაელის ჟურნალისტთა და კულტურის მოღვაწეთა — ჩვენს ყოფილ თანამემამულეთა ჯგუფი დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით. ჯილდოების გადაცემა გაიმართა 18 სექტემბერს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ვახტანგ კვარაცხელიამ მიულოცა დაჯილდოებულებს, უსურვა მათ ჯანმრთელობა, ახალი კეთილი საქმეები, რომლებიც ხელს შეუწყობენ საქართველოსა და ისრაელის ხალხთა მეგობრული ურთიერთობის განვითარება-გაღრმავებას.

დაჯილდოებულთა სახელით გამოსულმა გაზეთ „ალია საქართველოდან" მთავარმა რედაქტორმა აბრამ საპირმა (სეფიაშვილმა) მხურვალე მადლობა გადაიხადა მათი საქმიანობის მაღალი შეფასებისათვის, პირობა დადო, რომ საქართველოდან ისრაელში წასული ებრაელები კვლავაც ყოველ ღონეს იხმარენ, რათა განამტკიცონ კონტაქტები, მეგობრობა და თანამშრომლობა ებრაელ და ქართველ ხალხებს შორის.

(საქინფორმი).

## ტელევიზია — ოთხშაბათი, 20 სექტემბერი

### თბილისი

**პირველი პროგრამა.** 13.00 — ნაშუადღევს. 13.50 — საერთაშორისო დღიური (განმეორებით). 14.25 — მხატვრული ფილმი „ორი ოკეანის საიდუმლოება". II სერია. 15.30 — სახვითი ხელოვნება ჩვენს ეკრანზე. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „რუსუდან ფეტვიაშვილის ნახატები". 15.45 — საინფორმაციო გამოშვება. 15.55 — სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა". მხატვრული ფილმი „მარია მირაბელა". 17.00 — მოსწავლეთათვის — „მზეო მომავლისა". 17.35 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 18.10 — პროფტექნიკური განათლების ხვალინდელი დღე (განმეორებით). 18.55 — ფართოვდება საქართველოს საერთაშორისო კონტაქტები. 19.20 — სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაცია და პროგრესი. 19.40 — დიალოგი კომპიუტერთან... 20.00 — მოამბე. 20.35 — განვიხილავთ საქართველოს კომპარტიის ეროვნული კონცეფციის პროექტს. 20.55 — სპორტული გადაცემა — „45 წუთი". 22.00 — „ვრემია". 22.40 — პრემიერა სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმისა „რვაფეხა-3". VII სერია. 23.35 — კონცერტი.

**მეორე პროგრამა.** 16.05 — მხატვრული ფილმი „შავი და თეთრი მაგია". 17.15 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან. დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 18.05 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მეგობრობის გზით". 19.00 — სატელევიზიო მუსიკალური ფილმი „ბათირ ზაქიროვი". 19.40 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 20.00 — მოამბე. 20.55 — მხატვრული ფილმი „როდინობის კვირაში".

### მოსკოვი

**პირველი პროგრამა.** 6.30 — 120 წუთი. 9.35 — მულტფილმები. 10.05 — „რვაფეხა-3". VI და VII სერია. 11.55 — ა. დნიშჩევის კონცერტი. 12.45 — „მსოფლიოს გარშემო". 13.45 — „ცისარტყელა". „მალის ხალხური რიტმები". 16.35 — ფილმ-კონცერტი „ლენინგრადული აკვარელი". 17.05 — ტელეფილმები. 17.45 — „გამარჯობა, მუსიკავ!". 18.15 — მულტფილმები. 18.25 — ბავშვის საათი. 19.25 — ჰოკეი. ამხანაგური შეხვედრა. ცსკა-კანადის „კალგარი ფლეიმზი". შესვენებისას — 20.05 — დღეს მსოფლიოში. 22.00 — „ვრემია". 22.40 — „რვაფეხა-3". VII სერია. 23.35 — დღეს მსოფლიოში. 23.50 — რუმინეთის რადიო-ტელევიზიის სიმფონიური ორკესტრის კონცერტი.

**მეორე პროგრამა.** 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 და 12.15 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „გეომეტრიული ფანტაზია". 9.35 და 10.35 — ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლები. 10.05 და 11.05 — გერმანული ენა. 11.35 და 12.45 — ბიოლოგია. X კლასი. 13.15 — ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. 18.00 — ახალი ამბები. 18.10 — „მისი ცხოვრების ნაპირი". III სერია. 19.15 — დოკუმენტური ფილმი „ნახევარი საუკუნე ენერგეტიკის სამსახურში". 19.45 — მულტფილმი „გედები". 20.00 — „ოდოევსკის ალბომი". ლერმონტოვის ცხოვრების ბოლო თვეებზე გვიამბობს ი. ანდრონიკოვი. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 21.15 — რუსეთის სფსრ ქალაქების ტელესტუდიები. ქ. სვერდლოვსკი. 22.00 — „ვრემია". 22.40 — კინოდანართი გადაცემისა „ახალგაზრდა კინო". 23.55 — ჩვენი ბაღი. 0.25 — კრივი. მსოფლიო ჩემპიონატი.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 10500 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14